მასწავლებელი

№3(58),2019

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია მენაბდე, ლელა კოტორაშვილი, მაია ჯალიაშვილი, დავით ჩივაძე, ელენე ჯიბლაძე, მაია კუდავა, მაია ფირჩხაძე, მანანა სეხნიაშვილი, მარიამ გოდუაძე, ნინო გურეშიძე, ქეთი ოსიაშვილი, ნათია უჩავა, თამთა დოლიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

ორ ამბავს უნდა მოვყვე.

ამბავი პირველი

თბილისში ცხელი ზაფხულია. ამინდი რა შუაშიაო, იკითხავთ, მაგრამ...

გზა ჩემი სახლიდან იმ დაწესებულებამდე, სადაც მასწავლებლად ვმუშაობ, არცთუ ისე მოკლეა. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობ, ძირითადად – ყვითელი მიკროავტობუსით, რომელშიც, ძალიან უნდა გაგიმართლოს, რომ გაგრილების რაიმე საშუალება მუშაობდეს. თითქმის საათნახევრიანი მომქანცველი და სულის შემხუთველი მგზავრობის შემდეგ, როცა სიცოცხლის ნიშანწყალი აქა-იქ თუღა გეტყობა და აღარაფერი გინდა, გამოგიტყდებით, გამეფიქრა არაერთგზის, უფრო ვინატრე: – რა მოხდება, შევაღო აუდიტორიის კარი და არავინ დამხვდეს. ისე, როგორც ბავშვობაში, მასწავლებლებს „შატალოზე“ გაპარულები ცარიელ საკლასო ოთახებს რომ ვახვედრებდით და ჩვენი მონაპოვარი თავისუფლებით ვხარობდით. არ გვაშინებდა მეორე დღეს თავს დატეხილი მასწავლებლების, დირექტორისა თუ მშობლების რისხვა.

ჰოდა, ვნატრობდი ცარიელ აუდიტორიას. სადაც დაღლილი, მზისგან გათანგული მივეგდებოდი და არც არაფერი – ჩემს კუთვნილ ორ საათს სიგრილესა და სიჩუმეში გავატარებდი, ცოტას ვიფიქრებდი და, ვინ იცის, ცოტას წავთვლემდი კიდეც.

შევაღე თუ არა აუდიტორია, ეს სურვილები სადღაც გაქრა და ისეთი შემართებით შევუდექი ლექციას, თითქოს ზემოხსენებულ ფიქრებს არც არასდროს შევეწუხებინე. თავს კი არ გაწონებთ, უბრალოდ, თავი გამოვიჭირე, როგორ მიყვარს, როცა ვასწავლი და როცა სწავლის მსურველები მელოდებიან.

ამბავი მეორე

ეს კი ამონარიდია წერილიდან „ხანდახან მასწავლებლებიც ტირიან“, რომელიც ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“-ზე გამოქვეყნდა. წერილის ავტორმა თითოეულ ჩვენგანს გამძლეობისა და სწორად ცხოვრების დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარა.

„შენ, რომელმაც ახლა ეს სტატია გახსენი და კითხვა დაიწყე, მინდა გითხრა, რომ ჩვენი ცხოვრება სავსეა მოულოდნელი ბედნიერებითა და თავს დატეხილი სიურპრიზებით. თუ მასწავლებელი ხარ და ეს შენი ცხოვრების წესია, ნუ გამიჯნავ მას რეალური ცხოვრებისგან და შენს მოსწავლეებს დაანახე, რომ ცხოვრება სევდიანიც შეიძლება იყოს, მხიარულიც, უცნაურიც, იდუმალიც; რომ ის ჭრელია და მთავარია, ამ სიჭრელეში ჩვენი ფერის პოვნა შევძლოთ; რომ თუ არ დავეცით, ვერ ავდგებით, ამიტომ დაცემა ზოგჯერ საჭიროც კია.

ნუ დაუმალავ, რომ, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში დგება განსაკუთრებული და მტკივნეული მომენტები, როდესაც ცრემლები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი ხდება, როდესაც სამყაროსგან განდგომა ყველაფერს გვირჩევნია, ვიკრებთ უკანასკნელ ძალებს, უკან ვიბრუნებთ ცრემლებს, ტკივილს გულში ვიქვავებთ, ვდგებით და მივდივართ.

მივდივართ მათთან, რადგან გვახსოვს, რომ ისინი გველოდებიან. იმიტომ, რომ ჩვენ მასწავლებლები ვართ“.

გამოცდილება

4 | მაია მენაბდე
ვასწავლოთ თვითშეფასება
თვითშეფასების უნარი და ზომიერი თვითკრიტიკა აუცილებელი პირობაა პიროვნების სწორად ჩამოყალიბებისთვის და ამ უნარების გამომუშავება თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

10 | ლელა კოტორაშვილი
ოთხი რვეულის მეთოდი წერითი უნარების განვითარებისთვის
წერითი უნარების განვითარებისთვის ზრუნვა საკმაოდ შრომატევადია. კვლევები ცხადყოფენ, რომ კითხვა და წერა ერთმანეთისგან გამოცალკევებულ პროცესად არ უნდა აღვიქვათ. კითხვის შესწავლას წერა კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.

14 | მაია ჯალიაშვილი
დიალოგური სწავლების უპირატესობანი
დიალოგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური ყოფის თითქმის ყველა სფეროში, ფილოსოფიასა თუ ფსიქოლოგიაში, დიპლომატიასა და ყოველდღიურობაში. განსაკუთრებულ ღირებულებას კი იგი სასწავლო პროცესში იძენს.

42 | ნინო გურეშიძე
სწავლა-სწავლების სპეციფიკა კლას-კომპლექტში
კლას-კომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რადგან სწავლების დიფერენციაცია განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის რეალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

50 | ნათია უჩავა
როგორ უნდა გავაუმჯობესოთ საშინაო დავალების ეფექტიანობა?
თუ მასწავლებელი მიცემულ საშინაო დავალებას არ გამოიკითხავს და უკუკავშირს არ მოახდენს, მოსწავლე დაკარგავს ინტერესს და აღარ შეასრულებს მას.

რესურსი

31 | მაია ფირჩხაძე
კონსტრუქტივისტული სწავლება აქტიური კითხვის გაკვეთილზე
აქტიური კითხვის ტექნიკის გამოყენებით ტექსტთან მუშაობა განვითარების საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ეხმარება მას ინფორმაციის გააზრებაში, არსებითი ნიშნების გამოყოფაში, მოვლენათა ობიექტურ შეფასებაში, არგუმენტირების უნარის დახვეწაში, პოზიციის გამოხატვაში, საკუთარი აზრის დაცვაში;

34 | მანანა სეხნიაშვილი
იდეები საშოდელო გაკვეთილისთვის
შეცდომა, რომელსაც გაკვეთილის დაგეგმვისას ვუშვებთ, ეს არის სიღრმისეული წვდომის ეტაპის დაგეგმვა. აქ ხშირად ჭარბობს მასწავლებლის იმპერატიული აზროვნება და საკუთარი კომპეტენციის დადასტურების სურვილი.

53 | თამთა დოლიძე
როგორ დავწეროთ სასკოლო პროექტი
პროექტული სწავლების გზით მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება. ამას გარდა, მოზარდებს ეძლევათ საკომუნიკაციო უნარების დახვეწის შესაძლებლობაც.

საგანმანათლებლო რესურსი

17 | დავით ჩივაძე
როგორ დავწეროთ ხუთაბზაციანი ესე
ესეს წერის დასაწყებად დიდი მნიშვნელობა აქვს სათაურზე კონცენტრირებას. შესაძლოა, მართლაც დავწეროთ კარგი ესე, მაგრამ მას არ ექნება ღირებულება, თუკი არ შეესაბამება სათაურს. სასურველია, წერის დაწყებამდე სათაურში მოვნიშნოთ საკვანძო სიტყვები, რათა მუშაობის პროცესში თემასთან კავშირი არ დავკარგოთ.

27-30

ინა იმედაშვილი
თუ თქვენი მოსწავლე გაკვეთილზე გამუდმებით ხატავს

დავით გორგილაძე
როცა ენოტი ღრუღლობს, სიბნელე წვება

გურამ მეგრელიშვილი
$AX^2+BX+C=0$ გადაუხადე სხვას

ნასტასია არაბული
რამდენი საერთო მეგობარი ეყოლებოდა თამარ მეფეს დავით სოსლანთან

მოსაზრება

21 | ელენე ჯიბლაძე
მოსწავლეთა ავტონომიურობის ხელშეწყობი აქტივობები
მოსწავლის ავტონომიურობის ხელშეწყობის საინტერესო მიმართულებად მოსწავლეთა თვითშეფასება/თანატოლების შეფასება, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, თანამშრომლობაა მიჩნეული.

25 | მაია კუდავა
როგორ გავზარდოთ მოტივაცია დაწყებითი კლასის მოსწავლეებში
სასურველია მოსწავლეს ჰქონდეს სწავლის შესაბამისი გარემო, მინიმუმ კომფორტული მაგიდა. ხანდახან ეს ვერ ხერხდება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოში სწავლას მოწყურებული უამრავი ბავშვია, რომელიც ომისა თუ შიმშილის გამო ამ სიკეთეს მოკლებულია.

37 | მარიამ გოდუაძე
ენობრივ-კომუნიკაციური უნარები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის ჩარჩოში
ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება გულისხმობს, კონკრეტულ ენობრივ ჯგუფში, სოციალურად მისაღები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებული პირობების ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას.

განათლების ფსიქოლოგია

47 | ქეთევან ოსიაშვილი
უმართავი ბავშვები
აუცილებელია, რომ უმართავ ბავშვთან ურთიერთობაში ვიყოთ ემოციურად გაწონასწორებული და ყვირილის, გაღიზიანებისა და ჩხუბის გარეშე ვესაუბროთ მას. ასეთი ბავშვის ქცევის ჩხუბით მართვა იგივეა, რომ აბობოქრებული სტიქიის შეჩერებას ყვირილით შევეცადოთ.

მაია მენაბდე

ვასწავლოთ თვითშეფასება

> თვითშეფასების უნარი და ზომიერი თვითკრიტიკა აუცილებელია პიროვნების სწორი განვითარებისთვის და რომ ამ უნარების გამომუშავება თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

მგონი, აღარავინ დავობს იმაზე, რომ თვითშეფასების უნარი და ზომიერი თვითკრიტიკა აუცილებელია პიროვნების სწორი განვითარებისთვის და რომ ამ უნარების გამომუშავება თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს.

ჩემს მეექვსეკლასელებს, შარშან რომ სანიმუშოდ იქცეოდნენ, წელს ველარ ვცნობ. გაკვეთილზე კონცენტრაციაც უჭირთ და არც ერთმანეთთან დამოკიდებულება აქვთ სახარბიელო. თუ შენიშვნა მივეცი, აუცილებლად სხვისკენ იშვერენ ხელს. უყვართ ხოლმე თქმა: „მარტო მე შემამჩნიეთ, მასწავლებელო?!“ ხშირად მიწევს ახსნა, რატომ მივეცი შენიშვნა და მტკიცება, რომ ის ნამდვილად სამართლიანი იყო.

არასოდეს მენანება დრო ასეთ პრობლემებზე სასაუბროდ, მაგრამ მხოლოდ საუბარი არაფრის მომცემია, არც მათი საქციელის მხოლოდ შეფასებაა ეფექტური. მივხვდი, რომ საკუთარ თავზე, ქცევაზე დაკვირვება უფრო შედეგიანი იქნებოდა და დავიწყე კიდეც მეთოდებზე ფიქრი.

როცა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარებზე მუშაობას შევუდექი, ორი მიზანი მქონდა: 1) ბავშვებს დავხმარებოდი საკუთარ თავზე დაკვირვებასა და გაკვეთილზე ქცევის მართვაში; 2) ბიძგი მიმეცა, უფრო მეტად დაკვირვებოდნენ თანაკლასელებს, მათ დადებით მხარეებს.

ჩავთვალე, რომ ჯობდა, ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიმეჩვია საკუთარ თავსა და სხვაზე დაკვირვებისთვის, ამიტომაც ვეცადე, პირველი თვითშეფასება მარტივი და სახალისო ყოფილიყო. მოვამზადე ღიმილაკების წყება, რომლებსაც მოკლე აღწერა ახლდა. მაგალითად: „ბრავო, გაკვეთილზე ყველაფერი კარგად გამომივიდა!“ ან „ამ გაკვეთილზე ბევრი რამ გაუგებარი დარჩა ჩემთვის“. ბავშვებს თითოეული გაკვეთილი უნდა მოენიშნათ შესაფერისი ღიმილაკით ან ღიმილაკებით, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავდა.

მერე ისე მოხდა, რომ ერთი საჭირო ღიმილაკი, რომლის აუცილებლობაც დაინახეს, თვითონვე მიახატეს.

	ბრავო, ყველაფერი კარგად გამომივიდა გაკვეთილზე	საერთოდ არ დამაინტერესა გაკვეთილმა	ბევრი რამ გაუგებარი იყო ჩემთვის ამ გაკვეთილზე	რაღაც ვერ გავიგე, უნდა ვკითხო მასწავლებელს	საერთოდ არ ვუსმენდი გაკვეთილს	შენიშვნა დავიმახსოვრე	მასწავლებელი გაგაბრაზე ჩემი საქციელით	ბევრს ვლაპარაკობ, ჩუმად უნდა ვიყო	ძალიან ვნანობ, რომ ბევრი შენიშვნა დავიმახსოვრე გაკვეთილზე
ორშაბათი									
სამშაბათი									
ოთხშაბათი									
ხუთშაბათი									
პარასკევი									
მთელი კვირის ანალიზი									

ამის შემდეგ შევთავაზე თვითშეფასების პირამიდა, რომელიც ოთხ დონედაა დაყოფილი. თითოეული დონე აღნიშნულია ლათინური ასოთი და მოცემულია აღნიშვნის შესაბამისი ტექსტი (რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, ტექსტი საჭიროებისამებრ შეცვალოთ):

A – **ვიყავი ყურადღებით და მთლიანად ვერთვებოდი გაკვეთილში, კითხვებსაც ვუპასუხე.**

B – **ყურადღებით ვიყავი, ვისმენდი, მაგრამ ნაკლებად ვაქტიურობდი, მხოლოდ 1-2-ჯერ ავწიე ხელი.**

C – **არ ვლაპარაკობდი, მაგრამ გაკვეთილში არ ვიყავი ჩართული.**

D – **უყურადღებოდ ვიყავი, ძირითადად არ ვუსმენდი გაკვეთილს და შენიშვნაც დავიმსახურე.**

ბავშვებს უნდა გაეფერადებინათ ის დონე, რომლის შესაბამისადაც იქცეოდნენ გაკვეთილზე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოთხი დონე საკმარისი არ ყოფილა სრულყოფილი თვითშეფასებისთვის და ამის გამო ცოტა უკმაყოფილოები დარჩნენ, ამიტომ სხვა კლასში გამოყენებისას აუცილებლად დავამატებ ორ დონეს მაინც.





A – ვიყავი ყურადღებით და მთლიანად ვერთვებოდი გაკვეთილში, კითხვებსაც ვუპასუხე.

B – ყურადღებით ვიყავი, ვისმენდი, მაგრამ ნაკლებად ვაქტიურობდი, მხოლოდ 1-2-ჯერ ავწიე ხელი.

C – არ ვლაპარაკობდი, მაგრამ გაკვეთილში არ ვიყავი ჩართული.

D – უყურადღებოდ ვიყავი, ძირითადად არ ვუსმენდი გაკვეთილს და შენიშვნაც დავიმსახურე.







მთელი კვირის ანალიზი

> ბავშვები, რომლებიც გაკვეთილზე დაუდევრად იქცეოდნენ, საკმაო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კითხვარებს. უფრო მეტიც: რამდენიმემ ქცევა საგრძნობლად გამოასწორა და მათი თვითშეფასებები სანიმუშოც კი გახდა, როგორც ობიექტური და გულმოდგინე ნამუშევარი.

მოსწავლეებისთვის სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა თვითშეფასებაზე მუშაობა. ბავშვები, რომლებიც გაკვეთილზე დაუდევრად იქცეოდნენ, საკმაო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კითხვარებს. უფრო მეტიც: რამდენიმემ ქცევა საგრძნობლად გამოასწორა და მათი თვითშეფასებები სანიმუშოც კი გახდა, როგორც ობიექტური და გულმოდგინე ნამუშევარი. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ არ მყავს მოსწავლეები, რომელთათვისაც თვითშეფასებაც გაკვეთილებივით უინტერესოა.

ყველაზე მეტად კვირის შემაჯამებელი ანალიზი უჭირთ, რადგან უნდა დაწერონ გაბმული ტექსტი, რომლითაც შეაფასებენ საკუთარ ქცევას კვირის განმავლობაში. თავიდან ძალიან მოკლედ წერენ ხოლმე, მაგრამ გარკვეული მითითებების შემდეგ ეჩვევიან (როდესაც ნამუშევრებს გადავხედე, მთელ კლასს მივეცი მითითება, ყურადღება მიექციათ თავიანთი ნაწერებისთვის, არ ეჩქარათ, რადგან სიჩქარის გამო წინადადებები ხშირად გაუმართავი გამოსდიოდათ).

თითოეულ თვითშეფასებას ვუთმობთ 2-5 წუთს – ხანგრძლივობა შეფასების ტიპზეა დამოკიდებული. ყოველი კვირის ბოლოს მიმაქვს ნაშრომები და ვამოწმებ, ვინ რამდენად სწორად გაიგო თვითშეფასების პრინციპი, რამდენად ობიექტურად შეაფასა საკუთარი თავი. ჩემეული ანალიზი მათთვის არანაკლებ საინტერესო და სახალისოა. ყოველთვის აღვნიშნავ, ვის ნამუშევარს ეტყობოდა განსაკუთრებული გულმოდგინება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები აგდებით არ მოეკიდონ თვითშეფასებას.

ამის შემდეგ გადავედით არა საკუთარი ქცევის, არამედ გაკვეთილის შეფასებაზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს საკუთარი თავის, თანაკლასელებისა და მასწავლებლის შეფასებას მოიცავს. მოსწავლე აკვირდება ზოგად სიტუაციას გაკვეთილზე, როგორია კლასის განწყობა, მასწავლებლის მზაობა. მასწავლებელმაც იცის, რომ ეს ფურცელი მის შეფასებასაც გულისხმობს.

ამ შეფასების ფურცელს არაბავშვური, აკადემიური სახე აქვს. ბავშვებს ვაძლევ ინსტრუქციას, დაშტრიხონ ის მეოთხედი, რომელიც, მათი აზრით, კონკრეტულ გაკვეთილს შეესაბამება. ასევე აქვთ უფლება, გაამუქონ არა ერთი, არამედ ორი ნაწილი, თუ სურთ, სანახევროდაც.



გაკვეთილის შეფასება

ორშაბათი

I - დღეს გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა, არც მასწავლებელს მოუცია ბევრი შენიშვნა; ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდრომაც ჩავეტიეთ.

II- გაკვეთილი საშუალოდ საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ, ვასასუხობდით შეკითხვებს. მასწავლებელმა მხოლოდ 1- 2 ბავშვს მისცა შენიშვნა მშვიდად;

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო, მაგრამ უმეტესობა მაინც ვედილობდით ყურადღებით ვყოფილიყავით. თუმცა 1-2 კლასელის საქციელმა გაფუჭა ყველაფერი და მასწავლებელიც გაანერვიულა. მოგვეცა დავალება, მაგრამ ახსნა ვეღარ მოასწრო;

IV- გაკვეთილი არ გამოვიდა, უყურადღებოდ ვიყავით და მასწავლებელიც წამდაუწუმ გვაძლევდა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლასაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის გვეყო.

სამშაბათი

I - დღეს გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა, არც მასწავლებელს მოუცია ბევრი შენიშვნა.ჩვენც, უმეტესობა, ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდრომაც ჩავეტიეთ.

II- გაკვეთილი საშუალოდ საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ, ვასასუხობდით შეკითხვებს. მასწავლებელმა მხოლოდ 1- 2 ბავშვს მისცა შენიშვნა მშვიდად;

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო, მაგრამ უმეტესობა მაინც ვედილობდით ყურადღებით ვყოფილიყავით. თუმცა 1-2 კლასელის საქციელმა გაფუჭა ყველაფერი და მასწავლებელიც გაანერვიულა. მოგვეცა დავალება, მაგრამ ახსნა ვეღარ მოასწრო;

IV- გაკვეთილი არ გამოვიდა, უყურადღებოდ ვიყავით და მასწავლებელიც წამდაუწუმ გვაძლევდა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლასაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის გვეყო.

ოთხშაბათი

I - დღეს გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა, არც მასწავლებელს მოუცია ბევრი შენიშვნა.ჩვენც, უმეტესობა, ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდრომაც ჩავეტიეთ.

II- გაკვეთილი საშუალოდ საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ, ვასასუხობდით შეკითხვებს. მასწავლებელმა მხოლოდ 1- 2 ბავშვს მისცა შენიშვნა მშვიდად;

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო, მაგრამ უმეტესობა მაინც ვედილობდით ყურადღებით ვყოფილიყავით. თუმცა 1-2 კლასელის საქციელმა გაფუჭა ყველაფერი და მასწავლებელიც გაანერვიულა. მოგვეცა დავალება, მაგრამ ახსნა ვეღარ მოასწრო;

IV- გაკვეთილი არ გამოვიდა, უყურადღებოდ ვიყავით და მასწავლებელიც წამდაუწუმ გვაძლევდა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლასაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის გვეყო.



ხუთშაბათი

I - დღეს გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა, არც მასწავლებელს მოუცია ბევრი შენიშვნა; ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდრომაც ჩავეტიეთ.

II- გაკვეთილი საშუალოდ საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ, ვასასუხობდით შეკითხვებს. მასწავლებელმა მხოლოდ 1- 2 ბავშვს მისცა შენიშვნა მშვიდად;

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო, მაგრამ უმეტესობა მაინც ვედილობდით ყურადღებით ვყოფილიყავით. თუმცა 1-2 კლასელის საქციელმა გაფუჭა ყველაფერი და მასწავლებელიც გაანერვიულა. მოგვეცა დავალება, მაგრამ ახსნა ვეღარ მოასწრო;

IV- გაკვეთილი არ გამოვიდა, უყურადღებოდ ვიყავით და მასწავლებელიც წამდაუწუმ გვაძლევდა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლასაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის გვეყო.

პარასკევი

I - დღეს გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა, არც მასწავლებელს მოუცია ბევრი შენიშვნა; ჩართული ვიყავით გაკვეთილშიდრომაც ჩავეტიეთ.

II- გაკვეთილი საშუალოდ საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩავერთეთ, ვასასუხობდით შეკითხვებს. მასწავლებელმა მხოლოდ 1- 2 ბავშვს მისცა შენიშვნა მშვიდად;

III- გაკვეთილი არ იყო საინტერესო, მაგრამ უმეტესობა მაინც ვედილობდით ყურადღებით ვყოფილიყავით. თუმცა 1-2 კლასელის საქციელმა გაფუჭა ყველაფერი და მასწავლებელიც გაანერვიულა. მოგვეცა დავალება, მაგრამ ახსნა ვეღარ მოასწრო;

IV- გაკვეთილი არ გამოვიდა, უყურადღებოდ ვიყავით და მასწავლებელიც წამდაუწუმ გვაძლევდა შენიშვნებს. ზოგიერთს ხმამაღლასაც კი. შესაბამისად დროც არაფრისთვის გვეყო.

კვირის
აწალიზი:_____

ამ სამი კვირის შემდეგ ჩავთვალე, რომ დრო იყო, ურთიერთშეფასებაზე გადავსულიყავი. მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ბავშვებს ერთმანეთის მიმართ ჩასაფრებულის პოზიცია ჰქონდათ და მათი ობიექტურობა ძალიან მაეჭვებდა, ამიტომ შემოვიღე ცნება „საიდუმლო მეგობარი“. ბავშვები გაკვეთილის განმავლობაში უნდა დაკვირვებოდნენ ერთ ამორჩეულ კლასელს, შეეფასებინათ და იმავდროულად თვითშეფასებაც დაეწერათ. საქმის გასაადვილებლად ავიღე მათთვის უკვე ნაცნობი ვენის დიაგრამა, რომელიც ბავშვებს გაუადვილებდა ერთმანეთის ქცევასთან პარალელის გავლებას და მსგავსება-განსხვავებების დანახვას. ასევე მინდოდა, ამჯერად სიმბოლოებით არ დაკმაყოფილებულიყვნენ და თვითშეფასებისა და შეფასებისთვის თავიანთი სიტყვები შემოეტანათ. ჩემდა სასიხარულოდ, დავალებას მშვენივრად გაართვეს თავი. „საიდუმლოს“ მთელი კვირის განმავლობაში პირნათლად ინახავდნენ. კვირის ბოლოს, ვისაც სურდა, მხოლოდ იმან გაამჟღავნა საიდუმლო მეგობრის ვინაობა.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება

ორშაბათი



სამშაბათი



ოთხშაბათი



ხუთშაბათი



კვირის ანალიზი

როგორ ვიქცეოდი მე	როგორ იქცეოდა ჩემი მეგობარი

მათი ნამუშევრებისა და ჩემი მითითებების შემდეგ მათ შემფასებლურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამჯერად გვერდით მჯდომი უნდა შეეფასებინათ. საკუთარი თავისგან დაისვენეს და მთლიანად მეგობრის შეფასებაზე გადავიდნენ. ახლა დასამალი აღარაფერი იყო, წინა შეფასებებმა აჩვენა, რომ მათი ობიექტურობის ნდობა შეიძლებოდა. ამ შეფასებებში აქცენტი მხოლოდ დადებით ქცევაზე კეთდებოდა, ხოლო რაც, მათი აზრით, გამოსასწორებელი ჰქონდა მეგობარს, მხოლოდ რეკომენდაციის სახით წერდნენ.

შეაფასე გვერდით მჯდომი

2 დადებითი ქცევა .....

.....

.....

.....

გასაუმჯობესებელი გაქვს .....

.....

.....

.....

ორშაბათი

2 დადებითი ქცევა .....

.....

.....

.....

გასაუმჯობესებელი გაქვს .....

.....

.....

.....

სამშაბათი

2 დადებითი ქცევა .....

.....

.....

.....

გასაუმჯობესებელი გაქვს .....

.....

.....

.....

ოთხშაბათი

2 დადებითი ქცევა .....

.....

.....

.....

გასაუმჯობესებელი გაქვს .....

.....

.....

.....

ხუთშაბათი



მათი რეკომენდაციები იყო ყოველთვის ლაკონიური, მაგრამ ობიექტური და გასათვალისწინებელი. მაგალითად:

„დავალება ცოტა მონდომებით და სახლში დაწერე! უფრო იაქტიურე გაკვეთილზე. და მინდა გითხრა, ცოტა ცელქობ!“

„ბევრს ლაპარაკობ და პასიური ხარ, თუმცა დავალება ყოველთვის გაქვს. იმედია, მალე გამოსწორდები“.

„აღარ იყვირო ხელის აწევის დროს და ბევრი არ ილაპარაკო...“

სახალისო რეკომენდაციებიც უხვადაა: *„არ იმაიმუნო და სწავლა გამოასწორე“, “იუმორი უნდა გამოასწორო, იმიტომ, რომ უკბილო ხუმრობებზე ხმამაღლა და დიდხანს იცინი“, „მე ჩამიშვა და გავუბრაზდი და აღარ ჩამიშვას“, „გაკვეთილზე არ უნდა იცინო და ჩუმად არ უნდა ჭამო, გაკვეთილში ჩართული უნდა იყო...“*

ახლა ტაიმაუტი აქვთ აღებული. ვიფიქრე, ცოტა ხანს დავასვენებ-მეთქი, მაგრამ თვითონ ვერ ისვენებენ, ისევ უნდათ თვითშეფასებასა და სხვების შეფასებაზე მუშაობა. ყოველდღე მეკითხებიან, როდის მივუტან შეფასების ფურცლებს.

სწორედ სტატიის წერის დროს მომივიდა აზრად, ერთი გაკვეთილი „წაღმა-უკუღმა უბის წიგნაკებისთვის“ დამეთმო. ფერადი ფურცლებითა და სტეპლერით ბავშვები გააკეთებენ თხელ უბის წიგნაკებს, რომლებსაც უკვე ორი კვირის განმავლობაში შეავსებენ. წაღმა-უკუღმა იმიტომ იქნება, რომ ერთი მხრიდან საკუთარ თავზე დაწერენ, მეორე მხრიდან - მეგობარზე. უფრო მეტიც: ვისაც ენდომება, მე შემაფასებს. ეს ერთგვარი სიურპრიზი იქნება მათთვის და ერთგვარად - მათი გაბედულების გამოცდაც. მივცემ მითითებას, ამ უბის წიგნაკში წერონ დაკვირვებები არა მხოლოდ გაკვეთილზე, არამედ გაკვეთილის გარეთაც. წიგნაკს სახლშიც წაიღებენ (თვითშეფასების ფურცლები არ მიჰქონდათ). ორი კვირის შემდეგ ორშაბათის ერთი გაკვეთილი დაეთმობა მათ თითოწუთიან მონოლოგებს, რომლებშიც შეაჯამებენ თავიანთ დაკვირვებებს საკუთარ თავზე, მეგობარსა თუ მასწავლებელზე. დროის კონტროლისთვის გამოვიყენებთ ქვიშის საათს ან ტაიმერს ლეპტოპის ეკრანზე.

საინტერესო გამოვიდა თუ არა, რა სირთულეებს წავაწყდით და შედარებით დიდებთან რა ფანდები გამოვიყენე, საკუთარ თავსა და საქციელზე დაკვირვება რომ მესწავლებინა, ამას მომდევნო წერილში მოგიყვებით.

მომავალ წერილამდე, მეგობრებო!

ლელა პოტორაშვილი

ოთხი რვეულის მეთოდი წერითი უნარების განვითარებისთვის

წერითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა საკმაოდ შრომატევადია. კვლევები ცხადყოფს, რომ კითხვა და წერა ერთმანეთისგან განცალკევებულ პროცესებად არ უნდა აღვიქვათ. კითხვის შესწავლას წერა უფრო მეტად უწყობს ხელს. მხოლოდ „დავალებისთვის“ წერა უსიამოვნო მოვალეობად იქცევა ხოლმე. ამგვარი მოცემულობის გააზრებისას იწყებ ფიქრს, პატარა ადამიანებისთვის წერა სასიამოვნო პროცესად როგორ აქციო. ამჯერად გამოსავალს კოლეგის გამოცდილების გაზიარებისას მივაგენი.

ოთხი რვეულის პრაქტიკაში დანერგვის შესახებ ხათუნა მასწავლებლისგან შევიტყვე. ხათუნა რამდენიმე წლის წინ კითხვის ეფექტური მეთოდების ვიდეორგოლების წყალობით აღმოვაჩინე. დამწყები მასწავლებლისთვის მიუღწეველი მეჩვენებოდა კლასის მართვის მისეული სტილი, საუბრის ტონი, ერთი გაკვეთილისთვის მრავალფეროვანი რესურსების მომზადება. ასე შორიდან შემიყვარდა. შარშან სკოლის დერეფანში დავინახე თუ არა, მაშინვე ვიცანი. ისე მოხდა, რომ დროსა და სივრცეში გადავიკვეთეთ. დატვირთულმა რეჟიმმა გამოცდილების გაზიარებაში ხელი ვერ შეგვიშალა. მე პირველად მიწევდა პირველკლასელებისთვის წერა-კითხვის სწავლება. ხათუნა კი დაუზარლად, გულისხმიერად მიზიარებდა მრავალწლიან გამოცდილებას. ერთ-ერთი ასეთი საუბრისას ოთახში რაფაზე ჩამწკრივებული პლასტმასის კალათები შევნიშნე და დავინტერესდი. ხათუნამ მიამბო, რომ თითოეულ მათგანში ეწყო სამუშაო რვეულები კონკრეტული მიზნისთვის და განსხვავებული სათაურით.

ვუსმენდი და რთული მეჩვენებოდა მეორეკლასელების ყოველდღიურობაში ოთხი რვეულის პრაქტიკის დანერგვა. მერე მაინც ვცადე. თავდაპირველად ნებისმიერი სიახლე ქაოსს, დაბნეულობას იწვევს და, როგორც ხშირად ხდება, ამგვარი მოლოდინი გვაშინებს. მე შიშებს ომი გამოვუცხადე და ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედება დავიწყე. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ხათუნას ნებართვითა და მისი კეთილი ნებით, გადავწყვიტე, ოთხი რვეულის მეთოდი თქვენც გაგიზიაროთ. რა თქმა უნდა, ნებისმიერ მეთოდს ინდივიდუალიზმით ვამდიდრებთ და ვითვალისწინებთ კლასის ხასიათს,



> წერითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა საკმაოდ შრომატევადია. კვლევები ცხადყოფს, რომ კითხვა და წერა ერთმანეთისგან განცალკევებულ პროცესებად არ უნდა აღვიქვათ. კითხვის შესწავლას წერა უფრო მეტად უწყობს ხელს.

ბავშვების ასაკს, ინტერესებს. სახელწოდებებიც და რაოდენობაც პირობითია.

საშინაო დავალების რვეული

საშინაო დავალების რვეული თავის ფუნქციას ინარჩუნებს. მას სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის ვიყენებთ, მაგალითად, სახელმძღვანელოს ტექსტებს ვამუშავებთ, ქცევის წესებს ვიწერთ, თვითშეფასების კითხვარიც შეგვიდგენია, კითხვაზე პასუხიც გაუციათ და კარნახიც დაგვიწერია.



ერთი რამ, რაც განსაკუთრებულად მოგვწონდა: „საკლასო წერის“ ნაცვლად ჩვენი კლასის ამბებს ვწერდით. მაგალითად: მზე ანათებს, თოკო დაგვიბრუნდა, შემოდგომის ბოლო დღეა, მზე კაშკაშებს, მე დავბრუნდი, წვიმიანი დღეა, მოღრუბლული დღეა, გამარჯობა, ნოემბერო, – ყოველივე ამას ერთ-ერთი მეორეკლასელის საშინაო დავალების რვეულიდან ვიწერ თქვენთვის. თვალწინ გამირბინა პირველმა სემესტრმა. გამახსენდა, როგორ უხაროდათ, როგორ ვარჩევდით ერთად, როგორ ვიღებდით გადაწყვეტილებას. ამგვარად უბრალო დღეებით გახარებას და წვრილმანებზე დაკვირვებას ვასწავლით. თანაკლასელის სკოლაში დაბრუნება რომ უნდა უხაროდეთ, ამასაც სწავლა უნდა.

სიტყვის კონა

„სიტყვის კონა“ – ახსენა თუ არა ხათუნა მასწავლებელმა, მაშინვე



მოვიხიბლე. ეს არის რვეული, რომელსაც ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ვიყენებთ. ახალი ტექსტის წაკითხვას ვაპირებთ? შეგვიძლია, მანამდე უცნობი ან მთავარი სიტყვები დაფაზე ჩამოვწეროთ და ბავშვებს მათი „სიტყვის კონაში“ ჩაწერა ვთხოვოთ. თითოეულზე სიტყვის რუკის აგება კიდევ უფრო გასაგებს გახდის ახალი სიტყვების მნიშვნელობას. ხმამაღალი კითხვის დროსაც, მოსმენის პარალელურად, საინტერესო სიტყვებს „სიტყვის კონაში“ იწერენ.

მხოლოდ „დავალებისთვის“ წერა უსიამოვნო მოვალეობად იქცევა ხოლმე. ამგვარი მოცემულობის გააზრებისას იწყებ ფიქრს, პატარა ადამიანებისთვის წერა სასიამოვნო პროცესად როგორ აქციო. ამჯერად გამოსავალს კოლეგის გამოცდილების გაზიარებისას მივაგენი.

ერთი სიტყვით, ყოველდღიურად ვაგროვებთ სიტყვებს, ვაკვირდებით ასო-ბგერებს და მუდმივად ვთამაშობთ, ვიგონებთ ახალ სიტყვებს. მაგალითს ისევ მეორეკლასელის რვეულიდან შემოგთავაზებთ:

ციცხვი → ცაცხვი → ხის მოსარევი.

კონწიალობენ → კოპწია → ქანაობდნენ.

სურნელოვანი → სუნამო → სასიამოვნო სუნი.

ხმამაღალი კითხვისას ჩაწერილი სიტყვებიც უნდა გაგაცნოთ. ერთხანს ნორვეგიელი მწერლის, თუბიორნ ეგნერის „ილის ქალაქს“ ვუკითხავდი. ერთ-ერთ „სიტყვის კონას“ კი 7 წლის ადამიანის მიერ მოწონებული შემდეგი სიტყვები შემოუნახავს:

„კოშკურა, შეჰყურებს, ავდარი, მოფუსფუსე, ლეგა, ნესტიანი, ფაციფუცი...“

სიტყვათა ამგვარი დაგემოვნებით ბავშვებს უმახვილდებათ თვალი, დაკვირვებულები ხდებიან, უყვარდებათ მშობლიური ენა და მათი გონება ნაირ-ნაირი სიტყვებით ივსება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი ფუნდამენტისთვის. იაკობ გოგებაშვილის წერილი „ბურჯი ეროვნებისა“ მახსენდება, რომელშიც დაწვრილებით გვიხსნის ავტორი მშობლიური ენის სწავლების ასაკობრივ თავისებურებებს. უმთავრესი კი ის არის, რომ ბავშვი რაც უფრო თავისუფლად, თევზივით ილივლივებს მშობლიური ენის სამყაროში, მით უფრო მეტად განივითარებს ნიჭსა და შესაძლებლობებს.

მწერლის რვეული

ხათუნა მასწავლებელს მიაჩნია, რომ „მწერლის რვეული“ ბავშვის თავისუფალი ნების გამოვლენისა და შემოქმედებითი წერის სწავლების საუკეთესო გზაა. უფროსი მეგობრის რჩევა გავითვალისწინე და არცერთ შეცდომას არ ვასწორებდი, რადგან შეცდომებზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება ლოკოკინას ეფექტი გამოიწვიოს და სამზეოზე ძლივს გამოტანილი საკუთარი სამყარო ისევ ნიჟარაში გამოკეტოს.

ამჯერად მხატვრულ ხერხს - *გაპიროვნებას* მივმართე და გავასულიერეთ ყველაფერი: ჩანთები, მაისურები, შარვლები, ფეხსაცმელები, კაბები, დაფა, საკლასო ოთახის კარადა, მთვარე... ჩემი დაკვირვებით, დავალების მიზანი პატარა ადამიანებისთვის კიდევ უფრო გასაგები ხდება, როდესაც თავად ვუამბობ ჩემივე ნივთების შესახებ. ყველამ იცის, როგორ უყვართ ამბების მოსმენა. ამიტომ მეც დავეუფლე გამომსახველობით თხრობას. ერთხელ ხელი დავავლე ჩემს ყავისფერ ჩანთას და პირველ პირში ვალაპარაკე: როგორ აღმოაჩინა ლელამ, რას დაატარებს, სად დადის, რა უყვარს, როგორია



მისი პატრონი. თვალებგაფართოებულები ხომ მისმენდნენ, დროდადრო გულიანადაც ხითხითებდნენ, მეორე დღეს კი ყველა მოსწავლის „მწერლის რვეული“ სასკოლო ჩანთების ამბებს ჰყვებოდა. ნივთებს „ვალაპარაკებდი“, ბავშვებს ინტერესს ვუღვივებდი, გასაგები ხდებოდა დავალების ინსტრუქცია და ეს ყველაფერი მათ წერისკენ უბიძგებდა.

ნაწერის ბოლოს ილუსტრაციის დახატვას ვთხოვდი, რაც უფრო მეტად ალამაზებდა და ინდივიდუალობას მატებდა რვეულებს. შეცდომების აღმოჩენისას ასეთ ხრიკს მივმართე: განმავითარებელ კომენტარებს ვუწერდი და ვცდილობდი, არასწორად გამოყენებული სიტყვა სწორად დამეწერა.

განმავითარებელ კომენტარებზე კიდევ უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ყოველი ნივთის გასულიერების ბოლოს ვცდილობდი, უკუკავშირი კომენტარებით გამომეხატა, რაც სულაც არ არის მარტივი. ამას კარგად განვითარებული ფანტაზია სჭირდება. ნელ-ნელა მიმოწერაც გაიბა. ბავშვებს კითხვებს ვუტოვებდი და ისინიც მპასუხობდნენ ან თავადაც მიბრუნებდნენ კითხვას. ზოგჯერ თანაკლასელის „მწერლის რვეულში“ გადავამისამართებდი ხოლმე. ყველაფერთან ერთად ერთმანეთის ხელნაწერის ცნობაც უნდა ისწავლონ.

განმავითარებელი კომენტარებიდან:

„რა კარგი ამბავია!“ – მე წვრილანა ასოებით.

„ასე გგონია?“ – ის ბუთქუნა ასოებით.



„უყურე შენ, როგორი მელაკუ-და ყოფილა ჩვენი დაფა!“ – მე. „ასე გამოდის!“ – ის.

„ფიფქო, მიამბე შენი სახლის – ცის – შესახებ!“ – მე.

„ჩემი ცა ძალიან უცნაურია და ბევრი საინტერესო ამბავი ხდება“, -ის.

„იცი, სოფელში რომ ვცხოვრობ-დი, მთვარე მთის წვერზე ცხოვ-რობდა. ყოველღამ ველოდი მის გამოჩენას“, – მე.

„მართლა?“ – ის.

პოეზიის რვეული

„პოეზიის რვეულში“ ლექსებს ვიწერთ – ერთ ან რამდენიმე სტროფს. თუ „მწერლის რვეულ-ში“ თავისუფლები არიან და გამოუცდელობის გამო სივრცის აღქმა უჭირთ, ბევრ შეცდომას უშვებენ, „პოეზიის რვეულში“ წერა არაჩვეულებრივი მეთო-დია დაფიდან გადაწერის გზით სივრცითი აღქმის, სუფთად, კოხტად და ფაქიზად წერის უნარის განსავითარებლად.

ვუკითხავთ რომელიმე ლექსს, ვსაუბრობთ, გაუგებარი სიტყ-ვების მნიშვნელობას ვუხსნით, შემდეგ რომელიმე სტროფს დაფაზე ვწერთ, ბავშვები კი პო-ეზიის რვეულებში იწერენ. ბოლოს კონკრეტული სტროფის შინაარსი ნახატად გადააქვთ ფურცელზე.

სახლში შიო მღვიმელის ლექსე-ბის კრებული აღმოვაჩინე. მის გამოცემას ჩემი ლექტორი, ქალ-ბატონი რუსუდან ნიშნიანიძე ხელმძღვანელობდა 2007 წელს და სტუდენტებს გვაჩუქა. მანვე გაგვაცნო პოეტის ქალიშვილი, ქეთევან ქუჩუკაშვილი – ღრმად მოხუცებული იჯდა წიგნებით გადავსებულ ოთახში და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობდა. გადავწყვიტე, შიო მღვიმელის პოეზია ჩემს მოსწავლეებ-თან ერთად უფრო კარგად გამეცნო. პირველივე ლექსმა დაუვიწყარი ამბები დაატრი-ალა. „ნაძვები“ ხუთ და-ძმაზეა, რომლებსაც დედა ერთ ტყიან ფერდობზე ნებივრად ზრდის და აყვარებს სამყაროს. ჰარმონიას ადამიანი არღვევს ცულითა და წალდით. აკაფულ და-ძმებს ქალაქში წაიყვანს, სადაც ისინი საახალწლოდ ტკბილეულს და სათამაშოებს გამოისხამენ.

ბავშვებმა შესაშური გულისხმი-ერებით იმსჯელეს ხეების მნიშ-ვნელობაზე, რამდენიმე დღის მოჭრილ ნაძვებზე. ერთ-ერთი სტროფის საილუსტრაციოდ მრავალფეროვანი ნახატებიც შექმნეს. 7 წლის მართას შთა-ბეჭდილებები სახლში გაუყო-ლებია და მშობლებისთვის შიო მღვიმელის ლექსების კრებუ-ლის ყიდვა უთხოვია. მართას მამას წიგნის მაღაზიაში რომ ვერ უპოვია, ძებნა ბუკინის-ტებთან გაუგრძელებია და იქ უყიდია, თუმცა ლექსი, რომელ-მაც პატარა მართას ოჯახში შიო მღვიმელი აქტუალური გახადა, იმ კრებულში არ აღმოჩენილა.

შიო მღვიმელის პოეზია XXI საუკუნის ბავშვებმა ძალიან შეიყვარეს. მისმა ჰუმანურმა, სიკეთით სავსე ლექსებმა, მათში ასახული სამყაროს მშვენიერე-ბამ პატარა ადამიანების გულე-ბამდე ადვილად გაიკვლია გზა.

რამდენიმე რჩევა

შეიძლება იფიქროთ, ოთხი რვეული მეორეკლასელებს თავგზას აუბნევსო. პირიქით, მალე გაიწაფებიან და ერთ გაკვეთილზე, მიზნის შესაბამი-სად, შეგვეძლება გამოვიყენოთ „სიტყვის კონაც“, საშინაო დავალების რვეულიც და „პოეზიის რვეულიც“, „მწერლის რვეულის“ ჩანაწერებით კი დღის ბოლოს დავტკბეთ და განმავითარებელი კომენტარე-ბით მიმოწერაც გავაბათ.

ამგვარად ბავშვები სწავლო-ბენ რამდენიმესაფეხურიანი ინსტრუქციის შესრულებას. ეს არის უნარი, რომლის განსავი-თარებლად მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო.

რვეულის ყდას ვაფორმებთ და შესაბამის სათაურს ვაწერთ.

ოთხი რვეულის მეთოდი არა მარტო დაწყებით საფეხურზე, არამედ ზედა კლასებშიც შეიძ-ლება დავნერგოთ.

ოთხმა რვეულმა ჩემს მეორე კლასში წერითი აქტივობებისად-მი ყურადღება გაზარდა და პრო-ცესში ყველა მოსწავლე ჩართო.

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნე, ხათუნა მასწავლებე-ლი კითხვის ეფექტური მეთო-დების სასწავლო ვიდეორგოლე-ბით აღმოვაჩინე და შევიყვარე. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, ერთ სივრცეში თუ მოგვიწევდა მუშაობა, თუმცა კიდევ უფრო წარმოუდგენელი რამ მოხდა: დეკრეტულ შვებულებაში გასვლის შემდეგ ჩემს მოსწავ-ლეებთან მუშაობა ხათუნა მასწავლებელმა გააგრძელა. ახლა წერილებს აწერინებს ჩემთვის ბავშვებს და სათუთად შეკოწიწებულს სახლში მიგზავ-ნის. წერილებს ოთხ რვეულში მუშაობის კვალი ატყვია. ერთი მათგანი ასე მთავრდება:

„ლელა მას, როგორ ფიქრობთ, დაგვიბრუნდებით?“

სათითაოდ უნდა მივწერო და პასუხები ფოსტით გავუგზავნო.

მაია ჯაღიაშვილი

დიალოგური სწავლების უპირატესობანი

> დიალოგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური ყოფის თითქმის ყველა სფეროში, ფილოსოფიასა თუ ფსიქოლოგიაში, დიპლომატიასა და ყოველდღიურობაში. განსაკუთრებულ ღირებულებას კი იგი სასწავლო პროცესში იძენს.

დიალოგურ სწავლებას ხშირად სოკრატულსაც უწოდებენ, რადგან სოკრატე სწორედ დიალოგს იყენებდა, რათა მსმენელი ცნებათა მნიშვნელობების აღმოჩენამდე მიეყვანა. დიალოგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური ყოფის თითქმის ყველა სფეროში, ფილოსოფიასა თუ ფსიქოლოგიაში, დიპლომატიასა და ყოველდღიურობაში. განსაკუთრებულ ღირებულებას კი იგი სასწავლო პროცესში იძენს. მაინც როგორია და რას ეფუძნება ამგვარი სწავლების უპირატესობა?

როგორც ცნობილია, დიალოგი კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მისი საშუალებით საუბარში მონაწილე ადამიანებს უჩნდებათ თანაბარმნიშვნელოვნების განცდა, შეგრძნება, რომ ერთნაირი უფლება აქვთ აქტივობისა. რა თქმა უნდა, დიალოგის ხასიათს განაპირობებს ის, თუ ვინ არიან მისი მონაწილეები. ეს რთული სოციალური მოვლენაა, რომლის გაგებასა და გააზრებას სისტემური მიდგომა და ანალიზი სჭირდება. დიალოგის მეთოდოლოგიური ანალიზი ნათლად გვიჩვენებს მის ბუნებას, პოლემიკურ ხასიათს, ფორმების მრავალგვარობას, ძირითადი კომპონენტების რაობას.

დიალოგის სტრუქტურა თანამშრომლობით ასპექტებს ეფუძნება. ფსიქოლოგიის პოზიციიდან კი ეს არის ურთიერთგავლენა, ურთიერთზემოქმედება, ერთობლივი ფსიქოლოგიური „მოვლენა“. სასკოლო სივრცეში სხვადასხვა ტიპის დიალოგია საჭირო, რადგან სწავლა-სწავლების პროცესი რთულია და მასწავლებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ მისმა მუშაობამ შედეგი გამოიღოს.

გაკვეთილზე რეალური დიალოგისთვის საჭიროა:

1. ორი მხარის (მოსწავლისა და მასწავლებლის, ან მოსწავლეების) სურვილი და მზადყოფნა, გამოხატონ თავიანთი პოზიცია აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით;
2. მზადყოფნა, აგრესიისა და სიძულვილის გარეშე მიიღონ და შეაფასონ მეორე მხარის თვალსაზრისი. სკოლაში, გაკვეთილზე, შეიძლება არ იყოს აგრესია თუ სიძულვილი, მაგრამ იყოს ერთგვარი გულგრილი მიუღებლობა მასწავლებლისა თუ მოსწავლის მხრიდან;
3. მზადყოფნა აქტიური და შემტევი ურთიერთქმედებისთვის;
4. დიალოგის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ საერთო განსახილველი პრობლემა და განსხვავებული თვალსაზრისები მისი გადაჭრის შესახებ.

დიალოგის მიზანი რაიმე საკითხის გადაწყვეტა უნდა იყოს. ის განიხილება როგორც კითხვა-პასუხის გზით ურთიერთზემოქმედების სისტემა, რომელშიც განუწყვეტლივ იცვლება კითხვის დამსმელი თუ მოპასუხე მხარეები. მაგალითად, თუ მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში რაიმე თემასა თუ საკითხზე მხოლოდ კითხვებს სვამს, მოსწავლეები კი მხოლოდ მოპასუხეები არიან, მაშინ, რა თქმა უნდა, დიალოგზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ მასწავლებელს დიალოგური მე-

თოდის გამოყენება სურს, პოზიცია უნდა დათმოს და განხილვის პროცესში ისეთივე მოპასუხედ იქცეს, როგორიც მისი მოსწავლეა. ასე რომ, პედაგოგმა გაკვეთილის დაგეგმვისას, კონკრეტული მიზნის განსაზღვრისას, უნდა გაითვალისწინოს, რა მიზნის მისაღწევად სჭირდება დიალოგური მეთოდი. თუმცა, რადგან მთავარი შემოქმედებითობაა, რასაკვირველია, გაკვეთილის პროცესში დიალოგი შეიძლება სპონტანურად, სრულიად დაუგეგმავადაც დაიწყოს. მთავარია, მასწავლებელი კარგად იყოს მომზადებული საგაკვეთილო თემისათვის.

დიალოგი სხვადასხვაგვარია: ინტელექტუალური შეჯიბრება, იდეების ბრძოლა, აზრთა შეხლა-შემოხლა და სხვა.

დიალოგის რამდენიმე მოდიფიკაცია არსებობს. მასწავლებელს გაკვეთილზე ნებისმიერი მათგანის გამოყენება შეუძლია:

1. **თვითკრიტიკული დიალოგი** – ეს არის შინაგანი ურთიერთობა საკუთარ თავთან თვითშეფასებისა და თვითანალიზის მიზნით. რეალურად, ეს არის, მაგალითად, რეფლექსია ჩატარებულ გაკვეთილზე ან მოსწავლის გულწრფელი პასუხები თვითშეფასების კითხვარზე. ამ შემთხვევაში ეს კითხვარი მასწავლებლის განსჯის საგნად კი არ უნდა იქცეს, არამედ მოსწავლეს უნდა დაეხმაროს, თვითვე განახორციელოს საკუთარი სწავლების ხარისხის მონიტორინგი. ამ დროს დიალოგში თითქოს ადამიანის ორი „მე“ მონაწილეობს. რაც უფრო ადრე მიეჩვევა მოსწავლე საკუთარ თავთან ამგვარ დიალოგებს, მით უკეთესი მისთვის, რადგან თვითკრიტიკულობით უფრო კარგად დაინახავს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ამგვარად, კრიტიკაც ნაკლებად მტკივნეული და მეტად დამაფიქრებელი ხდება, რადგან ადამიანი ხარვეზებზე თვითონვე მიანიშნებს საკუთარ თავს. თვითკრიტიკული დიალოგი მისი შემეცნების განვითარებას უწყობს ხელს.

2. **დიალოგი კრიტიკული მაშინაა**, როდესაც ერთი ადამიანი მეორის შეხედულებებსა თუ თვისებებს უარყოფითად აფასებს და, შესაბამისად, აკრიტიკებს. ეს არის ერთგვარი შეფასებითი ურთიერთდამოკიდებულება.

   კრიტიკულ დიალოგში გამოყოფენ რამდენიმე ფაზას:
   - პრობლემის დასმა;
   - პრობლემის მიზეზების ანალიზი;
   - იმ მოქმედებათა შეფასება, რომლებმაც პრობლემა ვერ გადაჭრა;
   - კონსტრუქციული წინადადების გამოთქმა;
   - გადაჭრის გზების შეთავაზება;
   - კრიტიკის ობიექტის არგუმენტთა მიღება ან უარყოფა.

კრიტიკული დიალოგი მაშინ არის ეფექტური, როდესაც მასში დიალექტიკური უარყოფა

> დიალოგის მიზანი რაიმე საკითხის გადაწყვეტა უნდა იყოს. ის განიხილება როგორც კითხვა-პასუხის გზით ურთიერთზემოქმედების სისტემა, რომელშიც განუწყვეტლივ იცვლება კითხვის დამსმელი თუ მოპასუხე მხარეები.

შეესაბამება პრობლემის უფრო ნათლად წარმოჩენას. ამ დროს უმნიშვნელოვანესია, დიალოგში მონაწილე მხარეებმა დაიცვან ზნეობრივ-ეთიკური ნორმები. მთავარია პატიოსნება, მონაწილეთა მიუკერძოებლობა, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგება. ამ დროს არსებითია, გაკრიტიკებულს არ მიეწეროს ისეთი თვალსაზრისი, რომელსაც ის არ იზიარებს, არ დამახინჯდეს მისი აზრები და შეხედულებები, საერთო კონტექსტიდან არ ამოიგლიჯოს ცალკეული ფრაზა თუ იდეა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, არ შეილახოს ღირსება იმ ადამიანისა, ვისაც აკრიტიკებენ. სკოლაში ეს განსაკუთრებით რთულდება, რადგან მოსწავლეებს უჭირთ კრიტიკის დროს ზომიერების დაცვა. ამგვარი კრიტიკული დიალოგების დროს ხშირად ჩნდება შეურაცხმყოფელი ეპითეტები, დაუსაბუთებელი ბრალდებები. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეები კრიტიკულ დიალოგებსაც უნდა შეაჩვიოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიფიქროს იმგვარი დიალოგი, სადაც თვითონ იქნება გაკრიტიკებულის როლში. ამ შემთხვევაში მას აღარ ექნება მენტორის დამთრგუნველი თავდაჯერებულობა და მოსწავლეებიც ნელ-ნელა მიეჩვევიან ერთმანეთის იმგვარ კრიტიკას, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი გულისტკენისა და შეურაცხყოფისგან.

კრიტიკული დიალოგი ერთმანეთის ნდობასა და პატივისცემას უნდა ეყრდნობოდეს. ამავე დროს, მნიშვნელოვანია გულწრფელობა და კრიტიკისთვის მზადყოფნა. ასეთი დიალოგი მონაწილეთაგან არა მხოლოდ ინტელექტუალურ-ანალიტიკურ მობილიზაციას, არამედ ფსიქოლოგიურ მომზადებულობასაც მოითხოვს.

კრიტიკულ დიალოგს შეიძლება ახლდეს გაკრიტიკებულის ისეთი რეაქცია, როგორიცაა: შესიტყვება, ემოციური აღგზნება, გაბრაზება, აღშფოთება, ტირილი. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ კრიტიკული დიალოგის დროს პიროვნებას თითქოს ნიღაბი ეხსნება და მისი უარყოფითი თვისებები კარგად წარმოჩნდება. ამავე დროს, მისი ყველა სულიერ-ემოციური ძალაც მობილიზდება.

როგორც ამბობენ, კრიტიკული დიალოგი – ეს არის „დრამა ღია ფინალით“, რომლის პროგნოზირებაც ძნელია. მასწავლებელს კი, როგორც საგაკვეთილო სივრცეში კრიტიკული დიალოგის უფრო ხშირად წარმმართველს, მართებს ზუსტად და მკაფიოდ ფორმულირებული არგუმენტების მოხმობა, შესაფერისი ტონის, ინტონაციისა თუ ჟესტ-მიმიკის მოძებნა, რათა დასაბუთებაში რაიმე „პირადული“ არ გაიპაროს.

3. **დისკუსიაც დიალოგის ფორმაა**, რომელიც პრობლემის გადასაჭრელად განსხვავებულ თვალსაზრისთა მოხმობასა და გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს. აქ მნიშვნელოვანია იმ თეზისის გამოკვეთა, რომელსაც დისკუსიის მონაწილეები ან მიიღებენ, ან უარყოფენ. ამიტომ საჭიროა, რომ:

   ა. თეზისი ნათლად იყოს ჩამოყალიბებული;
   ბ. არ იცვლებოდეს დიალოგის განმავლობაში;
   გ. არ შეიცავდეს ლოგიკურ წინააღმდეგობას.

დისკუსია დიალოგური ურთიერთობის რთული სოციალური სისტემაა, ამიტომ მასწავლებელმა, თუ მის გამოყენებას გადაწყვეტს:

1. კარგად უნდა გამოკვეთოს პრობლემის არსი;
2. ყურადღებით გაანაწილოს ჯგუფები;
3. გაითვალისწინოს მონაწილეთა ინტერესები.

სასწავლო პროცესში დიალოგური მეთოდების ჩართვა გაამრავალფეროვნებს გაკვეთილს, ამიტომ კარგი იქნება, თუ პედაგოგი მათ ხშირად გამოიყენებს. ცხადია, ეს მასწავლებლისგან მოითხოვს კარგად მომზადებას, სხვათა შორის, ინტელექტუალურ-ემოციური თვალსაზრისითაც, რათა მან ადეკვატური საშუალებები შეარჩიოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიტანს დიალოგური მეთოდი წარმატებას.

დავით ჩივაძე

როგორ დავწეროთ ხუთაბზაციანი ესე

კალამი, როგორც შექსპირმა თქვა, მახვილზე ძლიერია, თუმცა მხოლოდ კალამი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კარგად ვწეროთ – გარკვეული ცოდნა და უნარ-ჩვევებიც საჭიროა. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში იდეების მკაფიოდ, ეფექტურად გადმოსაცემად ხშირად მიმართავენ ესეს, რომელიც გვეხმარება, მოვუთხროთ მკითხველს, რას ვფიქრობთ ამა თუ იმ საკითხზე, წარმოვუდგინოთ არგუმენტები, რომლებიც დაარწმუნებენ, რომ ჩვენი მოსაზრებები ანგარიშგასაწევი, საინტერესო და დამაჯერებელია.

წინამდებარე სტატიაში მოგითხრობთ ხუთაბზაციანი ესეს სტრუქტურაზე და გაგიზიარებთ რჩევებს, რომლებიც ესეს წერის პროცესში გამოგადგებათ.

როგორ შევარჩიოთ თემა ესესთვის?

- შევარჩიოთ პრობლემა, საკითხი, რომელზეც შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს;
- დავფიქრდეთ კითხვაზე, რომელიც პრობლემას საინტერესო კუთხით დაგვანახებს;
- როგორია კითხვაზე ჩვენი პირველი რეაქცია: ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით?
- რა არგუმენტების, მტკიცებულებების მოძიება შეიძლება საკითხის განხილვის პროცესში?
- რა პრობლემებს შეიძლება წავაწყდეთ საკითხის განხილვის დროს?

ხუთაბზაციანი ესეს სტრუქტურა

ესეს წერის დასაწყებად დიდი მნიშვნელობა აქვს სათაურზე კონცენტრირებას. შესაძლოა, მართლაც დავწეროთ კარგი ესე, მაგრამ მას არ ექნება ღირებულება, თუ სათაურს არ შეესაბამება. სასურველია, წერის დაწყებამდე სათაურში მოვნიშნოთ საკვანძო სიტყვები, რათა მუშაობის პროცესში თემასთან კავშირი არ დავკარგოთ.

> ესეს წერის დასაწყებად დიდი მნიშვნელობა აქვს სათაურზე კონცენტრირებას. შესაძლოა, მართლაც დავწეროთ კარგი ესე, მაგრამ მას არ ექნება ღირებულება, თუ სათაურს არ შეესაბამება. სასურველია, წერის დაწყებამდე სათაურში მოვნიშნოთ საკვანძო სიტყვები, რათა მუშაობის პროცესში თემასთან კავშირი არ დავკარგოთ.

წერის დაწყებამდე შევადგინოთ ესეს გეგმა. რაც უფრო მკაფიო მონახაზი გექნებათ, მით უფრო ადვილი იქნება შინაარსობრივი მხარის ორგანიზება და ესეს გამართული სახით წარმოდგენა.

სტანდარტული ესე სამი ნაწილისაგან შედგება:

- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა.

სამივე თანაბრად მნიშვნელოვანია. ძირითადი ნაწილი დანარჩენ ორზე ვრცელია. ასეთ ესეს, პირობითად, ხუთაბზაციანს უწოდებენ: პირველი ნაწილი ერთი აბზაცისგან შედგება, მეორე, ძირითადი ნაწილი – სამისგან, მესამე, დასკვნითი ნაწილი კი – კვლავ ერთი აბზაცისგან.

ესეს სტრუქტურა

შესავალი

- მკითხველის ინტერესის გაღვივება
- თეზისის ჩამოყალიბება
- ქვეთემების მოკლე მიმოხილვა, რომელთაც ზირითად ნაწილში შეეხებით

ძირითადი ნაწილი

- თემატური წინადადება, რომელშიც გადმოცემულია პირველი ქვეთემა
- დამადასტურებელი დეტალები / მაგალითები
- ახსნა, როგორ ასაბუთებს ეს მაგალითები თქვენს თეზისს

- თემატური წინადადება, რომელშიც გადმოცემულია მეორე ქვეთემა
- დამადასტურებელი დეტალები / მაგალითები
- ახსნა, როგორ ასაბუთებს ეს მაგალითები თქვენს თეზისს

- თემატური წინადადება, რომელშიც გადმოცემულია მესამე ქვეთემა
- დამადასტურებელი დეტალები / მაგალითები
- ახსნა, როგორ ასაბუთებს ეს მაგალითები თქვენს თეზისს

დასკვნა

- თეზისის პერიფრაზირება
- ხედვების შეჯამება
- რეკომენდაციები / მიწოდება მოქმედებისკენ

ესეს შესავალი

ესეს შესავლის მიზანს განსახილველ საკითხთან მიმართებით თქვენი პოზიციის (ე.წ. თეზისის) წარმოჩენა წარმოადგენს, თუმცა ეფექტური შესავალი ცოტა უფრო მეტს ნიშნავს. სანამ უშუალოდ თეზისზე გადახვიდოდეთ, სასურველია, გამოიყენოთ ერთგვარი სატყუარა, რათა მკითხველის ყურადღება მიიპყროთ. წარმოვიდგინოთ, რომ წიგნის მაღაზიაში ვირჩევთ წიგნს და პირველ გვერდს ვკითხულობთ. სწორედ პირველმა გვერდმა შეიძლება განსაზღვროს, წავიკითხავთ თუ არა ამ წიგნს. ავტორები მკითხველის დასაინტერესებლად ხშირად მიმართავენ ამ ხერხს. ასევეა ესეს წერის დროს: შესავალშივე უნდა ეცადოთ, მიიპყროთ მკითხველის ყურადღება და აიძულოთ ის, განაგრძოს კითხვა. ამ მიზნით შეიძლება გამოიყენოთ ციტატა, სტატისტიკური მონაცემები და სხვა.

მას შემდეგ, რაც მკითხველს დავაინტერესებთ, შეგვიძლია გადავიდეთ თეზისზე. თეზისი წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი წინადადებით, მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს თქვენს პოზიციას და მკითხველს არ უნდა უჩენდეს არავითარ ეჭვს იმის თაობაზე, რომელ მხარეს დგახართ.

თეზისს ერთგვარი მინი-სქემა მოჰყვება, რაც გულისხმობს იმ მაგალითების მოკლედ წარმოდგენას, რომელთა გამოყენებასაც აპირებთ თეზისის განსამტკიცებლად ესეს მომდევნო ნაწილში. ის არა მარტო ეუბნება მკითხველს, რაზე იქნება საუბარი მომდევნო აბზაცებში, არამედ მკაფიო წარმოდგენას უქმნის განსახილველი საკითხის შესახებ.

შესავალი აბზაცი შეიძლება ოთხი-ხუთი წინადადებისგან შედგებოდეს. მნიშვნელოვანია, თავი ავარიდოთ არაფრისმომცემი სიტყვების გამოყენებას, რომლებსაც მიზნობრივი დანიშნულება არ აქვს და მხოლოდ სივრცის შევსებას ემსახურება. მაგალითად:

> „ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, საზოგადოების დიდ ნაწილს აინტერესებს, არაერთმა ექსპერტმა გამოხატა თავისი მოსაზრება ამ საკითხზე“ და ა შ.

უმჯობესია, მკითხველის დრო ფუჭად არ დავხარჯოთ და დასაწყისიდანვე ჩავაბათ საკითხის განხილვაში. სასარგებ-

ლოა მსგავსი წინადადებების გამოყენება:

- ამ ნაშრომში განხილული იქნება...
- ამ ნაშრომში, განზრახული მაქვს, გადმოვცე...
- იმისთვის, რომ გამერკვია... გავაანალიზე...
- ნაშრომი ორიენტირებული იქნება...

მნიშვნელოვანია, პირველმა წინადადებამ მკითხველს ავტორთან უშუალო ურთიერთობისა და ნდობის ატმოსფერო შეუქმნას. ნუ გაუშვებთ ხელიდან შესაძლებლობას, პირველივე აბზაციდან მოახდინოთ შთაბეჭდილება მკითხველზე.

ესეს ძირითადი ნაწილი

ესეს ძირითადი ნაწილი სამი აბზაცისგან შედგება და მისი დანიშნულება იმ მაგალითების გადმოცემაა, რომლებიც თქვენს თეზისს ამტკიცებს. შესავალში ჩვენ უკვე შევუქმენით მკითხველს მოლოდინი, ახლა კი საჭიროა, ჩვენი მოსაზრების სისწორეში დავარწმუნოთ.

ძირითადი ნაწილის პირველ აბზაცში უნდა გამოიყენოთ თქვენი ყველაზე ძლიერი არგუმენტი და ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი (თუ ის არ მოითხოვს განმარტებას ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვას). აბზაცის პირველი წინადადება იქნება თემატური წინადადება, რომელიც აბზაცის მთავარ იდეას გადმოგვცემს. ამის შემდეგ უკვე მოგვყავს დამადასტურებელი მაგალითები.

გამოყენებული მაგალითები უნდა იყოს კონკრეტული და არა ზოგადი. მაგალითად, დაუშვებელია ასეთი ფორმულირება: „ამის დასტურია ილია ჭავჭავაძის ცხოვრება“. უნდა წარმოვადგინოთ საჭირო დეტალები, მკითხველმა უნდა იცოდეს, კერძოდ, რას შეეხება საუბარი. ბუნდოვანი ფორმულირება დამაჯერებლობას დაუკარგავს თქვენს ნაშრომს.

მაგალითების მოყვანის შემდეგ უნდა ავხსნათ, როგორ ასაბუთებს ეს მაგალითები ჩვენს თეზისს.

იგივე სტრუქტურა ექნება სამივე აბზაცს. კარგად ორგანიზებული სტრუქტურა საშუალებას მოგცემთ, თქვენი ნაშრომი მკითხველისთვის უფრო იოლად გასაგები გახადოთ. აბზაცების გარეშე მათ თქვენი ნაშრომი, შესაძლოა, ჩახლართული და გაურკვეველი მოეჩვენოთ.

> ესეს დასკვნითი ნაწილი ნაშრომის დასასრულს ნიშნავს, თუმცა ის, იმავდროულად, თქვენი ბოლო შანსიცაა, მიაღწიოთ მიზანს და მკითხველზე შთაბეჭდილება მოახდინოთ. დასკვნითი ნაწილი ვრცელი არ უნდა იყოს, ოთხი-ხუთი კარგად მოფიქრებული წინადადება საკმარისია.

იმავდროულად, თქვენი ესე უნდა ქმნიდეს ერთიანობისა და უწყვეტობის განცდას. ამისთვის შეიძლება გამოიყენოთ დამაკავშირებელი ფრაზები, რომლებიც მკითხველს ორგანიზებულობის შთაბეჭდილებას შეუქმნის და ტექსტის აღქმას გაუადვილებს. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი სასარგებლო ფრაზა, რომლებიც ახალი აბზაცის დასაწყისში შეიძლება გამოვიყენოთ:

- სხვა მნიშვნელოვანი გარემოება...
- არანაკლებ...
- გარდა ამისა, არსებობს სხვა სარწმუნო არგუმენტები...
- ასევე სარწმუნოა მტკიცება...
- ერთი მხრივ... მეორე მხრივ...

რა უნდა გავითვალისწინოთ ძირითად ნაწილზე მუშაობის დროს?

- მოერიდეთ აბზაცების ერთი-ორი წინადადებით გადმოცემას. ეს უფრო საქმიანი წერილის სტილია. აკადემიურ ესეში ძირითადი ნაწილის აბზაცი დაახლოებით 6-12 წინადადებისაგან შედგება.
- თავი აარიდეთ აბზაცის ბოლოს ახალი იდეის გაჟღერებას.
- ნუ გაიმეორებთ იდეას რამდენჯერმე. სასურველია, ერთ აბზაცში ერთი იდეა იყოს გადმოცემული.

ესეს დასკვნითი ნაწილი

ესეს დასკვნითი ნაწილი ნაშრომის დასასრულს ნიშნავს, თუმცა ის, იმავდროულად, თქვენი ბოლო შანსიცაა, მიაღწიოთ მიზანს და მკითხველზე შთაბეჭდილება მოახდინოთ. დასკვნითი ნაწილი ვრცელი არ უნდა იყოს, ოთხი-ხუთი კარგად მოფიქრებული წინადადება საკმარისია.

დასკვნითი აბზაცის პირველი წინადადების მიზანი ასევე შეიძლება იყოს მკითხველის ყურადღების მიპყრობა. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ გადავდივართ თეზისის მტკიცებაზე, რაც ნაშრომის ძირითადი არგუმენტების მოკლე შეჯამებას წარმოადგენს. დასკვნის ბოლო წინადადება შეიძლება შეიცავდეს რეკომენდაციებს, მოქმედებისკენ მოწოდებას, რაც აჩვენებს მკითხველს, რომ ესე უკვე მივიდა დასასრულამდე.

ესეს დასკვნით ნაწილში შეიძლება მსგავსი ფრაზების გამოყენება:

- როგორც უკვე ვთქვით...
- როგორც უკვე ვაჩვენეთ...
- მაშასადამე...
- მტკიცებულებათა უმეტესობა მიუთითებს...
- ამ მონაცემების საფუძველზე...

ეცადეთ, ისაუბროთ კონკრეტულად და თავი აარიდოთ უსარგებლო სიტყვების გამოყენებას.

რა უნდა გავითვალისწინოთ დასკვნაზე მუშაობის დროს?

- ის უნდა შეესაბამებოდეს თქვენი ნაშრომის დანარჩენ ნაწილებს;
- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თეზისს;
- ერიდეთ გამოთქმებს: „დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას...“, „რეზიუმე“ და ა. შ. ეს სრულებით არ არის საჭირო.

ზოგადი რეკომენდაციები

- სასურველია, ესეს წერა გეგმის შედგენით დაიწყოთ. მართალია, დროის სიმცირის გამო, განსაკუთრებით – გამოცდის პერიოდში, ძნელია გეგმის შესადგენად დროის გამონახვა, მაგრამ სანაცვლოდ საქმეს მნიშვნელოვნად გაიიოლებთ.
- ესეს წერის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ენობრივ გამართულობას და ლექსიკურ სიმდიდრეს. ნაშრომი, რომელშიც ავტორი ძირითადად ერთსა და იმავე სიტყვებს იყენებს, არ ახდენს მკითხველზე დადებით შთაბეჭდილებას.
- უნდა გვახსოვდეს, რომ ესეს წერის ეფექტური ხერხების შესასწავლად თეორია არ არის საკმარისი. რეგულარული პრაქტიკა სასურველი ტექნიკის დაუფლებაში დაგეხმარებათ.

განმარტებები:

თეზისი – *დებულება, რომლის ჭეშმარიტებაც უნდა დამტკიცდეს.*

თემატური წინადადება – *წარმოადგენს აბზაცის ყველაზე მნიშვნელოვან წინადადებას. აკადემიურ ნაშრომებში ის აბზაცის პირველი წინადადებაა და ერთგვარად აჯამებს აბზაცში გადმოცემულ ინფორმაციას.*

გამოყენებული მასალები:

1. Don Shiach "How to write Essays" https://examples yourdictionary. com/examples-of-topic-sentences.html
2. https://www.international-student.com/essay_writing/essay_overview/
3. https://owlcation.com/academia/Essay-Form-and-Structure-How-to-Write-an-Essay

ეკენე ჯიბღაძე

მოსწავლეთა ავტონომიურობის ხელშემწყობი აქტივობები

თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ავტონომიურობის ხელშეწყობას, რაც საინტერესო, შემოქმედებითი და, ამავე დროს, მასწავლებლის მხრივ სწორად და გააზრებულად დასაგეგმავ-განსახორციელებელი პროცესია. რითია მნიშვნელოვანი მოსწავლეთა ავტონომიურობის ხელშეწყობა? ვიგოტსკის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, რომელიც მხარს უჭერს ავტონომიური სწავლის იდეას, მოსწავლეთათვის სწავლების უნარ-ჩვევების განვითარება არ არის გამოყოფილი სწავლის შინაარსისგან. დამოუკიდებლობა, ავტონომია და სწავლის გამოცდილების კონტროლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლებაში.

ბოლო ხანს „შემსწავლელთა ავტონომიამ“ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა უცხოურ საგანმანათლებლო სისტემაში, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული უწყვეტი სწავლის უნარების განვითარებასთან.

ტერმინი „შემსწავლელთა ავტონომია“ პირველად ჰენრი ჰოლაკმა, მოსწავლეთა ავტონომიის მამამ, ახსენა 1981 წელს. ამის შემდეგ ბევრი სხვა დეფინიციაც გაჩნდა. ჰოლაკი ამ მიდგომას იყენებდა უცხოური ენის შესწავლისას, მაგრამ, ვფიქრობ, ის საგულისხო და საინტერესოა სხვა საგნების სწავლებასთან მიმართებითაც.

დღესდღეობით ავტონომიურობის ცნობილი განმარტებები ასეთია:

- „ავტონომიურობა არის საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება“ (ჰენრი ჰოლაკი).
- „იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი სწავლის გაკონტროლება, მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ მათ იმ სტრატეგიების გათვითცნობიერებასა და იდენტიფიცირებაში, რომელთაც უკვე იყენებენ ან მომავალში გამოიყენებენ“ (ჰოლმსი დარამოსი, 1991, ციტირება – ჯეიმს დაგარეტი, 1991: 198).
- „ავტონომიურობა, არსებითად, სწავლის პროცესისა და სწავლის შინაარსისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების საკითხია“ (დევიდ ლითლი).
- „ავტონომიურობა არის სიტუაცია, რომელშიც მოსწავლე მთლიანად აგებს პასუხს ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაკავშირებულია მის სწავლასა და ამ გადაწყვეტილებების განხორციელებასთან“.
- „ავტონომიურობა არის საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში მოსწავლეთა უფლებების აღიარება“.

> მოსწავლის ავტონომიურობის ხელშეწყობის საინტერესო მიმართულებებად მიჩნეულია: მოსწავლეთა თვითშეფასება/თანატოლების შეფასება, სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა, თანამშრომლობა.

უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტის გააზრება, რომ მოსწავლე თავადაა პასუხისმგებელი და გადაწყვეტილებების მიმღები სწავლის პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და

შეფასების პროცესში. ამ ყველაფერში მას ეხმარება მასწავლებელი. მისი უფლებები და პასუხისმგებლობა იზრდება. იზრდება გადაწყვეტილების მიღების სისხარტე და პრინციპულობაც.

რა პრინციპებს ეყრდნობა მოსწავლეთა ავტონომიურობა? (ფრანკ ლეისი):

- ავტონომია ნიშნავს სწავლის სწავლებისკენ სწრაფვას;
- ავტონომია მაქსიმალურად ახდენს გავლენას მოსწავლეებზე;
- ავტონომია ხელს უწყობს და მოითხოვს თანატოლების მხარდაჭერასა და თანამშრომლობას;
- ავტონომია ნიშნავს თვითშეფასებას / თანატოლების შეფასებას;
- ავტონომია მოითხოვს და უზრუნველყოფს 100%-იან დიფერენცირებას;
- მასწავლებელი ასრულებს სკაფოლდინგის როლს. მოსწავლეებში ავტონომიის განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია.
- ავტონომია ნიშნავს მოსწავლეთა გაძლიერებას. საკლასო ოთახი შეიძლება ერთგვარ ჩარჩოში ჯდებოდეს, მაგრამ ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეებს შეუძლიათ „მთელი გარესამყარო შემოიყვანონ საკლასო ოთახში“.

მოსწავლის ავტონომიურობის ხელშეწყობის საინტერესო მიმართულებებად მიჩნეულია: მოსწავლეთა თვითშეფასება/თანატოლების შეფასება, სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომა, თანამშრომლობა. საინტერესო იქნება, მასწავლებელმა გამოიყენოს შემდეგი აქტივობები: მოსწავლეებმა მოიფიქრონ და დაუსვან ერთმანეთს კითხვები, მოიფიქრონ შესასწავლი მასალის შესახებ ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება, გამოიყენონ „დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე“ სტრატეგია და ა.შ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და აღიარებულია თანამედროვე ტექნოლოგიების როლი. სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ავტონომიურობას, ჯერ კიდევ კარგად დასამუშავებელი ეტაპია ჩვენს საკლასო ოთახებში.

ავტონომიური მოსწავლის მახასიათებლები

ფილიპ ქენდის თანახმად, არსებობს 100-ზე მეტი კომპეტენცია, რომლებიც უშუალო კავშირშია ავტონომიასთან. ქენდი გვაცნობს (1991), რომ ავტონომიური შემსწავლელი არის:

მეთოდური / დისციპლინირებული
ლოგიკური / ანალიტიკური
თვითმმართველი
მოტივირებული / ცნობისმოყვარე
მოქნილი
ურთიერთდამოკიდებულების მოსურნე
პასუხისმგებლობიანი
კრეატიული / გაბედული
შემოქმედებითი / პოზიტიური თვითშეგნების მქონე
დამოუკიდებელი
ინფორმაციის მოძიების უნარის მქონე
მცოდნე / უნარიანი სწავლაში
განვითარების / შეფასების კრიტერიუმების გამოყენების უნარის მქონე

ავტონომიურობის ხელშეწყობისას მოსწავლის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, განწყობა, ანგარიშგასაწევი ფაქტორია. როგორ მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ სწავლის პროცესისა და სწავლის შინაარსისადმი მოსწავლის დამოკიდებულება იყოს ავტონომიურობის მაღალი ხარისხის განმაპირობებელი? როგორ დავეხმაროთ ჩვენს მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებაში? ამისთვის მასწავლებლებმა უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

- სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მოსწავლეთა პირად ინტერესებზე დაყრდნობით;
- მოსწავლეები ამუშავეთ ერთად, რათა მიაღწიონ სასწავლო მიზნებს;
- წაახალისეთ მოსწავლეთა მიღწევები;
- მისაღწევი მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს მასწავლებლის დახმარებით;
- მოსწავლეები ისწავლიან უკეთესად, თუ დააკმაყოფილებენ მკაფიო მოთხოვნებს, სტანდარტებს. როცა მოსწავლეები დაინახავენ თავიანთ შედეგებს და წარმატებას, მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცემათ აუხსნან მათ, რომ სტანდარტი და მოლოდინები დაკავშირებულია პირად ინტერესებსა და უნარებთან, რომლებიც საჭიროა ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად;
- დასაწყისშივე აუცილებელია მკაფიო სტანდარტების ჩამოყალიბება;
- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, სახელდობრ რას ელიან მათგან, როგორ შეფასდებიან, რა

ბოლო ხანს „შემსწავლელთა ავტონომიამ“ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა უცხოურ საგანმანათლებლო სისტემაში, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული უწყვეტი სწავლის უნარების განვითარებასთან.

მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ საჭიროების შემთხვევაში;

- მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის გამოცდილება და განსხვავებული წინარე ცოდნა;
- დაეხმარეთ მოსწავლეებს, განუვითარდეთ საკუთრებისა და დამოუკიდებლობის გრძნობა სწავლის პროცესში;
- პედაგოგებს შეუძლიათ მოსწავლეებს დაეხმარონ არჩევანის გაკეთებაში – როგორ შეიძლება კონცეფციების დემონსტრირება, კონკრეტული დავალებების შესრულება დამოუკიდებლად ან თანატოლთან ერთად და როგორ მიაღწიონ შესაბამის კომპეტენციის დონეს;
- მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, თავად აირჩიონ თემატიკა. ამით სწავლის მიმართ მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ;
- საჭიროა უკუკავშირის მიწოდება, რათა ნათელი წარმოდგენა შეექმნათ იმ უნარების შესახებ, რომლებიც ამ სამუშაოს შესრულებისას შეიძინეს ან რომელთა გაუმჯობესებაც სჭირდებათ წარმატების მისაღწევად;
- უკუკავშირი მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო პროცესში არჩევანის სწორად გაკეთებაში;
- წაახალისეთ მოსწავლეები, სასწავლო პროცესში თვითონვე შეაფასონ თავიანთი პროგრესი (მაგ., გამოიყენონ მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა). მათ შეუძლიათ ცხრილებისა და ჩანაწერების წარმოება. რადგან მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი პროგრესის მონიტორინგს, მათ მოტივაციას შეჰმატებთ თავიანთი წარმატება;
- აუცილებელია ყურადღების გამახვილება სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე.

დასასრულ, მინდა, გაგაცნოთ რამდენიმე აქტივობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებლობას და აჩვენებს მათ, როგორ დაეხმარონ საკუთარ თავსა და თანატოლებს დასახული ამოცანების გაგებასა და შესრულებაში.

აქტივობა 1: „1-2-3 და მერე – მე“. ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაიაზრონ შესასრულებელი დავალების მოთხოვნები. მიეცით მათ 1 წუთი, რათა ჩუმად გადაავლონ თვალი მითითებებს, 2 წუთი – ერთმანეთთან განიხილონ ეს მიმართულებები, 3 წუთი – დაგეგმონ დავალების შესასრულებლად საჭირო სწორი მიდგომები. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ დახმარების თხოვნა. შეიძლება, 1 წუთის განმავლობაში მთელ კლასს მიეცეს ინსტრუქცია შესასრულებელი დავალების შესახებ.

აქტივობა 2: მიმართულებებისა და პასუხების ჩაწერა. ეს არის მარტივი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი იარაღი, განსაკუთრებით – იმ მოს-

წავლეებისთვის, რომელთა მოსმენითი და წერითი უნარ-ჩვევები უცხო ენაში ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომელიმე მოწყობილობაზე გაკეთდეს ხმოვანი ჩანაწერი, რომელშიც მოსწავლე დეტალურად უხსნის საკუთარ თავს შესასრულებელი დავალების ინსტრუქციებს. დროდადრო შეუძლია გადაახვიოს და ხელახლა მოისმინოს, რისი გაკეთება ევალება (დაავალა საკუთარ თავს). ციფრული ჩანაწერები ხელს უწყობს მოსწავლეებში დავალების დამოუკიდებლად შესრულების უნარის განვითარებას. ასევე შესაძლებელია მომზადდეს პასუხების აუდიოვერსიები, რომლებიც განთავსდება რომელიმე საქაღალდეში ან საიტზე.

აქტივობა 3: რესურსების ფაილები. ეს უცხო ენის სწავლებისას გამოსადეგი კიდევ ერთი თვითდახმარების მექანიზმია იმ შემთხვევისთვის, როდესაც მასწავლებლის რჩევა არ არის ხელმისაწვდომი. ამ ფაილებზე წვდომა მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ. მაგალითად, რესურსების ფაილი შეიძლება მოიცავდეს გრაფიკულ ორგანიზატორებს, თანატოლთა რედაქტირების ოქმებს. ფაილები შეიძლება იყოს მატერიალური (მაგ., ქაღალდის მასალები) და განთავსდეს ოთახში, თვალსაჩინო ადგილას, ან ციფრული, განთავსებული რომელიმე ტექნიკურ მოწყობილობაში.

აქტივობა 4: მიმანიშნებელი ბარათები. ისინი რესურსების ფაილების მსგავსია, მაგრამ კონკრეტულ გაკვეთილს მორგებული. ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს კითხვებზე პასუხის გაცემას სთხოვს, თუ რომელიმე, მაგ., მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას რაიმე პრობლემამ იჩინა თავი. ასევე შესაძლებელია, რამდენიმე ყუთში მოთავსდეს ფერადი ბარათები, რომლებზეც დამხმარე ინფორმაცია და მიმართულების მიმცემი კითხვები იქნება დაწერილი. კითხვები დაეხმარება მოსწავლეს, დამოუკიდებლად გადაჭრას მის წინაშე წამოჭრილი პრობლემა. თუ მინიშნების ფურცელი ვერ დაეხმარა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მიმართოს მასწავლებელს დახმარებისთვის.

აქტივობა 5: ფერადი თასები. ეს მოსწავლეთა თვითმონიტორინგის ერთგვარი სტრატეგიაა. მოსწავლეებს უვითარდებათ უნარი, სწორად გაიაზრონ, არის თუ არა რომელიმე ეტაპზე საჭირო მასწავლებლის დახმარება. თითოეული ჯგუფი (ან მოსწავლე) იღებს სამი ფერის თასს (მწვანეს, ყვითელს და წითელს). მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ინსტრუქციას, პერიოდულად აჩვენონ თასი, რომელიც შეესაბამება მათ მუშაობის პროცესს:

მწვანე თასი: კარგად ვართ, მასწავლებლის დახმარება საჭირო არ არის.

ყვითელი თასი: მასწავლებლის დახმარება გვჭირდება, მაგრამ შეგვიძლია მუშაობის გაგრძელება, სანამ მასწავლებელი მოვა ჩვენთან.

წითელი თასი: დაუყოვნებლივ გვჭირდება მასწავლებლის დახმარება და მუშაობას ვწყვეტთ.

აქტივობა 6: შეკითხვების ჩიპები. ეს აქტივობა იმის გადაწყვეტაში ეხმარება მოსწავლეებს, დავალების შესახებ გაჩენილი კითხვები აუცილებლად დაუსვან მასწავლებელს თუ შეუძლიათ, პასუხი თვითონვე იპოვონ. თითოეული მოსწავლე ან ჯგუფი იღებს შეზღუდული რაოდენობის ჩიპს, რაც მიუთითებს, რამდენჯერ შეუძლია მოსწავლეს, მასწავლებელი დახმარებისთვის მოიხმოს.

ეფექტურობისთვის საჭიროა ამ სტრატეგიების სწავლება და მოდელირება. მათი გამოყენება უნდა მოხდეს საგნისა და მოსწავლეთა თავისებურების შესაბამისად. მოსწავლე ერთ დღეში ვერ გახდება დამოუკიდებელი, მაგრამ დროთა განმავლობაში ისწავლის, როგორ დაეხმაროს საკუთარ თავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განმავითარებელი შეფასება, დიფერენცირებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, მარიანა ხუნდაყიშვილი, სარა ბივერი, 2018
2. Learner autonomy, https://en.wikipedia.org/wiki/Learner_autonomy
3. Developing Responsible and Autonomous Learners: A Key to Motivating Students, Teacher's Modules, Barbara McCombs, PhD, University of Denver, https://www.apa.org/education/k12/learners
4. Strategies for Promoting Student Autonomy, By Jessica Hockett, Kristina Doubet, https://www.edutopia.org/article/6-strategies-promoting-student-autonomy

მაია კუდავა

როგორ გავუზარდოთ მოტივაცია დაწყებითი კლასის მოსწავლეებს

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებს უჩნდებათ განცდა, რომ ყველაფერს ადვილად დაძლევენ და ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს არ უკვირდებიან. მაგალითად, დაწყებითი კლასების მოსწავლე მათემატიკაში ძლიერია და სჯერა, რომ უცებ შეასრულებს დავალებას, ამ დროს კი გამორჩება, რას ეკითხება ამოცანა და ამოხსნის პროცესში გზიდან გადაუხვევს. არც კალიგრაფია უვარგა და მასწავლებელს მისი ნაწერის ამოკითხვა უჭირს. ამისთვის შეიძლება ნიშანიც დააკლონ. პირობის გააზრებასა და მის ლამაზად გადაწერაზე ყურადღების კონცენტრირება წვრილ მოტორიკას ავითარებს, შესაბამისად, გონებასაც ავარჯიშებს, რაც ათოსან ბავშვებსაც გამუდმებით სჭირდებათ. პირველივე კლასებიდან მოსწავლის ზედმეტი თავდაჯერება და უყურადღებობა ბადებს შიშს, რომ მაღალ კლასებში, მასალის გართულებასთან ერთად, მას უფრო და უფრო გაუჭირდება დასწავლაც და დროის მენეჯმენტიც. საჭიროა კონტროლი, მაგრამ დისტანცირებაც, რომ ბავშვი დამოუკიდებლობას მიეჩვიოს.

როგორ მოვიქცეთ?

- მოვუყვანოთ მაგალითები წიგნებიდან/ ფილმებიდან, სადაც გმირმა წარმატებას მიაღწია შრომით, დავალების ზედმიწევნით შესრულებით და არა მხოლოდ ნიჭიერებით. მახსენდება სტივენ კონრადის სცენარის მიხედვით გადაღებული, ნამდვილ ამბავზე დაფუძნებული გაბრიელე მუჩინოს ფილმი „ბედნიერების დევნაში“ („The Pursuit of Happyness“, მთავარ როლში – უილ სმიტი). ფინანსურ კრიზისში მყოფი მარტოხელა მამა კრის გარდნერი სანუკვარი სამსახურის მისაღებად ცხრამეტ სხვა კანდიდატთან ერთად იბრძვის. ერთთვიანი გამოსაცდელი ვადის შემდეგ პრეტენდენტებს უტარდებათ შემაჯამებელი ტესტი, რომელსაც კრისი ერთ-ერთი პირველი ასრულებს. ირკვევა, რომ კოლეგას, რომელმაც ადვილად გაართვა თავი დავალებას და პირველმა დატოვა საგამოცდო ოთახი, უყურადღებობით სულ ბოლო გვერდის შევსება გამორჩენია. ფილმის მთავარ გმირს შრომა და ღამეების მეცადინეობაში თენება, სავარაუდოდ, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის გამო ჩამოყალიბებული დეტალებისადმი ინტერესით უფასდება. შედეგად ის სამსახურში აჰყავთ.
- მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რა საჭიროა სუფთა წერა, რა მნიშვნელოვანია პუნქტუაცია. მაგალითად გამოდგება ცნობილი წინადადება, სადაც სასვენი ნიშნების გადაადგილება სრულიად ცვლის მის შინაარსს: „შეწყალება არ შეიძლება, ჩამოხრჩობა!“ და „შეწყალება, არ შეიძლება ჩამოხრჩობა!“

> პირველივე კლასებიდან მოსწავლის ზედმეტი თავდაჯერება და უყურადღებობა ბადებს შიშს, რომ მაღალ კლასებში, მასალის გართულებასთან ერთად, მას უფრო და უფრო გაუჭირდება დასწავლაც და დროის მენეჯმენტიც.

> სასურველია, მოსწავლეს ჰქონდეს სწავლისთვის შესაბამისი გარემო, სულ ცოტა, კომფორტული მაგიდა მაინც. ხანდახან ეს ვერ ხერხდება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოში სწავლას მოწყურებული უამრავი ბავშვია, რომლებიც ომისა თუ შიმშილის გამო ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან.

- სიტყვებში ასოების გამორჩენას ან შ-ს ნაცვლად წ-ს დაწერასაც კურიოზულ ამბებამდე მივყავართ. გარდა ამისა, უსუფთაო წერის გამო ხშირად მოსწავლეები რვეულებიდან ფურცლებს ხევენ. მათთვის ქაღალდის, ხის, ჟანგბადის და ჯანმრთელობის ურთიერთდამოკიდებულების ახსნა ადრეული ასაკიდანვე ჯობს – მომდევნო წლებში ეკოლოგიას მეტ ყურადღებას დაუთმობენ.
- სასურველია, მოსწავლეს ჰქონდეს სწავლისთვის შესაბამისი გარემო, სულ ცოტა, კომფორტული მაგიდა მაინც. ხანდახან ეს ვერ ხერხდება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოში სწავლას მოწყურებული უამრავი ბავშვია, რომლებიც ომისა თუ შიმშილის გამო ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან. ინტერნეტში მასალის მოძიება არ გაგიჭირდებათ. ბოლოს ნანახი: ბავშვი ლამპიონის ქვეშ, ტროტუარზე ზის და ისე ასრულებს საშინაო დავალებას, რადგან სახლში დენი არ აქვს.
- სპორტის საყვარელი სახეობიდან (ფეხბურთი, კალათბურთი და სხვ.) დავუსახელოთ ვუნდერკინდები და შრომისმოყვარე სპორტსმენები, რომელთაც ხშირად თანაბარი შედეგები აქვთ. მსოფლიო ჩემპიონი ანდრეა პირლო ავტობიოგრაფიაში იხსენებს, როგორ ცდილობდა ჟუნინიო პერნამბუკანოს სტილში საჯარიმოს დარტმის ტექნიკის დაუფლებას – რამდენი მარცხი იწვნია, რამდენ ხანს უტრიალებდა თავში ამ „საფირმო საიდუმლოს“ ამოხსნაზე ფიქრი და საბოლოოდ თავადაც როგორ იქცა უბადლო შემსრულებლად. მთავარია მონდომება და ყოველგვარი მიზნის მიღწევა შესაძლებელია.
- ნაცნობი უფროსების მაგალითიც გამოდგება: ჩვენც გვეშლება ბევრი რამ სამსახურში და შეცდომის გამოსასწორებლად, ნამუშევრის იდეალურამდე მისაყვანად ბევრი დრო და შრომაა ხოლმე საჭირო. მარტივად ცოტა რამ თუ მოდის ამ ქვეყანაზე.
- თამაზ ჭილაძისგან გამიგონია, რომ ოთარ ჭილაძის გენიალური რომანების რედაქტირებისას, რომლებსაც დიდი მწერალი წლების განმავლობაში ხანდახან თვეობით ოთახიდან გამოუსვლელად წერდა, მას – ძმის პირველ მკითხველს – ისეთი ვრცელი ფრაგმენტები ამოუღია, ცალკე რომანს რომ უდრიდა. გალაკტიონის რითმებში ყოველდღიური „მეცადინეობის“ ამბავიც ყველამ იცის. ვან გოგს წლები დასჭირდა საოცარი ტონების აღმოსაჩენად. მანამდე საკმაოდ მრუმე ფერებში ხატავდა. გენიოსებიც კი სრულყოფილებამდე დაუღალავი შრომით მიდიან.
- „წესრიგი ქაოსში“ – ეს ფრაზა ფიზიკოს ოთარ გუგუჩიასგან გამიგონია. შემოქმედ ადამიანს მართლაც შეიძლება ჰქონდეს არეული ოთახი, დათქმულ დროში ვერ ასრულებდეს დავალებას, მაგრამ შედეგებით მაინც ჯობნიდეს სხვებს. ბავშვს ავუხსნათ, რომ, მიუხედავად ამისა, სასურველია, გარკვეულ სტანდარტებს მოერგოს, – ეს შემდგომში ცხოვრებას გაუადვილებს.
- სანამ ჩვენს სკოლებში დროის მენეჯმენტის შესახებ რაიმე ტიპის სწავლება დაინერგება, საწყის ეტაპზე მოსწავლეებს უამრავი დავალებიდან შეგვიძლია ჩვენვე გამოვუყოთ ულუფები, დავეხმაროთ მიმდევრობის განსაზღვრაშიც. კატეგორიზაცია რამდენიმენაირად შეიძლება მოხდეს: რთული, საშუალო და მარტივი; დროში გაწელილი და მალე შესასრულებელი და ა.შ. როცა გეგმა კარგადაა დასახული და ზუსტადაა მორგებული ბავშვს, მიზნის მიღწევაც იოლდება.
- დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია განტვირთვა, როგორც სკოლაში, ისე სახლშიც. გონების გადაღლისას ბავშვს შეიძლება შევთავაზოთ ძუნძული ან ორ-სამწუთიანი ფიზიკური ვარჯიში.
- არ უნდა დაგვავიწყდეს ქება. პატარა წარმატების შემთხვევაშიც კი შევაქოთ. ამას სპეციალისტები კარგი ქცევის განმამტიცებელსაც უწოდებენ. განმამტკიცებლად გამოდგება სტიკერები, სასურველი საჩუქარი და სხვ.

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge



ინა იმედაშვილი

თუ თქვენი მოსწავლე გაკვეთილზე გამუდმებით ხატავს

წლების წინ, მასწავლებლობა ახალი დაწყებული რომ მქონდა, ერთი მოსწავლე მყავდა მესამე კლასში – გოგო, რომელიც გამუდმებით ხატავდა და ჭრიდა გაკვეთილზე: ქართულზე, მათემატიკაზე, ხატვაზე, ბუნებისმეტყველებაზე. ხატავდა, აფერადებდა, ქაღალდისგან სხვადასხვა ნივთს ამზადებდა, აფორმებდა, აწებებდა. იყო საშინლად არაორგანიზებული, არააკურატული, დაბნეული, უჭირდა ყურადღების მოკრება და კონცენტრაცია, თუმცაღა საოცარი რამეები გამოსდიოდა. ქაღალდისგან ნამდვილ შედევრებს ქმნიდა – ულამაზეს ყვავილებს, ყუთებს, ადამიანებს, ცხოველებს. ხატავდა ისე, რომ გაოცებას ვერ დამალავდით. მისი ნახატები გამოირჩეოდა დეტალებისადმი ყურადღებით, ემოციურობით, ფერებით. ელენეს პერსონაჟებს საკუთარი ცხოვრება ჰქონდათ, სადღაც ჩვენი რეალობის მიღმა, მათემატიკის რვეულის ბოლო გვერდიდან დაწყებულ სიცოცხლეს ქართულის რვეულში აგრძელებდნენ, ჰქონდათ თავგადასავლები, ჰყავდათ მეგობრები, ერქვათ სახელები.

თავიდან შევშფოთდი. რატომღაც ვღელავდი. მინდოდა, ყველა ბავშვს ჩემს გაკვეთილზე ჩემთვის გაფაციცებით ესმინა და ბოლომდე ჩართულიყო აქტივობებში.

ვაძლევდი შენიშვნებს, ვუშლიდი ხატვას. ერთხელ სახატავი რვეული, ფურცლები, წებოები და მაკრატელი ავაცალე და ჩემს მაგიდაზე გადმოვაწყვე. გოგონამ ნამდვილი სტრესი განიცადა. გამებუტა და ის გაკვეთილი ჩემკენ ზურგშექცევით გაატარა.

შემდეგი ნაბიჯი მშობლების ჩართვა იყო. ვესაუბრე და ვთხოვე, ამ პრობლემის გადაჭრაში დამხმარებოდნენ. მშობლებთან საუბრის და ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, რომ გაკვეთილზე ასე აღარ მოქცეულიყო, ელენემ შეწყვიტა ხატვა, მაგრამ გახდა სევდიანი, ნერვიული და, მართალი გითხრათ, არც აქტიურობითა და ჩართულობით გამორჩეულა. უფრო მეტიც, შევატყვე, რომ სკამს აწვალებდა, ტანსაცმელს ისრესდა და ბოლოს ქაღალდის დაქუცმაცება დაიწყო.

მოკლედ, მივხვდი, რომ არ ვიქცეოდი სწორად, რაღაცას ვაშავებდი და შესაძლოა, ეს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ აღმოჩენილიყო როგორც ელენესთვის, ასევე ჩემთვისაც.

იმაზე დავფიქრდი, რომ ხშირად ჩვენს ქმედებას საფუძვლად ჩვენივე შიშები და მოლოდინი უდევს, წარუმატებლობას გავურბივართ და თუ მოსწავლე გაკვეთილზე ბევრად უფრო საინტერესო რამითაა დაკავებული, ვიდრე გაკვეთილია, მაშინვე განგაშის სიგნალი გვერთვება, ესე იგი, უინტერესო გაკვეთილი გვაქვს, ვერ დავგეგმეთ კარგად, პრობლემა ჩვენშია, არაკომპეტენტურები ვართ, რაღაც შეგვეშალა და ასე შემდეგ. ამგვარი ფიქრები ბნელი საბურველივით გვეხვევა, გონებას გვიბინდავს, წარსულში დაშვებული ყველა პროფესიული შეცდომა ზედაპირზე ამოტივტივდება და ვიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენი თავისუფალი ნების შედეგი კი არ არის, არამედ შიშებითა და ცრუ მოლოდინებით ნასაზრდოები გაუბედავი ქმედებებია.

გვეშინია, ვიღაცების თვალში სუსტ მასწავლებლად არ ვიქცეთ.

ავტორიტეტი არ შეგველახოს.

არ გვისაყვედურონ წესების დარღვევის გამო.

თეორიების ჩარჩოებიდან არ ამოვვარდეთ და არ გავირიყოთ.

გვეშინია ქაოსის, ხმაურის, ჩურჩულისაც კი.

გვეშინია, არათანმიმდევრული და უპრინციპო მასწავლებლის იარლიყი არ მოგვაწებონ.

გვეშინია, ვინმემ, სადღაც ჩვენ ზემოთ მდგომმა ან მჯდომმა, ფრიად სერიოზულმა და განათლების თეორიების უბადლო მცოდნემ, არ მოგვახალოს: იცით, თქვენ ვერ მართავთ კლასს, ავტორიტეტს კარგავთ, იქნებ მეტი პრინციპულობა გამოგეჩინათ.

ან რომელიმე მოსწავლის მშობელმა არ გვისაყვედუროს, რომ მის შვილს წესრიგს ვერ ვაჩვევთ, რომ უფრო მეტი აკადემიურობა გვმართებს.

მასწავლებლის შიშები უსაზღვროა. ხანდახან მგონია, რომ ამხელა პასუხისმგებლობას ვეღარ ვზიდავ და მინდა, მისგან გავთავისუფლდე, ჩამოვიფერთხო და ამოვისუნთქო.

ამ შიშებისგან თავის დასაღწევად ბევრი დრო არ დამჭირდა. ერთხელ, როდესაც ელენეს ტანჯვას ვუყურე – როგორ ცდილობდა, გაკვეთილზე ჩუმად ეხატა, მივხვდი, რომ რაღაცას ისე ვერ ვაკეთებდი. ნელ-ნელა იმ რაღაცად ვიქცეოდი, რის აჩრდილსაც მთელი ცხოვრება გავურბოდი და რის გამოც გადავწყვიტე, მასწავლებელი გამოვსულიყავი. მივხვდი, რომ საკუთარ თავს ვკარგავდი, მივხვდი, რომ შიშები მართავდა ჩემს ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს.

დასასრული 30-ე გვერდზე

დავით გორგილაძე

როცა ენოტი ლოცულობს, სიბნელე წვება

სიტყვა „მურტალი“ რო მძულს, სიძულვილი ეგეთი უნდა, მაგრამ თბილისურ წვიმას სხვა რა უნდა დაარქვა, აბა?! ერთი სიტყვით, ძაან მურტალი ამინდი იყო. ამ ჭაღარასა და მრავალჭირნახულში კარგი ამინდის დროსაც გიჭირს ფეხით გავლა ადამიანს. როგორ ამბობენ? ფეხით მოსიარულეებისთვის მეგობრული ქალაქი არ არისო. ეგეთია თბილისი – თუ მაინცდამაინც რამე კაი მანქანაზე არ ხარ ამხედრებული, არ გემეგობრება. როგორღაც, შენ შენთვის ხარ, შენი ქალაქი თავისთვისაა და ცხოვრობთ ასე, მუდამ ნაჩხუბარი ცოლ-ქმარივით. ჩემს ბავშვობაში იყო ეგეთი კითხვა: „გეხები, რო მეხები?“ ასე გეუბნება ზუსტად. მაცადე ცხოვრებაო, რა.

ჭკუა სად მქონდა, იმ მურტალ ამინდში ზოოპარკში წასვლა რო გადავწყვიტე? არა, განა ზოოპარკის ფილოსოფიას ვემხრობი ან რამე. რა წესია ამ Youtube-ის ეპოქაში გალიაში გამომწყვდეული ცხოველის ყურება. კითხე ინტერნეტს და პასუხს კი არ დაგამადლის. სულ ნაირ-ნაირ ვიდეოებს ამოგიყრის, გინდა „ნეშენალ ჯეოგრაფიკისას“ და გინდა „დისქავერისას“. ჰო, „ენიმალ პლანეტიც“ ხომაა კიდევ. თან ისეთი ვიდეოები იქნება, მინდორ-ველში როგორ იქცევიან, რას ჭამენ, რა სწყინთ და რა უხარიათ. დიდი თავშესაქცევი რამაა მაგ გადაცემების ნახვა. ტელევიზორს საუკუნეში ერთხელ ვუყურებ, მაგრამ თუ ვუყურებ, მაგას ვუყურებ. მამაჩემს ბავშვობის ძმაკაცი ჰყავს, როსტომ გვარიშვილი. მაგარზე მაგარი კაცი. უწინ პოლიციის უფროსი იყო ჩაქვში. ერთ ზაფხულს სამსახურში შევუარეთ და ვთხოვე, აბა, პატიმრები მანახე-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? მე კი განახებ, მაგრამ ცხოველები ხომ არ არიან, გისოსებში რო ათვალიერო. აბა, შენ მოიფიქრე, მითხარი, რას გადაწყვეტ და ისე მოვიქცეთო. მეთქი, არ მინდა. მაშინ მივხვდი, რო თავისუფლებაში რო არ არის, ეგეთს არც ადამიანს უნდა უყურო და არც ცხოველს. როცა გათანაბრდებით, მაშინ ადექით, უცქირეთ ერთმანეთს და იყავით. როსტომი კაცების კაცია. შვილი მოვუნათლე მერე. კი ვერ ვუწევ საკადრის ნათლიობას, მაგრამ... სხვა ამბავია ეგ.

არა, ისიც მესმის, რომ ამბობენ, ეგ ცხოველები რომ გაუშვა, ბუნებასთან ვეღარ შესისხლხორცდებიანო, დაიხოცებიანო, რამე, რუმე. მესმის, ხისთავიანი კი არ ვარ. საერთოდაც, ბოლო დროს ვცდილობ, არ ვიექსპერტო. რადგანაც ამდენი ცხოველთა უფლებების დამცველის ხელში ზოოპარკები ისევ არსებობს, ესე იგი, აქვს გამართლება. თან ეს ჩვენი ზოოპარკის დირექტორი მესიმპატიურება მაგრად. კარგი კაცი ჩანს. რამდენჯერმე მოგვიწია გამოლაპარაკება და საინტერესო რაღაცები თქვა. მაგათი ფეისბუკის გვერდიც მომწონს – კარგად აკაკუნებენ კლავიატურაზე და ეტყობათ, რომ ცხოველები უყვართ.

მოკლედ, იმას მივედ-მოვედები, რო გალიაში ჩასმული ცხოველების ნახვისგან თავს ვიკავებ, რითიც შემიძლია. ეს „რითიც შემიძლია“ ძალიან მაზალო სიტყვებია. არც მწვადს წვავ და არც შამფურს. ეგეც ბავშვობის ნატკენია, სხვათა შორის. იმ დამპალ დროში, ახლა რო ბნელსა და ტკბილს ვეძახით, ხშირად გკითხავდნენ ძველები და მოშავო ელემენტები: „ქურდებს პატივს სცემ?“ შენ კიდე უნდა გეპასუხა: „რითიც შემიძლია“.

ჰოდა, იმ მურტალ, წვიმიან ამინდში მაინც გადავწყვიტე ზოოპარკში წასვლა. ცხოველების ნაწილი ახალ ზოოპარკში გადაუყვანიათ და იქაურობა ნახევრად მიტოვებულ სოფელს დამსგავსებია. ვოლიერს აწერია, ესა და ეს ცხოვრობს აქაო. შეიხედავ და, სადაა? არ არის. „თეთრი ბაირაღები“ გახსოვთ? შოშია რო ტიგრან გულოიანს უხსნის, ფალსიფიცირებული საფლავი რა არის. ფაფუ, გალია ცარიელია. ჩვენ, ადამიანები, ხომ ვტოვებთ კვალს იმ ადგილებში, სადაც ვიყავით. ისე ხდება, რომ ეგ კვალი უმნოა ხოლმე და იქნებ არც ღირდეს თავის გამოჩენა. აი, ჩემი სკოლის ფასადი იყო ეგეთი აჭრელებული. ბოლო ზარის წინ ბიჭები აწერდნენ თავიანთ სახელებს საღებავით. ალბათ, იმის შიშით, რომ ეგებ სხვანაირი კვალი ვეღარ დაეტოვებინათ ცხოვრებაში. ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ რა იქნებოდა, ამ ალაგ-ალაგ დაცარიელებულ გალიებში ცხოველებს თავიანთი სახელები დაეტოვებინათ. „აქ იყო ფოცხვერი დიეგო“, ან რამე ამის მსგავსი. როგორც ბრუკსი ტოვებს ავტოგრაფს თვითმკვლელობის წინ.

მსხვილი წვეთებით წვიმდა და ეს ამბავი უფრო ასევდიანებდა იქაურობას. მგონი, ჩემ გარდა არც არავინ იყო მაშინ ზოოპარკში. თუმცა, როგორ არა. ატრაქციონთან დავლანდე ახალგაზრდა ქალი, ბილეთების ჯიხურში იჯდა და არავის ელოდა. სახე მაჯაზე დაეყრდნო და ღმერთმა იცის, რაზე ფიქრობდა. მე, როცა თავს ეგრე ჩამოვდებ, კარგზე არაფერზე მეფიქრება ხოლმე. ისე, ეგეთ მურტალ ამინდში, ამდენ სევდიან ცხოველს შორის, რატომ უნდა გაგეფიქროს კარგზე.

და სწორედ მაშინ, როცა ვიფიქრე, რომ ამ ქალზე მარტოსული არავინ იყო იმწუთას, ენოტი დავინახე. საქათმისხელა გალიაში იჯდა და შორიდან მიყურებდა. „ტირის?“ – ვიფიქრე. ისიც კი არ ვიცი, ენოტებს ტირილი თუ შეუძლიათ. თან ძალიან შორს ვიდექი, მაგრამ შორიდანაც კი კარგად ჩანდა, როგორ ბზინავდა მის თვალებში წყალი. „ტირის, ბიჭო, ტირის!“ – ისტერიულად ვიმეორებდი და ნელ-ნელა იმ მღრღნელს ვემსგავსებოდი, ცოტა ხნით ადრე გაუჩერებლად და ნერვიულად რომ ურტყამდა თავის გალიას წრეებს „პრაგულკაზე“ გამოყვანილი პატიმარივით.

გალიას მივუახლოვდი თუ არა, ენოტი მიხვდა, რომ წასასვლელი არსად ჰქონდა, ვერსად შეიმალებოდა და იცით, რა ქნა? თავი დახარა. მხოლოდ ეს შეძლო – თავის დახრა, რათა არ დავენახე და წარმოსახვაში მაინც გავექრე, წარმოედგინა, რომ იქ არ ვიყავი და ვერაფერს დავუშავებდი. სწრაფად გავერიდე, მაგრამ საკუთარ ვარაუდში დასარწმუნებლად ისევ მიგბრუნდი. ენოტმა ისევ იმგვარად დაიცვა თავი. იმისთვის, რომ ზუსტად მიხვდეთ, რას გრძნობდა დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, ნანახი უნდა გყავდეთ შიშისაგან გისოსზე აკრული ენოტი, რომელსაც გასაქცევი არსად აქვს და ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლია, თავის დახრაა. ენოტი გალიაში მარტოა. სრულიად მარტო.

რა აღარ ვიფიქრე. მეთქი, მოთხრობას დავწერ, რომ წყვილი ზოოპარკში გამოვიდნენ ყველანი და ვიცხოვროთ ერთად. რა ფასი აქვს ცხოვრებას რისკის გარეშე. განა ცოტა დადის ამ ქვეყანაში სამეფო კობრაზე უფრო შხამიანი და თეთრ ლომზე უფრო მტაცებელი? ჩართეთ საღამოს საინფორმაციო გამოშვება და რამდენსაც გინდათ, იმდენს ნახავთ, სულო და გულო.

წვიმდა და წვიმდა. ბილეთების ჯიხურში მჯდომ ქალს ორივე ხელი შემოედო თავზე, მაგრამ ის არ იყო ყველაზე მარტოსული დედამიწაზე. არც მე ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ იმ წამს სწორედ ასეთად ვგრძნობდი თავს. ყველაზე მარტოსული იყო ენოტი, საქათმისხელა გალიაში გამომწყვდეული, უმეგობრო და გაუხარელი, დღედაღამ იმაზე მლოცველი, რომ მის გალიასთან არავინ მივიდოდა და თუ მაინც დაუცდებოდა ვინმეს ფეხი და შეამჩნევდა, განგების შეწევნით, შეძლებდა თავის დახრას, რის შემდეგაც ისეთი უკუნეთი ჩამოწვებოდა, რომელიც ყველა ჩვენგანს გააქრობდა მის გარშემო. წუთით მაინც.

გურამ მეგრელიშვილი

AX^2+BX+C=გადაუხადე სხვას

თუ ვინმესი გულწრფელად მშურს, ეს პროფესიონალი მუსიკოსები და მასწავლებლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, თავადაც ვასწავლი, მიმაჩნია, რომ ნამდვილი პედაგოგი მაინც ვერ გავხდი და ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებ, მხოლოდ მადლიერების გამოხატვის მცდელობაა იმ რამდენიმე მასწავლებლის მიმართ, რომლებმაც – იქნებ დაუფიქრებლად, მაგრამ მაინც – ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

მე ნამდვილი 90-იანელი ვარ. აი, იმ თაობისა, გაკვეთილებზე შეშა და ნავთი რომ დაჰქონდა, საერთო მოხმარების სახელმძღვანელოები ჰქონდა და დენის მოსვლისას შუა გაკვეთილზე ყიჟინას დასცემდა ხოლმე. ომებს აღარც ვახსენებ. ომები ლამის ყველა იმ თაობამ გამოვიარეთ და ვნახეთ, ვინც ჯერაც ცოცხლები ვართ.

და იმ პერიოდში, იმ რთულ და ავად სახსენებელ პერიოდში, მე მყავდა მასწავლებლები, რომლებიც, ახლანდელი გადმოსახედიდან, გმირები იყვნენ, მაშინ კი უბრალოდ უცნაურ ადამიანებად მეჩვენებოდნენ.

ერთი ასეთი კაცი ზაურ გოგრიჭიანი იყო. მოსწავლეები მოფერებით ჯუდოს ეძახდნენ. არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს მეტსახელი, მაგრამ მახსოვს, რომ სწყინდა და მხოლოდ ზურგს უკან ვეძახდით ასე: ჯუდო!

სანამ მთავარ ამბავს მოვყვები, უნდა გავიხსენო, რომ სადღაც მეოთხე კლასში ექიმობა ავიკვიატე. ცხადია, ეს მაშინდელი საერთო ფონის ამბავი იყო: ოჯახში „დოხტური“ თუ არ გყავდა, არ ივარგებდა. ოჯახის ნათესავ-მეგობრებიც ხომ მხარზე ხელის მოთათუნებით წაახალისებენ ხოლმე ასეთ „არჩევანს“ – აბა რა, შვილო, კარგი პროფესიაა, შემოსავლიანიც და პრესტიჟულიცო. მთელი ბავშვობა, ბარე მეათე კლასამდე, ვამტკიცებდი: ექიმი უნდა გამოვიდე, ბიოლოგიის და ქიმიის გარდა არაფერი მჭირდება, რეცეპტს როგორმე გამოვწერ, ამიტომ სხვა საგნებზე დროის ხარჯვა ფუჭი ამბავი მგონია-მეთქი. არ ვიცი, ეს თავდაცვის მექანიზმი იყო იმის გამო, კვადრატულ განტოლებას რომ ვერ ვხსნიდი მეათე კლასამდე და ქართულში სამიანზე მაღალი ნიშანი არასოდეს მქონია თუ რა, მაგრამ რაღაცნაირად ასე კი აეწყო – ქიმია და ბიოლოგია მართლა განსაკუთრებულად მიყვარდა. არასოდეს მეზარებოდა ამ ორი საგნის სწავლა, მეტიც – არც დამატებითი ლიტერატურის მოძიება და ქექვა. დაავადებათა სიმპტომატიკის შესახებ არსებული ყველა წიგნი, რომელზეც კი იმ დროისთვის ხელი მიმიწვდებოდა, დაკონსპექტებული მქონდა და როგორც მომავალი „პროფესიონალი“, განსაკუთრებული კარიერისთვის ვემზადებოდი. მანამდე, სანამ ჭიანაწლავის ოპერაცია არ დამჭირდა, ექიმმა მამაჩემს არ უთხრა, სანამ ნარკოზის ფულს არ მოიტანთ, ვერ გავკვეთთო და ისიც შუაღამისას კისრისტეხით არ გავარდა 50 დოლარის სასესხებლად. მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ასე არასოდეს არაფერზე ამცრუებია გული. პალატაში წოლისას სრული ფრუსტრაციის განცდა მქონდა. იმ ღვთისმსახურივით ვიყავი, უცებ ღმერთის არსებობაში ეჭვი რომ შეეპარება და იმედგაცრუებულს იმის დაშვებისაც კი მეშინოდა, რომ 17 წლის ასაკში, სამედიცინო უნივერსიტეტისთვის „მომზადებულს“, უარი უნდა მეთქვა პროფესიაზე, რომელზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი.

მშობლები თავისუფლად მზრდიდნენ. ჩემს ახალ აკვიატებას, რომ სამედიცინოზე აღარ ჩავაბარებდი, მშვიდად შეხვდნენ და გადაწყდა, მომდევნო წელს მათემატიკაში მოვმზადებულიყავი, საგამოცდო საგნებს იმხანად რომ დაემატა. როგორც ხდებოდა და ახლაც ხდება, გაიკითხ-გამოიკითხეს და ფასისა და ხარისხის შეფარდებით ზაურ გოგრიჭიანი აირჩიეს. მკაცრი და უცნაური კაციაო, მახსოვს, გვითხრა მისმა რეკომენდატორმა. უცნაურობა კი იმით გამოიხატებოდა, რომ ყველას არ ამზადებდა. წინასწარ გაესაუბრებოდა ბავშვს და გადაწყვეტდა, აიყვანდა თუ არა.

ჯუდოს ამბავი მეც გავიკითხ-გამოვიკითხე და დავასკვენი, რომ მართლა უცნაური კაცი იყო. ამდენი ლეგენდა მასწავლებელზე არასოდეს მსმენია.

„ერთხელ თურმე მოსწავლე მეცხრე სართულიდან ფეხებით გადაკიდა, თუ არ ისწავლი, გადაგაგდებო!“ – ცოტა შეშინებული კილოთი მითხრა ჩემმა მეგობარმა გიორგი ხარაიძემ, ვისთან ერთადაც ვიჯექი და კარს ვუყურებდი, საიდანაც ჩვენს შესამოწმებლად ზაურ გოგრიჭიანი უნდა შემოსულიყო.

დასასრული 30-ე გვერდზე

ნასტასია არაბული

რამდენი საერთო მეგობარი ეყოლებოდა თამარ მეფეს დავით სოსლანთან

ერთმა მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, გაეკეთებინათ ცნობილი ისტორიული პირების Facebook-პროფილები და აღმოაჩინა, რომ მშვენიერი მეთოდი იპოვა ბავშვებისთვის ძველი ამბების მათთვის გასაგები ფორმით მისაწოდებლად.

რას ვეცნობით, როცა ვათვალიერებთ ერთი ადამიანის, მაგალითად, ფეისბუქგვერდს?

- სახელს, დაბადების თარიღს, საცხოვრებელ ადგილს, განათლებას;
- ოჯახის წევრებს, მეგობრებს, თანამშრომლებს;
- საყვარელ საჭმელებს, მუსიკოსებს, ფილმებს, მსახიობებს;
- ადგილებს, სადაც ოდესმე ყოფილა;
- ფოტოებს;
- სტატუსებს მიმდინარე აქტუალური ამბების შესახებ;
- მის ცხოვრებაში მომხდარ საინტერესო და მნიშვნელოვან ამბებს.

თუ მხოლოდ ამ ინფორმაციას ავიღებთ და გადავწყვეტთ, ამ ჩარჩოს მიხედვით შევქმნათ რომელიმე ადამიანის, ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელის, სტალინის, კლეოპატრას ან მარო მაყაშვილის პროფილი, ერთდროულად რამდენიმე ამოცანას შევასრულებთ:

- მოსწავლეებს ვასწავლით ისტორიული ცნობების სისტემატიზებასა და დახარისხებას.
- მივცემთ საშუალებას, გამოიყენონ ფანტაზია, იუმორი და ლოგიკა და მათი მეშვეობით მოახდინონ იმ ინფორმაციის რეკონსტრუქცია, რომელიც ისტორიულ წყაროებში დაცული არ არის.
- დავაფიქრებთ იმაზე, რომ ნებისმიერი დიდი ისტორიული ფიგურა პირველ რიგში ადამიანი იყო, რომლის ჩამოყალიბებაზეც გავლენა მისმა ოჯახმა, განათლებამ, საცხოვრებელმა ადგილმა, პოლიტიკურმა ფონმა და სხვა ფაქტორებმა მოახდინა. ჰქონდა ძლიერთან ერთად სუსტი მხარეებიც, გამარჯვებებთან ერთად – დამარცხებებიც, ჰყავდა მეგობრები და ა.შ., დაინახავენ იმასაც, რომ ეს ადამიანური ფაქტორები ისტორიას ზოგ შემთხვევაში აინტერესებს, ზოგ შემთხვევაში - არა და შესაძლოა დაინახონ კანონზომიერებაც, როდის ინტერესდება ისტორია გმირების ყოფითი ამბებით და როდის – არა.
- ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეები აუცილებლად მიხვდებიან, რომ ისტორია გენდერული უთანასწორობის საჩვენებლად ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა. ქალების შესახებ წყაროები ყველგან ყოველთვის უფრო მწირია, ვიდრე კაცების შესახებ.
- სავარაუდოდ, იმასაც მიხვდებიან, რომ გეოგრაფია ისტორიული პერსონაჟებისა უმეტესად საკმაოდ მწირია, მათი გარშემო მყოფების შესახებ კი ცოტა რამ ვიცით.

ამ დავალების მთავარი ხიბლი, ალბათ, ის გახლავთ, რომ მოსწავლეები „დიდ“ ადამიანებს გაუშინაურდებიან და მათზე, როგორც შესაძლო თანამედროვეებზე ფიქრში გაივარჯიშებენ. და თუ ასე შეხედავ ძველ ამბებს, თანამედროვის პოზიციიდან და ამ დროის პერსპექტივიდან, უფრო ადვილი იქნება მათი აღქმა, დამახსოვრება, მნიშვნელობის განსაზღვრა და ისტორიის გაკვეთილების განზოგადება.

თუ თქვენი მოსწავლე გაკვეთილზე გამუდმებით ხატავს

დასაწყისი 27-ე გვერდზე

ამიტომ მივედი ელენესთან და ყურში ჩავჩურჩულე, რა ლამაზად ხატავდა და რა ნიჭიერი იყო. გოგონას გაუკვირდა, შერცხვა. ვთხოვე, იმის ილუსტრაცია დაეხატა, რასაც ახლა ვკითხულობდით. ელენე დამთანხმდა და სიხარულით შეუდგა მუშაობას, გაკვეთილის ბოლოს კი გასაოცარი ნამუშევარი მაჩვენა, ორიგინალური ხედვითა და ფერებით შესრულებული.

ასეთი დიდი მასწავლებლური ბედნიერება მე არ მახსოვს – როდესაც საკუთარ თავთან და სინდისთან პირნათელი ვიყავი. გადავწყვიტე, ბოლომდე შემეცვალა მიდგომა. მათემატიკის გაკვეთილზე ელენეს ვთხოვდი, ამოცანები დაეხატა, ქართულზე ილუსტრაციებსა და კომიქსებს მიხატავდა, დავალებებს ინდივიდუალურად ვურჩევდი და მოთხრობების გაგრძელებებს ან ხატავდა, ან ქაღალდებისგან დიორამებს ქმნიდა, მერე კი კლასს წარუდგენდა ხოლმე. გვიყვებოდა, რატომ დახატა რომელიღაც პერსონაჟი ქერათმიანი, რატომ გადაწყვიტა, კაბის მაგივრად შარვალი ჩაეცმია, როგორ ასახავდა პეიზაჟი პერსონაჟის განწყობას და ასე შემდეგ. ამგვარმა მიდგომებმა ჩემსა და ელენეს შორის საინტერესო ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. რატომღაც თავს ვალდებულად მიიჩნევდა, ჩემთვისაც გაეგო და ზოგიერთი ისეთი დავალება შეესრულებინა, რომელიც დიდად არ მოსწონდა. საბოლოოდ, სემესტრის ბოლოს მისი ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვეთ და მშობლებს უკვე პირდაპირ ვურჩიე, ეზრუნათ ელენეს ნიჭის განვითარებაზე, რადგან ის ნამდვილი შემოქმედი იყო და განსხვავებული მიდგომა სჭირდებოდა. მშობლებმაც, მგონი, თავიდან აღმოაჩინეს შვილი, უხაროდათ და სიყვარულით შესცქეროდნენ მის ნახატებს, რომლებიც შემდეგ ჩარჩოში ჩასვეს და სახლში, საპატიო ადგილზე გამოფინეს, რითაც ელენე ძალიან ამაყობდა.

ელენეს პრობლემური ქცევა საბოლოოდ აღმოიფხვრა და სულ რაღაც ერთ წელიწადში ის სულ სხვა ადამიანად იქცა – თავისუფალ, კრეატიულ და ზრდილობიან გოგონად, რომელიც მუდამ თვალებში შემომციცინებდა და უსიტყვოდ ესმოდა ჩემი. გარდა ამისა, ელენე თავის ნამუშევრებს გულუხვად ურიგებდა კლასელებს. თუ ვინმეს სასაჩუქრე ყუთი ან ბარათი დასჭირდებოდა, გოგონა მუდამ მზად იყო დასამზადებლად.

მზამზარეული თეორიებითა და წესებით შედეგს ვერ მივაღწევთ, თუ ეს ყველაფერი გულიდან არ მოდის. ხანდახან წესების დარღვევით ბევრად უფრო მნიშვნელოვან რამეს ვუდებთ საფუძველს, ვიდრე ყოველდღიური რუტინა და წესრიგია. მთავარია, გავაცნობიეროთ, რა გვინდა ჩვენ, როგორები გვინდა ვიყოთ და როგორი მოსწავლეები გვყავდეს.

ახლა თავად დაფიქრდით, რა მოხდებოდა, მე რომ ამგვარი გადაწყვეტილება არ მიმეღო. უკვე გარდატეხის ასაკში, ალბათ, ელენე მძაფრად გააპროტესტებდა ამ ყველაფერს და საბოლოოდ ბევრ ადამიანს ეტკინებოდა გული. ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მნიშვნელოვანი ის გადაწყვეტილებებია, რომლებსაც ჩვენ, მასწავლებლები, დაწყებით საფეხურზე სწავლებისას ვიღებთ. წარმოიდგინეთ, რამდენი რამის შეცვლა შეგვიძლია და რამხელა ძალაუფლებაა ჩვენს ხელში. განვსაზღვრავთ და ვქმნით მომავალს, ვაყალიბებთ ადამიანებს და ვანიჭებთ ყველაზე დიდ ბედნიერებას – ვასწავლით საკუთარი თავის შეცნობას, ვაძლევთ განათლებას და უფრო მეტსაც: თავისუფლებას – განათლება ხომ თავისუფლებაა.

დასაწყისი 29-ე გვერდზე

ზაური მაღალი, მხნე კაცი იყო, წარმოშობით ზემო რაჭიდან, სოფელ ღებიდან. ღებელებზე ის ვიცი ჩემი ჯუდოსგან, რომ ამ მაღალმთიან სოფელში, სადაც უმკაცრესი კლიმატია, 17 აკადემიკოსი დაიბადა და, საზოგადოდ, ყველა იქაურს განსაკუთრებული ნიჭი აქვს ჰავის თავისებურების გამო. ყველაზე უცოდინარი მე ვარო, დაამატებდა ზაური და ამოიოხრებდა ხოლმე, და ეს ამოოხვრა, დანამდვილებით ვიცი, სოფლის მონატრება იყო.

დღევანდელ დღესავით მახსოვს: სამნი ვიყავით ჩემს ბინაში, მეთექვსმეტე სართულზე. ლიფტი არ მუშაობდა და მასწავლებელმა, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, არასოდეს იგვიანებდა, ზუსტად სამი წუთი დააგვიანა. დინჯად შემოვიდა ოთახში და სამივეს დაგვაკვირდა.

მე, გიორგი და იოსები ვისხედით და შევყურებდით ლეგენდარულ კაცს, რომელმაც ერთ ჩემს უბნელ ბიჭს ისე შეაყვარა მათემატიკა, ეს უკანასკნელი სამი წელი უმაღლესი ქულებით აბარებდა სხვადასხვა უნივერსიტეტში (გამოცდის პროცესი მომწონსო), ისე რომ, საქართველოში იმ დროს არსებული ყველა მთავარი სასწავლებლის სტუდენტი ერთხელ მაინც გახდა.

ჰოდა, ვისხედით და შევყურებდით ამ კაცს, რომელსაც სათვალის მიღმა ცისფერი, ბრიალა თვალები და ძალიან, ძალიან მანერული მეტყველება და მიხრა-მოხრა ჰქონდა. იოსებმა, ასევე ჩემმა კლასელმა, მითხრა, მე კი ამიყვანს, შენ რა გეშველება, კვადრატულ განტოლებასაც ვერ ხსნიო. ჩემთვის სულერთია, არც მათემატიკა მაინტერესებს და არც უმაღლესში ჩაბარება, ჯარში მივდივარ-მეთქი, ვუპასუხე.

ჯუდომ შეგვამოწმა, იოსებს უარი უთხრა მომზადებაზე, მე და გიორგი აგვიყვანა და დავიწყეთ.

პირველი სამი გაკვეთილი „მოსარჯულებელი“ ბრძოლა იყო. ცხადია, ფანჯარას სათოფეზე არ ვეკარებოდი – მეთექვსმეტე სართული იყო მაინც. მეოთხე გაკვეთილზე კალამი მაგიდას დაჰკრა და ჯერ ცხარედ, მერე კი ძალიან დინჯად მითხრა სიტყვები, რომლებიც არასოდეს დამავიწყდება: „გურამ, შენ ხარ ძალიან მაგარი მათემატიკოსი. იმდენად მაგარი, რომ შეგიძლია, ფერმას დიდი თეორემაც კი ამოხსნა. მეტიც: ამ ცხრა თვეში, რაც გამოცდებამდე დაგვრჩა, არათუ ჩააბარო, არამედ შეუსწორო კიდეც პროფესორს, რომელიც



განტოლების ამოხსნის არასწორ, რთულ გზას შემოგთავაზებს. ნუ იბრძვი, ირწმუნე საკუთარი თავის და გამომყევი“.

აი, ეს მითხრა ტიპმა, რომელიც აბიტურიენტებში ჯონ ლენონზე პოპულარული იყო. წლების შემდეგ, სრულიად შემთხვევით, სტიგ ლარსონის წიგნის „გოგონა დრაკონის ტატუთი“ კითხვისას გავიგე, რომ ფერმას დიდი თეორემა თურმე ორი წლით ადრე ამოუხსნია ენდრიუ უაილზს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზაურის სიტყვებმა ისე გამამხნევა, უმაღლეს მათემატიკაში გამოცდა უმაღლესი ქულით ჩავაბარე.

მარტივად დავწერე, აი, ცურვა რომ იცი და კი არ ფიქრობ, როგორ იცურო, უბრალოდ მიცურავ, ისე დავწერე.

აქამდე უინტერესო საგანი ყველაზე მეტად შემიყვარდა. ორი რამის გამო: პირველი – გავიგე, დავინახე, შევიგრძენი, მოვისმინე მათემატიკა და მეორე – მასწავლებლის შრომას ვაფასებდი, მთელი ცხრა თვე რაღაც გროშებისთვის ჩემს სახლამდე – კილომეტრს, მერე კი მთელ 16 სართულს ფეხით რომ ამოივლიდა და 6, 7, ხანდახან 10 საათიც კი მათემატიკაზე მელაპარაკებოდა.

მრცხვენოდა, ასეთი მცირე თანხის საფასურად ამდენს რომ შრომობდა ჩემთვის. მისი სიმკაცრეც ურბანული ლეგენდა აღმოჩნდა – თუ ვჩხუბობდით, ვჩხუბობდით ზუსტად ისე, „შერეკილებში“ ერთაოზი და ქრისტეფორე მგალობლიშვილი რომ ჩხუბობენ.

„მე თვითონ მოვალ თქვენთან, პატივცემულო (გულში კი ვამატებდი: „ჯუდო“), ამხელა გზაზე ფეხით რომ არ იაროთ!“

აქამდე მოსასვლელად ოცდასამი წუთი მჭირდება. შენ ახალგაზრდა ხარ, ჩვიდმეტ-თვრამეტ წუთში მოხვალ, მაგრამ გზაში ვინმე შეგხვდება, იქ ბირჟაზე შეგაყოვნებენ, აქ გოგოს გააყოლებ თვალს, სადღაც წაიზანტებ და ნახევარ საათს დაკარგავ, ამ დროში კი ნორმალური ადამიანი ერთ-ორ კაი საინტერესო განტოლებას ამოხსნისო, მპასუხობდა.

მუსიკა, რელიგია, ლიტერატურა, ასტრონომია, გეოგრაფია, კულინარია თუ ნადირობა – რაზე არ გვილაპარაკია ჩვენ სამს: მე, გიორგის და ზაური მასწავლებელს. არც მახსენდება ჩემი ცხოვრების უფრო საინტერესო მონაკვეთი, ვიდრე ეს ცხრა თვე იყო, როცა ათსაათიანი მეცადინეობის შეუალეებში ფიზიკის ამოცანებით „ვისვენებდით“.

სწორედ ზაურ გოგრიჭიანის, ამ იშვიათი პედაგოგის გამო ვცადე მასწავლებლობა. ვფიქრობ, მისთვის მადლობის გადახდას ჯერი არ აქვს, ვერც მოვახერხებ. თუ ჩემსავით მადლიერი ერთი მოსწავლე მაინც ვიპოვე, მიზანი ალბათ მიღწეული იქნება და ეს გზა, ეს ტრადიცია, ეს უხილავი კავშირი პედაგოგსა და მოსწავლეს შორის არ გაწყდება.

მე სხვას გადავუხდი მადლობას!

მაია ფირჩხაძე

კონსტრუქტივისტული სწავლება აქტიური კითხვის გაკვეთილზე

ამჟამად კონსტრუქტივისტული სწავლება ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო სწავლებაა, რომელსაც დიდი ცხოვრებისეული მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოდ, **კონსტრუქციულობა** – ეს არის პროდუქტიულობა, კონკრეტულობა და სტრუქტურირება ყველგან და ყველაფერში, რომელიც უდავოდ ამდიდრებს პედაგოგიური ცოდნის მეთოდოლოგიურ აპარატსაც.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში კონსტრუქტივიზმის იდეები სხვადასხვა დეფინიციით გვხვდება: „კონსტრუქციულობა“, „კონსტრუქტივისტული სწავლება“, „კონსტრუქტივისტული უნარები“, „კონსტრუქტივისტული აზროვნება“, „კონსტრუქციული სწავლა“. მათ შესაბამის ცნებებად მოიაზრება „ფუნქციურობა“, „მობილურობა“, „აქტიურობა“, „კონსტრუქციული პიროვნება“, „პასუხისმგებლობა“, „აბსტრაგირება“ და სხვ. ისინი სწავლების მეთოდოლოგიაში განხილულია როგორც **კონსტრუქტივისტული მიდგომები.**

რას გულისხმობს ეს ცნებები?

კონსტრუქტივისტული აზროვნება ისეთი ტიპის აზროვნებაა, რომელიც მიმართულია პრობლემური, ფუნქციური დავალების გადაწყვეტისკენ.

კონსტრუქტივისტული უნარები მოულოდნელ სიტუაციებში გააზრებული, გამოცდილებაზე დაფუძნებული ქმედებაა.

კონსტრუქციულია ქმედება, რომლის დროსაც შესაძლებლობები მაქსიმალურადაა გათვლილი.

კონსტრუქციული პიროვნებისთვის დამახასიათებელია კონსტრუქციულობა, **კონსტრუქტივისტული უნარები.**

დასახელებული მიდგომების გამოყენებისას ადამიანები აღწევენ მიზანს, მაგრამ მიღებული შედეგები თავისთავად არც წარმოადგენდა მათი ქცევის საფუძველს, ისინი უბრალოდ ქმედების პროცესში იქცა შედეგებად.

როგორია კონსტრუქტივისტების მოსაზრებები ამის თაობაზე?

მაგალითად, დ. დიუი (1925) მიუთითებდა, რომ სწავლებისას მოსწავლე ორიენტირებულია მხოლოდ იმ ცოდნის მიღებაზე, ათვისებაზე, რომელსაც შეიმეცნებს დამოუკიდებელი საქმიანობის პროცესში, რადგან ასეთი სწავლება ყველაზე მეტად ეხმიანება მის პირად ინტერესებსა და შეხედულებებს ცოდნის შეძენის შესახებ.

შესაბამისად, **დ. დიუის** მიხედვით, უმჯობესი იქნება, სწავ-

> საზოგადოდ, კონსტრუქციულობა – ეს არის პროდუქტიულობა, კონკრეტულობა და სტრუქტურირება ყველგან და ყველაფერში, რომელიც უდავოდ ამდიდრებს პედაგოგიური ცოდნის მეთოდოლოგიურ აპარატსაც.

> აქტიური კითხვის ტექნიკის გამოყენებით ტექსტთან მუშაობა განვითარების საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ეხმარება მას ინფორმაციის გააზრებაში, არსებითი ნიშნების გამოყოფაში, საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღებაში, პრობლემის გამოყოფაში, მოვლენათა ობიექტურ შეფასებაში, გადაწყვეტაში, არგუმენტირების უნარის დახვეწაში, პოზიციის გამოხატვაში, საკუთარი აზრის დაცვაში;

ლებისას გავითვალისწინოთ მოსწავლის **„ოთხი ძირითადი ინსტინქტი“**:

- **კეთებისა (ქმედებისა),**
- **კვლევისა (გამოკვლევისა),**
- **მხატვრული (შემოქმედებითი)**
- **და სოციალური.**

დ. დიუის ამ მოსაზრებებს შემდეგში აქტიურად დაუჭირა მხარი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჩ. რიჩარდსონმა,** რომელმაც ამგვარ სწავლებასთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა ტერმინი **„პროექტული სწავლება“. მონტესორის მიხედვით** (1870-1952) კი სწავლება მაშინაა კონსტრუქციული, როდესაც ნებისმიერი პრაქტიკული ქმედება, თეორია და მოდელი აგებულია მხოლოდ ფუნდამენტური ცოდნის ბაზაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტრუქციული საქმიანობისას აუცილებლად წარმოიქმნება სისტემა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც კონსტრუქცია, რომელსაც თვითონ მივყავართ ქმედების კონსტრუქციულ გადაწყვეტამდე.

რა არის კონსტრუქციული სწავლების მთავარი მიზანი?

კონსტრუქციული სწავლების მთავარი მიზანი კონსტრუქციული პიროვნების ჩამოყალიბებაა, რომელსაც შეუძლია თავისი საქმიანობის თვითორგანიზება, „სწავლის სწავლა“, კონსტრუქციული აზროვნებისა და კონსტრუქციული უნარების გამოყენება, კონსტრუქციული საქმიანობის კონსტრუქტივისტულად წარმართვა. მაგრამ ასეთი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის საჭიროა სათანადო პირობები, ისეთი შესაფერისი, კონსტრუქტივისტული სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლისთვის სწავლების შედეგს შესაძლებელს, მიღწევადს და დაძლევადს გახდის.

რა ტიპის დავალებები გამოიყენება ასეთი სწავლების დროს?

ასეთ დროს იყენებენ სიტუაციურ სავარჯიშოებს, კვლევითი ხასიათის დავალებებს, ელექტროსაკომუნიკაციო საშუალებებს, ტექნოლოგიურ რუკებს, სასწავლო კონფერენციებს, თავისუფალ არჩევანს და სხვ.

ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს სწავლებაში **აქტიური – პროდუქტიული კითხვის გამოყენებაც.** საგაკვეთილო საქმიანობისას მოსწავლეს სასწავლო დავალებათა მთელი წყების გადაწყვეტა უწევს. ამ ტექნიკის მთავარი უპირატესობაც ის არის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელებისას, მათ შორის – ისეთი დავალების შესრულების დროსაც, რომელიც მოსწავლეს საკუთარი მიგნებების, საკუთარი ცოდნის კონსტრუირების, საზოგადოდ, საკუთარი „კონსტრუქციის“ შექმნის საშუალებას აძლევს.

მოცემული ტექნიკა წარმოადგენს რამდენიმე ტექნოლოგიური მიდგომის ნაერთს, რომელიც მიმართულია საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალური ჩართულობისკენ, სააზროვნო საქმიანობისა და რეალიზებისკენ.

აქტიური, პროდუქტიული კითხვის ტექნიკის გამოყენება ხელს უწყობს:

- კომუნიკაციური უნივერსალური სასწავლო ქმედებების ფორმირებას;
- წაკითხულის მიმართ დამოკიდებულების ფორმულირებას;
- თანამოსაუბრის ადეკვატურად გაგებას;
- შემეცნებითი ხასიათის უნივერსალური სასწავლო ქმედებების განხორციელებას (ტექსტიდან ინფორმაციის ამოღებას).

აქტიური, პროდუქტიული კითხვის დროს აქტიურად გამოიყენება შემდეგი მიდგომები:

1. **ტექსტის შეფასება** – მოსწავლე ტექსტს კითხულობს აბზაც-აბზაც და შემდეგ აფასებს მის შინაარსს. მაგალითად, IX კლასში, პარაგრაფის „საქართველო XVII საუკუნეებში“ გავლისას, მოსწავლეს ევალება, გარკვეული ხნის განმავლობაში ისწავლოს ტექსტი და უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- რომელი ქვეთავები შეგხვდა გაკვეთილში?
- რომელი სიტყვები, ცნებებია გამოყოფილი, ხაზგასმული ტექსტში?
- ყველაზე ხშირად რომელი მათგანი შეგხვდა? რომელი იყო ნაცნობი? რომელი – უცნობი?
- შენი აზრით, რატომ არის მათზე ყურადღება გამახვილებული?
- რომელია გაკვეთილის ყველაზე დიდი ქვეთავი? შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი? – და სხვ.

ამ შემთხვევაში ტექსტის კითხვა გამოყენებულია როგორც შემეცნების ინსტრუმენტი, მაგრამ ეს მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეფექტურია თავად მიდგომა. აქტიური, პროდუქტიული კითხვის მიდგომის გამოყენების დროს კი ამის მიღწევა სავსებით შესაძლებელია.

„ნაგვიანევი პასუხი“ – გაკვეთილის დასაწყისში მოწავლეები

გაეცნობიან ამოცანას/დავალებას, რომლის გადასაწყვეტად/შესასრულებლად საჭირო „გასაღებს“ იპოვიან გაკვეთილზე ახალ მასალაზე მუშაობის დროს. მაგალითად, VII კლასში მოსწავლეებს ევალებათ გაარკვიონ: რატომ უწოდებდნენ აქემენიანთა იმპერიას „ქვეყნიერების სამეფოს“, ხოლო მისი მეფეები რატომ ატარებდნენ „მეფეთა მეფის“ ტიტულს.

„შეეკითხე“ („ეკითხები? – მაშასადამე, იცი“) – ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობის დროს მოსწავლეებს ვთავაზობთ კითხვების შედგენას. შეკითხვის მომზადების დრო განზრახ იზღუდება და მოსწავლეები იძულებული არიან, კითხვები არა მარტო ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით, არამედ მასალის ანალიზის საფუძველზეც მოამზადონ. კითხვების „ღირებულება“ შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ შესაძლებელია რანჟირებაც:

- რეპროდუქტიულ ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები, რომლებიც პასუხობს კითხვებს: „ვინ?“; „რა?“; „სად?“; „როდის?“; „რამდენი?“ – და ა.შ.;
- პროდუქტიულ ცოდნაზე ორიენტირებული კითხვები: „როგორ?“; „რანაირად?“ – და ა.შ.;
- მიზეზშედეგობრიობისკენ მიმართული შეკითხვები: „რატომ?“;
- კითხვები, რომლებიც მოითხოვს ანალიზს, სინთეზს: „რა აქვთ საერთო?“; „რითი გამოირჩევა?“; „შეადარეთ...“; „დაამტკიცეთ...“.

პასუხის სწორად ფორმულირება ნიშნავს, რომ მოსწავლეს შეუძლია იმ ცოდნის გამოყენება, რომელიც უკვე აქვს და, ამავე დროს, გამოიკვეთება ცოდნის ის უახლოესი ზონაც, რომელიც „მას სურს გაიგოს“.

„შეადგინე დავალება“ – მოსწავლეებს გაკვეთილზე ვთავაზობთ, არა მარტო უპასუხონ ტესტურ დავალებებს (ან სხვა ტიპის დავალება შეასრულონ), არამედ შეადგინონ კიდეც ალტერნატიული ტესტები/დავალებები: კროსვორდები, რებუსები, თავსატეხები და სხვ. თუ შევატყობთ, რომ ამისთვის საგაკვეთილო დრო არ იქნება საკმარისი, შეგვიძლია, საშინაო დავალებად მივცეთ.

„ანალიტიკოსი“ – ასეთი მიდგომა მოითხოვს მოსწავლისგან არა ინფორმაციის მექანიკურ დამახსოვრებას და შემდეგ კითხვაზე პასუხს ან კითხვის მომზადებას, არამედ შემოქმედებით სამუშაოს. **მაგალითად, IX კლასში მოსწავლეს ვთავაზობთ ასეთ ტექსტს:** „ს. ჯანაშიამ მნიშვნელოვანი შრომა გასწია საქართველოს ისტორიულ წყაროთა გამოცემის, უცხოური წყაროების ცნობების ქართულად თარგმნის თუ მათი წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ხაზით. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მან ქართული კულტურის ისტორიას, ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. ჯანაშია ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებს საქართველოში. 1940 წლიდან ის სათავეში ჩაუდგა მცხეთის ტერიტორიაზე დაგეგმილ არქეოლოგიურ სამუშაოებს. მოპოვებული ახალი მასალის ანალიზი აისახა მის ნაშრომებსა და „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“. ჯანაშიას ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი საქართველოს ისტორიის შესახებ“.

დავალება: გააანალიზეთ ს. ჯანაშიას ღვაწლი საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

„ბლუმის კუბიკი“ – კუბიკის გვერდებზე წერია სიტყვები: „რატომ“, „ახსენი“, „დაასახელე“, „შემოგვთავაზე“, „მოიგონე“, „გაუზიარე“. მოსწავლე ან მასწავლებელი ისვრიან კუბიკს და რომელ სიტყვაზეც დაეცემა, იმ სიტყვასა და სასწავლო მასალაზე დაყრდნობით დაიწყებენ მოსწავლეები კითხვების მოფიქრებას. მაგალითად,

- რატომ არის დარიოს III-ის წარწერა კლდეზე ამოტვიფრული?
- შემოგვთავაზე ამ გაკვეთილის სათაურის შენეული ვერსია.
- დაასახელე ხამურაბის ძირითადი კანონები.
- მოიგონე პატარა მოთხრობა სახელმძღვანელოს ილუსტრაციების მიხედვით.
- რატომ გაათავისუფლეს გადასახადებისგან გლეხები 1864 წელს?
- გაგვიზიარე შენი მოსაზრებები წაკითხული ტექსტის შესახებ.

ეს მიდგომა ძალიან ეფექტური და მოხერხებულია განმეორებითი გაკვეთილის დროსაც. მოსწავლეები ზედმეტი დატვირთვის გარეშე ადგენენ კითხვებს და პასუხობენ მათ.

აქტიური კითხვის ტექნიკის გამოყენებით ტექსტთან მუშაობა განვითარების საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ეხმარება მას ინფორმაციის გააზრებაში, არსებითი ნიშნების გამოყოფაში, საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღებაში, პრობლემის გამოყოფაში, მოვლენათა ობიექტურ შეფასებაში, გადაწყვეტაში, არგუმენტირების უნარის დახვეწაში, პოზიციის გამოხატვაში, საკუთარი აზრის დაცვაში; ის ხელს უწყობს მოფიქრალი, შემეცნებაზე ორიენტირებული თაობის გაზრდას, სწავლის შედეგების გაუმჯობესებას და ამიტომ ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

მანანა სეხნიაშვილი

იდეები სამოდელო გაკვეთილისთვის

> ერთ-ერთი შეცდომა, რომელსაც გაკვეთილის დაგეგმვისას ვუშვებთ, სიღრმისეული წვდომის ეტაპის დაგეგმვაა. აქ ხშირად ჭარბობს მასწავლებლის იმპერატიული აზროვნება და საკუთარი კომპეტენციის დადასტურების სურვილი.

არაერთხელ დამიწერია სამოდელო გაკვეთილის შესახებ. ამჯერადაც ამ თემას ვეხები. მარტო სამოდელო გაკვეთილზე კი არ ვისაუბრებ, არამედ, ზოგადად, გაკვეთილის დაგეგმვის დროს დაშვებულ შეცდომებზეც. თითქოს ყველამ ვიცით გაკვეთილის დაგეგმვა, არაერთ ტრენინგზე განგვიხილავს როგორც საერთო ჩარჩო და პრინციპები, ისე გაკვეთილის გეგმის ძირითადი ნაწილებიც (წინარე ცოდნის გააქტიურებისა თუ რეფლექსიის მეთოდები). მაგრამ დღემდე ვუშვებთ ეგრეთ წოდებულ სტანდარტულ შეცდომებს. ბოლო ორი წლის საქმიანობიდან გამომდინარე, საკუთარ თავს გარე დაკვირვების გარე დამკვირვებელი შევარქვი. სწორედ ამ პოზიციიდან მინდა, შემოგთავაზოთ რამდენიმე რეკომენდაცია.

სხვადასხვა საგანში გაკვეთილის საკმაოდ ბევრ გეგმას გავეცანი, ძალიან კარგად დაგეგმილი და გააზრებული გაკვეთილის გეგმებიც ვნახე, მაგრამ ამჯერად მინდა, საერთო შეცდომებზე დავწერო.

პირველი და მთავარი გაკვეთილის მიზნის ჩამოყალიბებაა. ეს ყველამ ვიცით, თუმცა ერთ გაკვეთილში ხშირად ისეთ მიზნებს ვისახავთ, რომელთა მიღწევა რამდენიმე გაკვეთილშიც კი შეუძლებელია. აქვე უნდა ვთქვა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირის შესახებ. ხშირად მექანიკურად გადმოგვაქვს შედეგები და ინდიკატორები, რომლებსაც შემდეგ ყურადღებას აღარ ვაქცევთ. არადა, საჭიროა თითოეული ინდიკატორის გასააქტიურებლად შესაბამისი აქტივობა, რადგან ინდიკატორი ჩვენი მოქმედების ფაქტობრივი მოკარნახეა და ჩვენი გაკვეთილის მიზანში აისახება. ნუ გადმოვიტანთ მექანიკურად. თითოეული ინდიკატორი უნდა გავააქტიუროთ შესაბამისი მეთოდით. აქვე მინდა, ხაზი გავუსვა კიდევ ერთ საერთო შეცდომას: მიზნად ხშირად მითითებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და შეფასების განვითარება, რაც აქტივობებში არ ჩანს. ამ უნარების განვითარებისთვის საჭიროა, მოსწავლეს მივცეთ შესაბამისი დავალებები, რომლებიც მისგან ანალიზსა და შეფასებას, რაიმე ახლის შექმნას მოითხოვს.

მეორე შეცდომა, რაც ყველაზე ხშირად შემხვედრია, წინარე ცოდნის გააქტიურებაა, რომელიც ხშირად გაკვეთილის თემას სცდება. მიზეზი კარგად ჩანს საშინაო დავალებაში, რომლის „გამოკითხვა“ აუცილებელია. არადა, ბოლო პერიოდში პედაგოგიური პრაქტიკის არაერთი კვლევა სწორედ ამ თემას მიეძღვნა. დასკვნა და რეკომენდაციები ფაქტობრივად ერთი და იგივეა: ხშირად საშინაო დავალებას ვაძლევთ საშინაო დავალებისთვის და არა მიზნობრივად. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რა გვჭირდება შემდეგი გაკვეთილისთვის და ისეთი საშინაო დავალება მივცეთ, რომ შემდეგი თემის განხილვისას დაგვეხმაროს. წინარე ცოდნის გააქტიურება არ უნდა გასცდეს არც გაკვეთილის მიზანს და არც თემას. პედაგოგის კომპეტენციაც სწორედ ის არის, რომ დავაკავშიროთ თემები და მოსწავლეს მიზეზშედეგობრივი კავშირი დავანახოთ.

თუ ერთ თემას ასრულებთ და მეორე თემის პირველი გაკვეთილი გაქვთ, მიეცით მოსწავ-

ლეს ისეთი საშინაო დავალება, რომელიც ახალ თემასთანაც არის დაკავშირებული. შეგიძლიათ გამოიყენოთ მეთოდი „შებრუნებული საკლასო ოთახი“ და საშინაო დავალებად განსახილველი თემა მისცეთ. რა მნიშვნელობა აქვს, სახელმძღვანელოში პირველი პარაგრაფი რა არის?! მთავარია, დავანახოთ მოსწავლეებს კავშირი თემებს შორის, თემასა და რეალობას შორის და ვასწავლოთ აზროვნება. წინარე ცოდნის გააქტიურება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება.

კიდევ ერთი შეცდომა, რომელსაც გაკვეთილის დაგეგმვისას ვუშვებთ, სიღრმისეული წვდომის ეტაპის დაგეგმვაა. აქ ხშირად ჭარბობს მასწავლებლის იმპერატიული აზროვნება და საკუთარი კომპეტენციის დადასტურების სურვილი. ხომ უნდა ავუხსნა ახალი მასალა? – და იწყება მინილექცია, საუკეთესო შემთხვევაში – პრეზენტაციის გამოყენებით. მოსწავლეებს აჩვენებენ სლაიდებს, ფოტოებს და უხსნიან მნიშვნელობას, კლასიფიკაციის პრინციპებს... არადა, ხომ შეიძლება, მას შემდეგ, რაც წინარე ცოდნას გავააქტიურებთ, მივცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა, თავად დაადგინონ დეფინიციებიც და კლასიფიკაციაც დამოუკიდებლად მოახდინონ. მერე, თუ თვითონვე შეამოწმებენ და დამოუკიდებლად აღმოაჩენენ შეცდომებს (მეტაკოგნიტიური უნარების განვითარებისთვის), გაკვეთილი მეტად ინტერაქციული გამოვა. მოსწავლე პასიური მსმენელი და მიმღები კი არ იქნება, არამედ თავად ააგებს ცოდნას ჩვენი დახმარებით (სკაფოლდინგი). ამ ეტაპზე ყველაზე უკეთ ჩანს მასწავლებლის კომპეტენცია, რადგან ფასილიტატორობა, მიმართულების მიცემა უფრო მეტ ფიქრსა და აზროვნებას მოითხოვს, ვიდრე არსებული ცოდნის პირდაპირი გადაცემა.

ყოველივე ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის შეჯამება (რეფლექსია). რეფლექსიის მეთოდიც უამრავია: სამიზნე, კუნძულები, სინქვეინი, დაასრულე წინადადება...

მინდა, შემოგთავაზოთ ერთი გაკვეთილის გეგმა, რომლის გამოყენება შესაძლებელია როგორც მე-8, ისე მე-11 კლასშიც. გაკვეთილის მიზანი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა იქნება: მე-8 კლასში აქცენტი მოგზაურის აღმოჩენებზე დაისმის, მე-11-ში ამ თემის გაშლა გლობალიზაციის ჭრილშია შესაძლებელი. ვფიქრობ, ეს თემა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებსაც დააინტერესებთ.

ეს გაკვეთილი მე-11 კლასში ჩავატარე. საინტერესო და ხმაურიანი გამოგვივიდა, რადგან, მოსწავლეების სურვილიდან გამომდინარე, ერთი ჯგუფი იქცა „არასამთავრობო ორგანიზაციად“, რომლის წევრებმა დღევანდელი გადასახედიდან განიხილეს კოლუმბის აღმოჩენა.

ეს გაკვეთილი სამოდელოდაც გამოდგება, რადგან ხდება გამჭოლი კომპეტენციების, კერძოდ, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

მიზანი: მოსწავლე შეძლებს მისთვის სასურველი ფორმით (RAFT, წერითი დავალება, ნახატი, რეკლამა, პროექტი) დაასაბუთოს, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარებაში პიროვნების როლი და ღირებულებები. მოსწავლეებს განუვითარდებათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

აქტივობა N 1

წინარე ცოდნის გააქტიურება

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით პედაგოგი მოსწავლეებს აჩვენებს ანიმაციურ ფილმს:

ევროპული ღირებულებები

კითხვები და დავალებები:

1. რა არის ფილმის მთავარი გზავნილი?
2. რას წარმოადგენს ევროპული ღირებულებები?
3. გაიხსენეთ ევროპის პოლიტიკური რუკა დიდი გეოგრაფიული ეპოქის დასაწყისში.

აქტივობა N 2

როლური თამაში – RAFT მეთოდი

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები აანალიზებენ პიროვნების როლს საზოგადოების განვითარებაში, ღირებულებათა ჩამოყალიბებაში. გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას.

მასწავლებელს წინასწარ აქვს გაგზავნილი მასალა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის შესახებ: ტექსტი, რუკები და ინტერნეტგვერდის მისამართი; აგრეთვე – წყარო, რომელიც აღწერს ევროპულ ღირებულებებს:



> მივცეთ მოსწავლეებს შესაძლებლობა, თავად დაადგინონ დეფინიციებიც და კლასიფიკაციაც დამოუკიდებლად მოახდინონ. მერე, თუ თვითონვე შეამოწმებენ და დამოუკიდებლად აღმოაჩენენ შეცდომებს, გაკვეთილი მეტად ინტერაქციული გამოვა. მოსწავლე პასიური მსმენელი და მიმღები კი არ იქნება, არამედ თავად ააგებს ცოდნას ჩვენი დახმარებით.

http://georgie-europe2014.tsu.ge/french_geo/EVROPULI-GIREBULEBEBI-DA-IDENTOBA-geo.pdf

მოსწავლეები უნდა გაეცნონ არსებულ მასალას.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ანაწილებს როლებს, განსაზღვრავს აუდიტორიას, პრეზენტაციის ფორმასა და ძირითად იდეებს. აქ უნდა შეივსოს RAFT ცხრილი.

მოსწავლეები ჩამოთვლიან დაინტერესებულ მხარეებს.

ერთი ჯგუფი იქნება კოლუმბი და მისი ეკიპაჟის წევრები, **მეორე ჯგუფი** – სამეფო კარის წარმომადგენლები, **მესამე** შეიძლება საზოგადოებას წარმოადგენდეს, **მეოთხე** – დღევანდელი ევროპის (ევროკავშირის) ექსპერტებს ან რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და ა.შ. თითოეული ჯგუფი ამზადებს შესაბამის დავალებას. მეთოდიდან გამომდინარე, პრეზენტაციას შეიძლება ჰქონდეს ბლოგის, საჯარო გამოსვლის, ბუკლეტის, სარეკლამო ბილბორდის ან ნებისმიერი სხვა ფორმა. ეს მათი არჩევანია.

სამეფო კარისა და საზოგადოების წარმომადგენლები ადგენენ კითხვებს, რომლებსაც პრეზენტაციის დროს დასვამენ; ამზადებენ მოლოდინების ხეს, სადაც განალაგებენ მეტაპლანებს მოლოდინებით.

კოლუმბის ეკიპაჟის წევრებს კი აქვთ შემდეგი დავალება:

– თქვენ ხართ ქრისტეფორე კოლუმბი. უკვე აღმოაჩინეთ ამერიკა და მიიღეთ შესაბამისი სამეფო ჯილდო (ტიტული, თანხა და ა.შ.). მაგრამ ეს ყველაფერი გეცოტავებათ – გინდათ, ძველ სამყაროს (ევროპა) გააცნოთ ახალი სამყარო („ვესტ-ინდოეთი“) და ამ მოტივით ტურისტულ საქმიანობას ჩაუყაროთ საფუძველი.

შეასრულეთ ამოცანა ლოგიკური თანმიმდევრობით:

ა. რით და რატომ უნდა დაინტერესებულიყვნენ ევროპელები თქვენ მიერ აღმოჩენილ ქვეყანაში? (მოტივი, ურომლისოდაც ვერ დაიწყებ საქმეს! გაიხსენეთ ევროპული ღირებულებები.)

ბ. რით გააკვირვებდით ევროპელებს, რით დაინტერესებდით (რა მოახდენდა „ბომბის აფეთქების“ ეფექტს)?

გ. რას და როგორ შესთავაზებდით ევროპელებს მაქსიმალური ეფექტის მოსახდენად (თქვენი „შოუს“ სქემატური სცენარი – „პრომოუშენი“)?

დ. როგორი იქნებოდა თქვენი ტურისტული კამპანიის პირველი ნაბიჯები?

პრეზენტაციას წარმოადგენენ სასურველი ფორმით.

აქტივობა N 3

პრეზენტაცია – პანორამა

მოსწავლეები მოაწყობენ პანორამას – საკუთარ ნამუშევრებს გამოფენენ და ჩაატარებენ მოკლე პრეზენტაციას, მერე კი უპასუხებენ სამეფო კარისა და საზოგადოების წარმომადგენელთა კითხვებს.

აქტივობა N 4

სინქვეინი – ხუთსტრიქონიანი ლექსი

მოსწავლეები შექმნიან ხუთსტრიქონიან ლექსს დიდი აღმოჩენების პერიოდის ან ევროპის ღირებულებების შესახებ.

აქტივობა N 5

შეფასება

აქტივობა „სამიზნე“ ან რეფლექსიის ნებისმიერი მეთოდი (იხ. http://mastsavlebeli.ge/?p=19623).

მარიამ გოდუაძე

ენობრივ-კომუნიკაციური უნარები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის ჩარჩოში

„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში“ (2018) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარების განვითარებას. აღნიშნული ჩარჩო, თავის მხრივ, ეფუძნება დემოკრატიული საზოგადოებებისთვის საერთო ღირებულებით პრინციპებს. მასში მოცემულია ის ინსტრუმენტები, რომლებსაც უნდა ფლობდნენ ადამიანები განათლების ნებისმიერ დონეზე, რათა განუვითარდეთ საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობა და შეძლონ, თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებებში, რომლებშიც ვცხოვრობთ. მოცემული სარეკომენდაციო ჩარჩო განათლების სისტემებს სთავაზობს მოქმედების საერთო ხედვებს და, ამავე დროს, ითვალისწინებს პედაგოგიური მიდგომების სიმრავლესა და მრავალფეროვნებას[1].

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ტორბიონ იაგლანდის თქმით, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს შექმნის მიზანია წევრი სახელმწიფოების დახმარება, რათა მათ შეძლონ განათლების საშუალებით ღია, ტოლერანტული და მრავალფეროვანი საზოგადოებების ჩამოყალიბება.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში ტერმინი „ენა“ აღნიშნავს ყველა ლინგვისტურ სისტემას, რომელიც ან აღიარებულია როგორც ენა, ან წარმოადგენს აღიარებული ენის სახესხვაობას, განურჩევლად მათი მოდალურობისა. იგი მოიცავს სამეტყველო და ჟესტების ენას და არავერბალური კომუნიკაციის სხვა საშუალებებს. შესაბამისად, მოცემულ კონტექსტში ტერმინები „ვერბალური კომუნიკაცია“ და „არავერბალური კომუნიკაცია“ განმარტებულია როგორც „ენობრივი საშუალებებით განხორციელებული კომუნიკაცია“ და „არაენობრივი საშუალებებით განხორციელებულ კომუნიკაცია“.

ჩარჩოს თანახმად, ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები განმარტებულია როგორც სხვა ადამიანებთან ქმედითი და სათანადო კომუნიკაციისთვის საჭირო უნარები.

ქმედითი და სათანადო კომუნიკაციის მახასიათებლებად მიჩნეულია:

- ენობრივი უნარები;
- სოციოლინგვისტური უნარები;
- გადმოცემის უნარი.

ენობრივი უნარები განსაზღვრულია როგორც სამეტყველო და წერილობითი ფორმით წინადადებებისა და ფრაზების ჩამოსაყალიბებლად და აღსაქმელად საჭირო უნარები.

სოციოლინგვისტური უნარები განსაზღვრულია როგორც საუბრის პროცესში აქცენტის, დიალექტის, რეგისტრისა და სოციალური ურთიერთობების ლინგვისტური მარკერების გასარჩევად გამოყენებული უნარები.

გადმოცემის უნარი განსაზღვრულია როგორც შესაბამისი

> ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება გულისხმობს კონკრეტულ ენობრივ ჯგუფში სოციალურად მისაღები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებული პირობების ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას.

საკომუნიკაციო წესების გამოყენებით თანმიმდევრული და გამართული მეტყველების უნარი, ასევე დისკურსისა და წერილობითი ტექსტების კონკრეტულ საკომუნიკაციო მიზნებზე მორგების უნარი.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში CM/Rec(2014)5 ხაზგასმულია სასკოლო განათლებაში ენის (ენების) მნიშვნელობა. სახელდობრ, მასში (მუხლი 6, პუნქტი ბ) ნათქვამია, რომ: განსაკუთრებული ყურადღება სასკოლო განათლების საწყის ეტაპზევე უნდა დაეთმოს ენის ათვისებას, რომელიც, როგორც კონკრეტული სასკოლო საგანი და სხვა სასკოლო საგნებში მოსწავლეებისთვის ცოდნის გადაცემის საშუალება, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს როგორც ცოდნის მისაწვდომობის, ასევე მოსწავლეთა შემეცნებითი განვითარების თვალსაზრისით.

მოსწავლეები, რომლებსაც ენობრივი ბარიერი აქვთ, პრობლემებს ეჯახებიან სწავლასა და განათლებაში, უჭირთ წინსვლა.

უკლებლივ ყველა სასწავლო საგანში აქტივობები, რომლებიც ენობრივ კომპეტენციას მოითხოვს, მოიცავს შემდეგს:

- კითხვა და გაგება განმარტებითი ტექსტებისა, რომლებიც ხშირად, სასწავლო საგნის კონტექსტის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავებულია;
- მასწავლებლის მიერ რთული საკითხების ახსნის მოსმენა და გაგება;
- კითხვებზე ზეპირი და წერილობითი პასუხების გაცემა;
- კვლევისა და სწავლის შედეგების წარმოჩენა;
- კონკრეტულ თემაზე მსჯელობაში მონაწილეობა.

ვინაიდან ნებისმიერი საგნის შესწავლა და კონკრეტულ საგანთან დაკავშირებული ცოდნის შეძენა წარმოუდგენელია ენობრივი საშუალებების გარეშე, ვინაიდან ენობრივი კომპეტენცია საგნობრივი კომპეტენციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ვინაიდან შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის გარეშე შეუძლებელია, მოსწავლემ სათანადოდ აითვისოს სასწავლო მასალა ან შეძლოს ამ მასალაზე საუბარი, - ევროპის საბჭომ მოამზადა მასალა, რომლითაც შეუძლიათ სარგებლობა განათლების სფეროს სპეციალისტებს მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების სათანადო დონეზე განსავითარებლად. ეს, თავის მხრივ, სწავლაში მიღწევების გარანტი იქნება. აღნიშნული მასალა მოწოდებულია ევროპის საბჭოს მრავალენოვანი და ინტერკულტურული განათლებისთვის რესურსებისა და ლიტერატურის პლატფორმის საშუალებით[2].

ენობრივ კომპეტენციებზეა დამოკიდებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის ათვისება. ენობრივი კომპეტენცია უმნიშვნელოვანესია და მასწავლებლების მხრივ ყურადღების გამახვილებას მოითხოვს[3].

ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება გულისხმობს კონკრეტულ ენობრივ ჯგუფში სოციალურად მისაღები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებული პირობების ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას; იმის გააზრებას, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს სხვა ადამიანებზე კომუნიკაციის სხვადასხვა სტილმა და, ასევე, როგორ გამოიხატება საერთო კულტურული ღირებულებები სხვადასხვა ენაზე [4].

დესკრიპტორები ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარებისთვის

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოში პედაგოგებისა და განათლების პროცესში მონაწილე პირებისთვის ჩამოყალიბებულია თითოეულ კომპეტენციასთან დაკავშირებული სწავლის მიზნები და შედეგები – ე. წ. **დესკრიპტორები (აღმწერები)**, რათა შეიქმნას სასწავლო სიტუაციები, რომლებიც საშუალებას მისცემს ზემოთ ჩამოთვლილ პირებს, დააკვირდნენ მოსწავლეთა მიერ გამოვლენილ და მოცემულ კომპეტენციებთან დაკავშირებულ ქცევას[5].

დესკრიპტორები გამოცდილია ევროპის 16 სახელმწიფოში. თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი, ძირითადი კომპეტენციის ნომერი და კლასიფიკაცია (მაგალითად: ელემენტარული, საშუალო ან მაღალი).

საიდენტიფიკაციო კოდი	ძირითადი კომპეტენცია №	დესკრიპტორი	კლასიფიკაცია
1501	88	შეუძლია, გამოთქვას აზრი არსებული პრობლემის შესახებ.	ელემენტარული
1502	89	სთხოვს მოსაუბრეს, გაიმეოროს ნათქვამი, თუ იგი მისთვის ნაკლებად გასაგებია.	ელემენტარული
1503		საუბრისას ცდილობს, შეინარჩუნოს თვალით კონტაქტი თანამოსაუბრესთან.	ელემენტარული
1504		იყენებს ჟესტიკულაციას, რათა უკეთ გააგებინოს თანამოსაუბრეს, რას გულისხმობს.	ელემენტარული
1505		შეუძლია, გადმოსცეს და გააგებინოს სხვებს საკუთარი მოსაზრება თუ პოზიცია.	ელემენტარული
1506		სვამს იმგვარ კითხვებს და იმგვარად, რომ უზრუნველყოს საკუთარი ჩართულობა საუბარში.	ე/ს
1507		იყენებს სხეულის ენას, რათა უკეთ გააგებინოს საუბარში მონაწილე პირებს, რისი თქმა სურს.	ე/ს
1508		ეუბნება ან აგრძნობინებს თანამოსაუბრეს, რომ მისთვის მისაღებია ამ უკანასკნელის მოსაზრებები.	ე/ს
1509		კარგ ურთიერთობასა და წარმატებულ კომუნიკაციას ამყარებს სხვებთან საუბრის გასაგები მანერის წყალობით.	ე/ს
1510		ხვდება, როდესაც ორი ადამიანი ცდილობს ერთი და იმავე აზრის გამოთქმას, ოღონდ სხვადასხვანაირად.	ე/ს
1511		კომუნიკაციის პროცესში პრობლემის აღმოცენებისას საკმაოდ ხშირად პოულობს გზებსა და საშუალებებს პრობლემის მყისიერად გასანეიტრალებლად (მაგალითად, სხეულის ენის გამოყენებით, ახსნა-განმარტებით, ნათქვამის გამარტივებით და ა. შ.).	ე/ს
1512		იყენებს ჟესტიკულაციას, რათა უკეთ გააგებინოს საუბარში მონაწილე პირებს, რისი თქმა სურს.	ე/ს
1513	90	სვამს კითხვებს, რომლებიც მოწმობს, რომ მისთვის გასაგებია თანამოსაუბრის პოზიცია.	საშუალო
1514	91	ფლობს თავაზიანობის გამომხატველ ფრაზებს მშობლიურისგან განსხვავებულ ენაზე.	საშუალო
1515		შეუძლია, დაარწმუნოს სხვა ადამიანები, მოლაპარაკება აწარმოონ მასთან.	საშუალო
1516		რწმუნდება, რომ მის მიერ გამოთქმული აზრი სწორად გაიგო საუბარში მონაწილე ყველა მხარემ.	საშუალო

საიდენტიფიკაციო კოდი	ძირითადი კომპეტენცია №	დესკრიპტორი	კლასიფიკაცია
1517		ხვდება, როდესაც თანამოსაუბრე უსმენს, მაგრამ არ ესმის მისი.	საშუალო
1518		კომუნიკაციის დროს ბუნდოვანი მომენტების წარმოშობის შემთხვევაში ახერხებს, ახსნას გაუგებრობის მიზეზები ან სხვაგვარად გაართვას თავი შექმნილ ვითარებას.	საშუალო
1519		შეუძლია შეცვალოს და სიტუაციას მოარგოს საკუთარი ენობრივი კომუნიკაციური ქცევა, თანამოსაუბრისთვის მისაღები კომუნიკაციის წესების გამოყენებით.	ს/მ
1520		შეუძლია, სწორად და ეფექტურად ჩამოაყალიბოს სათქმელი ინტერკულტურულ გარემოში და დაამყაროს კომუნიკაცია სხვებთან.	ს/მ
1521		თანამოსაუბრის მიერ პასუხის გაცემამდე შეუძლია დარწმუნდეს, რომ კარგად ესმის მის მიერ გამოთქმული აზრი.	ს/მ
1522		თავისი სიტყვებით იმეორებს თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულ აზრს, რათა დარწმუნდეს, რომ სწორად გაიგო.	ს/მ
1523		როდესაც სხვებს არასწორად ესმით მისი, შეუძლია კომუნიკაციის ჩავარდნის თავიდან აცილება ნათქვამის გამეორების, სხვა სიტყვებით გადმოცემისა თუ სხვაგვარად ჩამოყალიბების საშუალებით.	ს/მ
1524		შეუძლია ამოიცნოს საუბრის განსხვავებული მანერა, რომელსაც იყენებს მისი სოციალური ჯგუფისგან განსხვავებული, სულ მცირე, ერთი კულტურის წარმომადგენელი.	ს/მ
1525		შეუძლია, თავაზიანად და შესაბამისი ფორმით მიმართოს თანამოსაუბრეს და სთხოვოს განმარტება, თუ მის მიერ ვერბალური და არავერბალური საშუალებებით გამოთქმული აზრი შეუსაბამოა.	ს/მ
1526	92	ინტერკულტურული ურთიერთობის დროს შეუძლია შეასრულოს ენობრივი შუამავლის როლი, თარგმნოს, თარჯიმნობა გასწიოს ან ახსნა-განმარტებები მიაწოდოს მხარეებს.	მაღალი
1527	93	წარმატებით ახერხებს მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილებას ინტერკულტურული ურთიერთობის დროს.	მაღალი
1528		ინტერკულტურული ურთიერთობის დროს აკმაყოფილებს საკომუნიკაციო მოთხოვნებს იმ ენაზე საუბრით, რომელიც გასაგებია კომუნიკაციაში მონაწილე ყველა მხარისთვის.	მაღალი
1529		შეუძლია ამოიცნოს კომუნიკაციის განსხვავებული წესები, რომლებსაც იყენებენ მისი სოციალური ჯგუფისგან განსხვავებული, სულ მცირე, ერთი კულტურის წარმომადგენლები.	მაღალი
1530		ფლობს, სულ მცირე, ერთ უცხო ენას და კარგად იცნობს საკუთარი კულტურისგან განსხვავებულ, სულ მცირე, ერთ კულტურას.	მაღალი

ენობრივ კომპეტენციებზეა დამოკიდებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის ათვისება. ენობრივი კომპეტენცია უმნიშვნელოვანესია და მასწავლებლების მხრივ ყურადღების გამახვილებას მოითხოვს.

აღნიშნული დესკრიპტორების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში. ისინი პირდაპირ შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა დონეზე ეროვნული თუ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას, ასევე - სასწავლო აქტივობების შედგენის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში.

დესკრიპტორები ადგენს კომპეტენციის დონეს და არ გამოიყენება ერთ კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის შესაფასებლად. ერთი კონკრეტული ქცევით ვერ განისაზღვრება მოსწავლის მიერ კომპეტენციის ფლობის/არფლობის დონე.

დესკრიპტორები პოზიტიურადაა ფორმირებული. მათი გამოყენება იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, რის კეთება შეუძლია მოსწავლეს. თუ მოსწავლე არ/ვერ ავლენს სათანადო ქცევას, უნდა დაიგეგმოს შემდგომი ინტერვენცია, ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლის მოსწრება არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს.

დესკრიპტორები თანაბრად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც[6], რომლებსაც მათი გამოყენება შეუძლიათ სხვადასხვა გზით ფორმალურ თუ არაფორმალურ სასწავლო გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] ამონარიდი ტორბიორნ იაგლანდის წინათქმიდან, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, ტ.1, გვ.6.

[2] www.coe.int/EN/web/platform-plurilingual-intercultural-language-education/.

[3] დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო (2018), ტომი I, გვ.27.

[4] დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, 2018, გვ. 20.

[5] ამონარიდი ევროპის საბჭოს დემოკრატიის დირექტორატის ხელმძღვანელის, სნეჟანა სამარძიჩ-მარკოვიჩის წინასიტყვაობიდან, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, ტ.1, გვ.8.

[6] დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო, 2018, ტ.1, გვ.-გვ.105-107.

ნინო გურეშიძე

სწავლა-სწავლების სპეციფიკა კლას-კომპლექტში

კლას-კომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რადგან სწავლების დიფერენციაცია განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მცირეკონტინგენტიან სკოლებში დასაშვებია კლას-კომპლექტების შექმნა. კლას-კომპლექტის თავისებურება ის გახლავთ, რომ ერთ კლასში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები. I-IV კლასები შეიძლება დაკომპლექტდეს სხვადასხვა პრინციპით, მაგ., I-II და III-IV, ან I და III, II და IV კლასებად.

კლას-კომპლექტის შექმნის შემთხვევაში თითოეული კლასის მოსწავლეს უნდა დაეთმოს შესაბამისი კლასისთვის/საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო რაოდენობის საათი, კლას-კომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი კი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რადგან სწავლების დიფერენციაცია განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

30 წელზე მეტია, სოფლის მცირეკონტინგენტიან სკოლაში, კლას-კომპლექტში წარვმართავ ჩემს პედაგოგიურ საქმიანობას და ამ მხრივ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. გაკვეთილების ცხრილს და გეგმებს ვადგენ ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, ვცდილობ, შევარჩიო კლასზე მორგებული ორგანიზების ფორმები, სწორად გავანაწილო ფასილიტაცია არსებულ ჯგუფებს შორის და დავნერგო მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.

კლას-კომპლექტში მუშაობის დროს მთავარ აქცენტს მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობის უნარის ფორმირებაზე ვსვამ, რადგან როცა ერთ ასაკობრივ ჯგუფთან წარვმართავ მორიგ აქტივობას, ამ დროს მეორე დამოუკიდებლად ცდილობს სასწავლო ამოცანისთვის თავის გართმევას. მაგრამ მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა ტემპით, აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები და ინტერესები, ამიტომ მუდმივად ვეჯახებოდი დამოუკიდებელი სამუშაოს სხვადასხვა დროში დასრულების პრობლემას. ეს პრობლემა ეფექტურად მოვაგვარე ე.წ. „ღუზის ჩაშვების“ აქტივობის დანერგვით: მერხებზე დავალაგე ყუთები, რომლებშიც მოვათავსე უამრავი სამუშაო ბარათი სხვადასხვა დონის მრავალფეროვანი დავალებებით (რომელთაც თვეში ერთხელ, ახალი თემების შესაბამისად ვცვლი). მოსწავლე დავალების დასრულებისთანავე ავტომატურად იწყებს მათზე მუშაობას. მოტივაციას უმაღლებს ის ფაქტი, რომ აქვს არჩევანის საშუალება: თვითონ წყვეტს, რა სახის, დონის და შინაარსის დავალება შეასრულოს. ამ ნამუშევრებს აუცილებლად ვეცნობი გაკვეთილის დასრულების შემდეგ და მომდევნო გაკვეთილზე, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად, მოსწავლეს ვაძლევ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ, კონსტრუქციულ უკუკავშირს.

გთავაზობთ ერთ საერთო თემას მორგებული გაკვეთილის გეგმას I-III კლას-კომპლექტში:

კლასი: I

საგანი : მათემატიკა

დრო: 35 წთ.

თემა: რიცხვების შეკრება ათეულის გავლით

მიზანი: შეძლებენ:

- ათეულის გავლით რიცხვების შეკრების შედეგის გააზრებას სხვადასხვა კონტექსტში;
- შეკრების მოქმედების თვალსაჩინოდ დემონსტრირებას და განსხვავების განსაზღვრას (რამდენით გაიზარდა);
- რიცხვებს შორის დამოკიდებულების აღწერას;
- ზეპირად ანგარიშისას 1-ის ტოლი ბიჯით თვლას ან სხვა ხერხის გამოყენებას.

შესაბამისობა სტანდარტთან:

მათ. I. 3. მოსწავლეს შეუძლია, ერთმანეთთან დააკავშიროს თვლა, რიცხვებს შორის დამოკიდებულებები და შეკრება-გამოკლების მოქმედებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სიტყვიერად აღწერს შეკრების, გამოკლების, ტოლობისა და შედეგის ცნებებს სხვადასხვა კონტექსტში (მაგალითად, „დავუმატოთ“, „მოვაკლოთ“, მიმატება – გაზრდა; გამოკლება – შემცირება, განცალკევება, განსხვავება);
- ახდენს შეკრება-გამოკლების თვალსაჩინოდ დემონსტრირებას, განსაზღვრავს განსხვავებას (მაგალითად, „რამდენით გაიზარდა/შემცირდა?“) და აღწერს რიცხვებს შორის დამოკიდებულებებს;
- ზეპირად ანგარიშისას იყენებს 1-ის ტოლი ბიჯით თვლას ან სხვა ხერხს.

გამოყენებული მეთოდები და აქტივობები:

1. წინარე ცოდნის გააქტიურება თამაშით: „სახლობანა“;
2. გროვების მითითებულ რაოდენობამდე შევსება;
3. ამოცანის ამოხსნა;
4. პოსტერზე მუშაობა;
5. გამოსახულების მიხედვით ამოცანის შედგენა;
6. გაკვეთილის შეჯამება.

კლასი: III

საგანი: მათემატიკა

დრო: 45 წთ.

თემა: სამნიშნა რიცხვების შეკრება

მიზანი: შეძლებენ:

- სამნიშნა რიცხვების შეკრებისას ადეკვატური ხერხის შერჩევასა და გამოყენებას კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში;
- გამოყენებული ხერხის აღწერას და მის დემონსტრირებას მოდელზე (მაგალითად: შეკრება თანრიგის გავლით, ცალკეული თანრიგების შეკრებით, თანრიგის დაშლით, ზეპირად).

შესაბამისობა სტანდარტთან:

მათ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია შეკრება-გამოკლების შესრულების რომელიმე ხერხის გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კონკრეტული მაგალითისთვის ირჩევს და იყენებს ზეპირი ანგარიშის (შეკრება/გამოკლება) სხვადასხვა ხერხს; აღწერს გამოყენებულ ხერხს და ახდენს მის დემონსტრირებას მოდელზე. (მაგალითად: შეკრება-გამოკლება თანრიგის გავლით, ცალკეული თანრიგების შეკრება/გამოკლებით, თანრიგის დაშლით);
- ირჩევს და იყენებს შეკრება-გამოკლების მოქმედებების შესრულების ადეკვატურ ხერხს კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში.

გამოყენებული მეთოდები და აქტივობები:

1. საშინაო დავალების ურთიერთშემოწმება; სამუშაო ბარათებით წინარე ცოდნის გააქტიურება;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება;
3. ამოცანის ამოხსნა;
4. უცნობი შესაკრების პოვნა;
5. გამოსახულების მიხედვით ამოცანის შედგენა;
6. ქვიზი;
7. „მოისაზრე“;
8. გაკვეთილის შეჯამება 3-2-1-ის სტრატეგიით.

ორგანიზების ფორმა	მსვლელობა	ორგანიზების ფორმა	მსვლელობა
მთელი კლასი: მასწავლებელი ხსნის, რა პრინციპით იმუშავებენ და მსჯელობს მუშაობის ორგანიზებაზე.			
დრო: 2 წთ.			
I კლასი მუშაობს მასწავლებელთან ერთად. **დრო:** 7 წთ	მასწავლებელი წარუდგენს კლასს თემას და ეხმარება მოსწავლეებს წინარე ცოდნის თამაშით გააქტიურებაში:	III კლასი მუშაობს დამოუკიდებლად **დრო:** 7 წთ	ბავშვები ერთმანეთს უმოწ-მებენ საშინაო დავალებას და მონიშნავენ შემჩნეულ შეცდომებს. შემდეგ, წინარე

	„სახლობანა“: მასწავლებელი დაფაზე აკრავს 10-ის, 8-ის და 9-ის „სახლებს“. ბავშვები ავსებენ ცარიელ უჯრებს და ააქტიურებენ რიცხვების შედგენილობის შესახებ მიღებულ ცოდნას.		ცოდნის გააქტიურების მიზნით, მუშაობენ მასწავ-ლებლის მიერ დარიგებულ ბარათებზე: სამნიშნა რიცხ-ვებს შლიან თანრიგებად და წარმოადგენენ სათანრიგო ერთეულების ჯამის სახით (საჭიროების შემთხვევაში, გადადიან „ღუზის ჩაშვების“ აქტივობებზე).
მუშაობენ დამოუკიდებლად **დრო:** 8 წთ	ასრულებენ ბარათებზე მოცემულ დავალებას: აგრძელებენ საგნების ხატვას მითითებულ რაოდენობამდე (მაგ. 7-დან 11-მდე, 8-დან 13-მდე და ა. შ.), თითოეულ შემთხვევას ქვეშ უწერენ შესაბამის მაგალითს.	მუშაობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით **დრო:** 8 წთ	აკეთებენ შესრულებული დავალების პრეზენტაციას, რომლის დროსაც ყურადღება მახვილდება მათ მიერ შემჩ-ნეულ შეცდომებზე. შემდეგ მასწავლებელი წარუდ-გენს კლასს ახალ მასალას. ერთობლივი ინტერაქციით ხდება სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითების ამოხსნა სხვადასხვა ხერხით: (მანიპულატივების გამოყენე-ბით, რიცხვით სხივზე გადათვ-ლით, ქვემმიწერით, ზეპირად, თანრიგებად დაშლით) 345+124 280+405 523+167 437+256
მუშაობენ ჯგუფურად III კლასთან ერთად **დრო:** 5 წთ	ხსნიან ამოცანას სასურველი ხერხით: იამ ზღვის ნაპირზე იპოვა 3 ფერადი კენჭი, ლუკამ – 5-ით მეტი. რამდენი კენჭი მოაგროვეს ერთად?	მუშაობენ ჯგუფურად I კლასთან ერთად **დრო:** 5 წთ	ხსნიან ამოცანებს სასურველი ხერხით: იამ ზღვის ნაპირზე მოაგროვა 236 კენჭი, ლუკამ – 148-ით მეტი. რამდენი კენჭი მოაგროვეს ერთად?
მუშაობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით **დრო:** 4 წთ	1) ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებას: 5 9 6 8 3 2 4 1 7 წერენ რიცხვებს ორეულებად (წყვილებად) ისე, რომ შერჩეული ორეულის რიცხვების ჯამი იყოს: ა) 11; ბ) 12; გ) 13; დ) 14.	მუშაობენ დამოუკიდებლად **დრო:** 4 წთ	ასრულებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოს: სინჯვის ხერხის გამოყენებით პოულობენ უცნობ რიცხვებს: +432 +433 440 663 საჭიროებისამებრ, გადადიან „ღუზის ჩაშვების“ აქტივობაზე.

მუშაობენ ჯგუფურად III კლასთან ერთად **დრო:** 6 წთ	შეადგინე და ამოხსენი ამოცანა გამოსახულების მიხედვით: 7 + 5	მუშაობენ ჯგუფურად I კლასთან ერთად **დრო:** 6 წთ	შეადგინე და ამოხსენი ამოცანა გამოსახულების მიხედვით: 234 + (234+126)
მუშაობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით **დრო:** 3 წთ	აკეთებენ გაკვეთილის შეჯამება/რეფლექსიას მიმანიშნებელი კითხვების დახმარებით: • რა ვისწავლე ახალი? • რომელი აქტივობა მომეწონა ყველაზე მეტად? • რა გამიადვილდა? • რა გამიძნელდა? • რა დამეხმარა გაგებაში?	მუშაობენ დამოუკიდებლად **დრო:** 3 წთ	მუშაობენ ქვიზზე: 1. რა რიცხვი უნდა მივუმატოთ 303-ს, რომ მივიღოთ 550? ა) 350; ბ) 250; გ) 150. 2. რა რიცხვს უნდა გამოვაკლოთ 40, რომ მივიღოთ 125? ა) 155-ს; ბ)185-ს ; გ)165-ს. 3. რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 350-ს, რომ მივიღოთ 100? 4. რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 500-ს, რომ მივიღოთ 150? ა) 350; ბ) 250; გ) 150.
შემდეგ გადადიან კლასში გამოყოფილ აქტიური დასვენების სივრცეში. ისვენებენ **დრო:** 10 წთ	გადადიან კლასში გამოყოფილ აქტიური დასვენების სივრცეში, სადაც არის სახატავი საშუალებები, ფერადი ფურცლები, წებო, მაკრატელი, პლასტილინი. მოსწავლეები სურვილისამებრ იყენებენ მათ.	მუშაობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით **დრო:** 5 წთ	მსჯელობენ და ხსნიან „მოისაზრეს“ ამოცანას: 1. „ელენემ თავისი სახლიდან ავტობუსის გაჩერებამდე 240 ნაბიჯი გადადგა. ეს 28 ნაბიჯით ნაკლებია დიტოს მიერ გადადგმული ნაბიჯების რაოდენობაზე. რამდენი ნაბიჯი გადადგა დიტომ?
		მუშაობენ დამოუკიდებლად **დრო:** 4 წთ	აჯამებენ გაკვეთილს – ავსებენ კლასიდან გასვლის ბარათებს 3-2-1 – სტრატეგიით.
		მუშაობენ მასწავლებელთან ერთად **დრო:** 1 წთ	ინიშნავენ საშინაო დავალებას.
შეფასების კრიტერიუმები: **შეძლო:** **(მაღალ დონეზე; საშუალოდ; გაუჭირდა)** 10-ის გავლით რიცხვების შეკრების შედეგის გააზრება სხვადასხვა კონტექსტში;		**შეფასების კრიტერიუმები:** **შეძლო:** **(მაღალ დონეზე; საშუალოდ; გაუჭირდა)** სამნიშნა რიცხვების შეკრებისას ადეკვატური ხერხის შერჩევა და გამოყენება კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში;	

- შეკრების მოქმედების თვალსაჩინოდ დემონსტრირება და განსხვავების განსაზღვრა (რამდენით გაიზარდა);
- რიცხვებს შორის დამოკიდებულების აღწერა;
- ზეპირად ანგარიშისას 1-ის ტოლი ბიჯით თვლა ან სხვა ხერხის გამოყენება.

რესურსები:

დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, კალამი, სამუშაო ბარათები, პოსტერი, სათვლელი საგნები, მანიპულატივები, მაგნიტური დაფა, მაგნიტები, „მიმანიშნებელი კითხვები“

- გამოყენებული ხერხის აღწერა და მისი დემონსტრირება მოდელზე (მაგალითად: შეკრება თანრიგის გავლით, ცალკეული თანრიგების შეკრებით, თანრიგის დაშლით, ზეპირად).

რესურსები:

დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, კალამი, რვეული, დავალების ბარათები, მანიპულატივები, კლასიდან გასვლის ბარათები

გაკვეთილის გეგმა

მსგავსი პრაქტიკის დანერგვამ სწავლა გაცილებით გაგვიადვილა. ბავშვების მცირე რაოდენობა მეტად იძლევა ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომის საშუალებას, თანაც არ ხდება ტემპიდან ჩამორჩენა: თუ რომელიმე მოსწავლე ვერ ძლევს თავისი ასაკობრივი ჯგუფის მასალას, მას ეძლევა შესაძლებლობა, დაუბრუნდეს და კიდევ ერთხელ გაიაროს ეს საკითხები პატარების ჯგუფთან ერთად.

რა თქმა უნდა, რთულია ერთი საგაკვეთილო საათის ფარგლებში ორი გაკვეთილის მომზადება, ყურადღების სწორად განაწილება და მუდმივი ორიენტირება მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე, მაგრამ ნამდვილად შესაძლებელია სწავლების მეთოდებისა და კლასის ორგანიზების ფორმების სწორად შერჩევით. არ არსებობს კლას-კომპლექტის მართვისა თუ ორგანიზების უნივერსალური ფორმა, უნივერსალური მეთოდები, ეს ყველაფერი ცვალებადია და კონკრეტული კლასის სტრუქტურიდან გამომდინარეობს. მთავარია, მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლეთა უნარებისა და საჭიროებების სწორი დიაგნოსტირება, გაითვალისწინოს მათი სწავლის ტიპი, ინტერესები, შეურჩიოს ზუსტად მორგებული, დიფერენცირებული დავალებები, გააქტიუროს თანამშრომლობითი სწავლება და ყოველთვის შედეგებზე იყოს ორიენტირებული.

კლას-კომპლექტში ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი სწავლება, ანუ ურთიერთსწავლება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ჯგუფების გაერთიანების მიზნით ვცდილობ, შესასწავლი თემები შეძლებისდაგვარად დავამთხვიო ერთმანეთს და, დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოსწავლეები მაქსიმალურად ჩავრთო პროცესში. რაკი გაკვეთილების ხანგრძლივობა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განსხვავებულია (I კლასში – 35 წთ, II-ში – 40 წთ, ხოლო III-IV-ში – 45), კლასში გამოყოფილი მაქვს სივრცე აქტიური დასვენებისთვის: დგას სხვადასხვა სამუშაო მასალით აღჭურვილი მაგიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-24;
2. „სწავლა-სწავლების თავისებურებანი კლას-კომპლექტებში“, თბილისი, 2015, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
3. კარგი სკოლა – საგანმანათლებლო ვებპორტალის რესურსები. მისამართი: http://kargiskola.ge/login.php

ქეთევან ოსიაშვილი

უმართავი ბავშვი

უმართავი ბავშვი ბევრი მშობლისთვის სერიოზული პრობლემაა. ისინი, როგორც წესი, გაურბიან ასეთ ბავშვთან ერთად უცხო საზოგადოებაში მოხვედრას და შიში იპყრობთ, როდესაც ოჯახში უცხო ადამიანი მოდის სტუმრად, რადგან არ იციან, რას მოიმოქმედებს მათი პატარა, რა „სპექტაკლს დადგამს“ უცხო ხალხის თვალწინ.

იმისთვის, რომ ასეთ ბავშვთან ურთიერთობის სწორი სტრატეგია შევიმუშაოთ, სასურველია ვიცოდეთ, რა ქცევითი მახასიათებლებით გამოირჩევა ის და რა განაპირობებს მის ქცევას.

უმართავი ბავშვის ძირითადი ქცევითი მახასიათებლები:

- უფროსების მოთხოვნათა შეუსრულებლობა და წესებისადმი დაუმორჩილებლობა;
- მოჭარბებული მოტორული აქტივობა – ყველგან მიძვრება, ყველაფერს ეხება, ყველაფრის ხელში ჩაგდება სურს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის ერთდროულად რამდენიმე ადგილასაა;
- უყურადღებობა, უნებისყოფობა – ის ხან ერთ საქმეს ჰკიდებს ხელს, ხან მეორეს, მაგრამ ბოლომდე არაფერი მიჰყავს;
- თავშეუკავებლობა – უმართავი ბავშვი თავისი თავშეუკავებლობით სერიოზულ პრობლემებს უქმნის მასწავლებლებს. უყვარს კითხვაზე პასუხის ადგილიდან წამოძახება, ისე, რომ არც კი უფიქრდება კითხვის არსს. გაკვეთილზე ყოველთვის პირველი გამორბის საპასუხოდ, თუმცა გამოსვლის შემდეგ არ იცის, რა თქვას;
- მოსმენის უუნარობა – არ ესმის მისი მისამართით ნათქვამი სიტყვები, ისე იქცევა, თითქოს მის გვერდით არავინ იყოს;
- თანატოლებთან ურთიერთობის უუნარობა – არ შეუძლია ბავშვებთან თამაში, მათი ურთიერთობა პირველივე წუთებიდან ჩხუბში გადადის;
- შენიშვნებზე არაადეკვატური რეაგირება – უმნიშვნელო შენიშვნაც კი მასში აგრესიას იწვევს. ის იწყებს თავის მართლებას, ყველას საყვედურობს, ჩხუბობს და თავისას აგრძელებს. ჩნდება საფრთხე, რომ რაღაცას დაამსხვრევს, გატეხს, ვინმეს ზიანს მიაყენებს.

დღეს ბავშვის ზემოთ აღწერილ ქცევით მახასიათებლებს, როგორც წესი, ჰიპერაქტიურობას მიაწერენ. რა თქმა უნდა, ბავშვის უმართავი ქცევის ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად არის ჰიპერაქტიურობა, მაგრამ ერთ-ერთი და არა ერთადერთი. და თუ გვინდა, პატარას ქცევა მართვადი გავხადოთ, უნდა ვიპოვოთ ის რეალური მიზეზი, რომელიც მას ამგვარი მოქმედებისკენ უბიძგებს. ამასთან, გავითვალისწინოთ, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს მიზეზი შეიძლება განსხვავებული იყოს.

ბავშვის უმართავი ქცევის მიზეზები:

- **განვითარების თანდაყოლილი ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები** – ჰიპერკინეტიკური სინდრომი, რომელიც მოჭარბებული ქაოსური და უნებლიე მოძრაობებით იჩენს თავს და ქცევის დარღვევის სახით ვლინდება.
- **განვითარების კრიტიკული პერიოდები** – თუ ვამჩნევთ, რომ პატარა გახდა ჭირვეული,

> აუცილებელია, უმართავ ბავშვთან ურთიერთობისას ვიყოთ ემოციურად გაწონასწორებულები, გალიზიანების, ყვირილის, ჩხუბის გარეშე ვესაუბროთ მას. ასეთი ბავშვის ქცევის ჩხუბით მართვა იგივეა, რომ აბობოქრებული სტიქიის შეჩერებას ყვირილით ვცადოთ.

> უმართავი ბავშვების არსებობა ისეთი აღმზრდელების ბრალია, რომლებიც თავს ვერ ართმევენ ბავშვთან დაკავშირებულ სირთულეებს. გვახსოვდეს, რომ ჩვენ, უფროსები ვართ მთავარი ინიციატორები და ბავშვთან ურთიერთდამოკიდებულებასაც ჩვენ ვაგებთ.

ჯიუტი, გაუგონარი და ჩვენს შენიშვნებს ისტერიკით პასუხობს, დიდი ალბათობით, მისი უმართავი ქცევის მიზეზი ასაკობრივი კრიზისია. ამგვარ სირთულეებს ვაწყდებით 1 წლის, 3-დან 5 წლამდე და გარდამავალი ასაკის (მოზარდ) ბავშვებთან. უნდა ითქვას, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ასაკთან დაკავშირებული კრიზისები ყველა ნორმალურ ბავშვს აქვს. მის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე ჯიუტობით, ჭირვეულობით, გაუგონრობით, ისტერიკული რეაგირებით ბავშვი იზრდება, შეიმეცნებს სამყაროს, აღმოაჩენს მასში ბევრ სიახლეს და აცნობიერებს ნებადართულის საზღვრებს.

- **შინაგანი არაკეთილდღეობის, დისკომფორტის დემონსტრირება** – არცთუ იშვიათად უმართავი ბავშვები თავანთი ქცევით, რომელიც ჩვენთვის, როგორც წესი, მიუღებელია, თავიანთი შინაგანი არაკეთილდღეობისა და დისკომფორტის დემონსტრირებას ახდენენ. მათი ყვირილი, ჭირვეულობა და ისტერიკაც კი ხშირად დახმარების თხოვნაა. ასეთი ქცევით ისინი მიგვანიშნებენ, რომ აქვთ პრობლემები და სასწრაფოდ სჭირდებათ ჩვენი დახმარება.
- **მშობლების არასწორი დამოკიდებულება ბავშვის ქცევის მიმართ** – თუ პატარას ჯიუტობას, ჭირვეულობას, გაუგონრობას, დაუმორჩილებლობას მისი ბავშვური სიცელქით ავხსნით, შესაძლოა, თვითონვე წავახალისოთ მისი უმართავი ქცევა. გავითვალისწინოთ, რომ არავინ იბადება ცუდ ბავშვად. პატარა, უბრალოდ, ისე იქცევა, როგორ მოქცევის ნებასაც რთავენ მშობლები. თუ ყოველთვის მშვიდად შეეხვდებით ბავშვის სოციალურად მიუღებელ ქცევას და თავს იმით დავიმშვიდებთ, რომ ჯერ პატარაა, მოგვიანებით, როცა მისი უმართავობა უკვე ძალიან შემაწუხებელი გახდება გარშემო მყოფებისთვის, დიდი ალბათობით, მას ვეღარ გამოვასწორებთ.
- **მშობლების უყურადღებობა ბავშვის მიმართ, მათი მოუცლელობა** – თუ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ ბავშვს და მასთან საკმარის დროს არ ვატარებთ, ამანაც შეიძლება პროვოცირება გაუწიოს არაადეკვატურ და უმართავ ქცევას. პატარებისთვის გულგრილობაზე აუტანელი არაფერია. ისინი ნებისმიერი ხერხით ცდილობენ ჩვენი ყურადღების მიპყრობას. ერთმა ბიჭუნამ მშობლებისა და პედაგოგებისგან საყვედურების მოსმენის შემდეგ ჩვენთან საუბარში სინანულით თქვა: „შეიძლება, ცოტა უცნაური მოგეჩვენოთ, მაგრამ მირჩევნია, მშობლები ჩემი საქციელის გამო მსაყვედურობდნენ, ვიდრე საერთოდ არ მაქცევდნენ ყურადღებას“.
- **უფროსების არათანმიმდევრულობა** – ბავშვის ქცევის პრობლემები უფრო იმ ოჯახებში იჩენს თავს, სადაც მშობლები არათანმიმდევრულები არიან, არ ასრულებენ დანაპირებს, დღეს უკრძალავენ, ხვალ კი ნებას რთავენ, მამა ერთს ამბობს, დედა – მეორეს, ბებია კი – მესამეს, რომელიც ორივე მშობლის მოთხოვნას ეწინააღმდეგება. ასეთ ოჯახებში ბავშვი ადვილად ახერხებს უფროსებით მანიპულირებას.

რეკომენდაციები უმართავ ბავშვთან ურთიერთობისთვის

- უპირველეს ყოვლისა, კონსულტაციისთვის მივმართოთ ექიმ-ნევროლოგს, რათა გამოვრიცხოთ ბავშვის ქცევითი პრობლემების ნევროლოგიური საფუძველი. სამწუხაროდ, უმართავი ბავშვების მშობლები, როგორც წესი, არ ჩქარობენ ექიმთან მისვლას, არადა მკურნალობა შესაძლოა აუცილებელიც კი იყოს. ორგანული დაზიანების შემთხვევაში მეტად ეფექტიანი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეთოდებიც კი ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს.
- უმართავ ბავშვთან ურთიერთობისას ვიყოთ ემოციურად გაწონასწორებულები, გაღიზიანების, ყვირილის, ჩხუბის გარეშე ვესაუბროთ მას. ასეთი ბავშვის ქცევის ჩხუბით მართვა იგივეა, რომ აბობოქრებული სტიქიის შეჩერებას ყვირილით ვეცადოთ.
- რადგან უმართავი ბავშვის სულში ქაოსი ბობოქრობს, მაქსიმალურად უნდა მოვაწესრიგოთ მისი ცხოვრება და შინაგანი სამყარო. ასეთი ბავშვებისთვის უფრო მეტად, ვიდრე ყველა დანარჩენისთვის, აუცილებელია დღის რეჟიმის მკაცრი დაცვა. კარგი იქნება, თუ ბავშვთან ერთად ჩამოვწერთ და კედელზე გავაკრავთ მის მიერ დღის განმავლობაში შესასრულებელ საქმიანობათა ჩამონათვალს და თვალყურს ვადევნებთ, რომ დაიცვას და საკუთარი ნებით არ შეცვალოს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ ტიპის ბავშვთან ერთხელ თქმა და გაფრთხილება არ ჭრის, საჭიროა რამდენჯერმე შეხსენება, რომ ერთი საქმე დაასრულოს და მეორე დაიწყოს. თუ თამაშის დამთავრების დროა, ნუ მოვთხოვთ, დაუყოვნებლივ დაასრულოს. წინასწარ გავაფრთხილოთ, რომ დრო იწურება. საერთოდ, როგორც უკვე ითქვა, უფროსებს გვიწევს, ასეთ ბავშვს რამდენჯერმე გავუმეოროთ თხოვნა. ეს მისი თავისებურებაა და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.
- საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ასეთი ბავშვისთვის სასიამოვნო, ნათელი შთაბეჭდილებების სიჭარბეც კი მავნებელია. ცხადია, ამის გამო მას გართობას და მისთვის საინტერესო ადგილებში ყოფნას ვერ მოვაკლებთ, მაგრამ თუ შევამჩნიეთ, რომ გაღიზიანებას და შფოთვას იწყებს, უკეთესი იქნება, მასთან ერთად მოვშორდეთ იქაურობას. არაფერი დაშავდება, თუ ბოლომდე არ ვნახავთ სპექტაკლს ან საცირკო წარმოდგენას. ოღონდ ვეცადოთ, დარბაზიდან გამოყვანა ბავშმა სასჯელად არ აღიქვას. უმჯობესია ვუთხრათ, რომ დავიღალეთ და დასვენება გვჭირდება.
- შფოთვისა და გაღიზიანების მომენტში სასარგებლო იქნება ბავშვის დიალოგში ჩართვა. ამ დროს მას უნდა ვესაუბროთ არა მის ცუდ ქცევაზე, არამედ რაიმე განყენებულ, მისთვის საინტერესო თემაზე. დავუსვათ მარტივი კითხვები, რომლებიც ვრცელ პასუხებს არ მოითხოვს. გავითვალისწინოთ ისიც, რომ გაღიზიანებული ბავშვი ცუდად აზროვნებს, უჭირს დიალოგში ჩართვა, მაგრამ თუ სწორად წარვმართავთ საუბარს, ბავშვს მოუწევს, ნებით თუ უნებლიეთ გაიაზროს თავისი პასუხები და თავი დააღწიოს ემოციების ბატონობას, რაც, თავის მხრივ, მას საკუთარი ქცევის მართვაში დაეხმარება.
- საშუალება მივცეთ უმართავ ბავშვს, დაიცალოს მოზღვავებული ენერგიისგან. ამისთვის შეიძლება მისი სპორტულ სექციაში ან ქორეოგრაფიულ წრეზე მიყვანა, მოძრავი თამაშების შეთავაზება, სუფთა ჰაერზე სეირნობა.
- ვიყოთ მაქსიმალურად ყურადღებიანი ბავშვის მიმართ, რომ მას არ დასჭირდეს ცუდად მოქცევა ყურადღების მისაპყრობად. თუ ყურადღებით მოვეკიდებით ბავშვის პრობლემებს, მისი ქცევა ნორმაში ჩადგება. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბავშვი ყველაფერს უფროსებისგან სწავლობს, ამიტომ შევეცადოთ, მისთვის მისაბაძი გავხდეთ.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ უმართავი ბავშვების არსებობა ისეთი აღმზრდელების ბრალია, რომლებიც თავს ვერ ართმევენ ბავშვთან დაკავშირებულ სირთულეებს. გვახსოვდეს, რომ ჩვენ, უფროსები ვართ მთავარი ინიციატორები და ბავშვთან ურთიერთდამოკიდებულებასაც ჩვენ ვაგებთ, ამიტომ კარგი იქნება, თუ მასთან მუშაობის პარალელურად საკუთარ თავზეც ვიმუშავებთ და გავაანალიზებთ აღზრდის ჩვენეულ მეთოდებს. ამ გზით აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას და ბავშვის ქცევა მართვადი გახდება.

ნათია უჩავა

როგორ გავაუმჯობესოთ საშინაო დავალების ეფექტიანობა

მათემატიკის საგანში პრაქტიკული კვლევის არსი გახლდათ პრობლემის შესწავლა (რამდენად დაკავშირებულია საშინაო დავალება საკლასო სამუშაოსთან, რამდენად გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის უნარ-ჩვევა, როგორ ხდება საშინაო დავალების შესწორება და რა კრიტერიუმებით ფასდება), ინტერვენციების დასახვა და მათი ეფექტის შეფასება.

მოგეხსენებათ, მოსწავლეებს ხშირად აძლევენ საშინაო დავალებას, რითაც მათ ერთგვარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თითოეულ დავალებას შესაძლოა სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს. ზოგიერთი დავალება მოსწავლეთათვის სახალისო, საინტერესო და შემეცნებითია. ზოგიერთი კი, პირიქით – რუტინული და მოსაწყენი, ამიტომ მათ ხშირად ეზარებათ დავალების შესრულება, მით უმეტეს – მაღალ კლასებში. როგორ მოიქცეს მასწავლებელი, რომ საშინაო დავალება მოსაწყენი არ იყოს?

- გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები;
- დავალება უნდა უკავშირდებოდეს სასწავლო მიზნებს;
- დავალება უნდა იყოს სახალისო და საინტერესო, რათა მოსწავლე სიამოვნებით ასრულებდეს მას.

კვლევის დასაწყისში ვეცადეთ, დაგვედგინა, როგორ აძლევდა მასწავლებელი დავალებებს თავის მოსწავლეებს, რა სიხშირით, რა ფორმით ასწორებდა, რის მიხედვით აფასებდა და როგორ გასცემდა უკუკავშირს. თუ მასწავლებელი მიცემულ საშინაო დავალებას არ გამოიკითხავს და უკუკავშირს არ გასცემს, მოსწავლე დაკარგავს ინტერესს და დავალებას აღარ შეასრულებს.

კვლევის პირველ ეტაპზე ორ კლასში დავაკვირდით საგაკვეთილო პროცესს, რის შედეგადაც უკეთ შევისწავლეთ არსებული პრობლემები და შევარჩიეთ რესპონდენტები სიღრმისეული ინტერვიუებისთვის. გარდა ამისა, ორივე კლასში ჩავატარეთ გამოკითხვა, რომლითაც დავადგინეთ მოსწავლეების დამოკიდებულება მათემატიკის საგნის მიმართ, მათი დავალებების სიხშირე და შეუსრულებლობის მიზეზები. ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩავატარეთ ორივე მეათე კლასში როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთანაც.

ინტერვიუების დახმარებით უკეთ შევისწავლეთ არსებული პრობლემა და მისი მიზეზები. ეს – იმისთვის, რომ შემდეგში ეფექტიანად მომხდარიყო ინტერვენციების შემუშავება.

გავეცანით საკლასო და საშინაო დავალების რვეულებსაც, რათა გაგვერკვია, რა მეთოდებისა და ტექნიკის საშუალებით ასწორებდნენ და აფასებდნენ დავალებებს პედაგოგები.

მეტი სიზუსტისთვის დავესწარი გაკვეთილებსაც, რითაც გადავამოწმე ის ინფორმაცია, რომელიც საშინაო დავალების რვეულებიდან და გამოკითხვიდან მივიღე. გაკვეთილზე დასწრება და დაკვირვება იმაზე მეტ პასუხს იძლევა, ვიდრე რომელიმე ფურცლიდან ამოკითხული წინადადება.

> მოსწავლეებს ხშირად აძლევენ საშინაო დავალებას, რითაც მათ ერთგვარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. თითოეულ დავალებას შესაძლოა სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს. ზოგიერთი დავალება მოსწავლეთათვის სახალისო, საინტერესო და შემეცნებითია. ზოგიერთი კი, პირიქით – რუტინული და მოსაწყენი, ამიტომ მათ ხშირად ეზარებათ დავალების შესრულება, მით უმეტეს – მაღალ კლასებში.

ამის შემდეგ მასწავლებლებს გავაცანი ჩვენ მიერ შესწავლილი მდგომარეობა და ვესაუბრე საშინაო დავალებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. რა თქმა უნდა, გაკვეთილსაც დავაკვირდი, რათა უკეთ დამენახა, რამდენად მუშაობდა შეთავაზებული რეკომენდაციები. ბოლოს კი, ისევე როგორც დასაწყისში, მოსწავლეებთან სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა.

დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- მოსწავლეები ნაკლებად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში;
- მოსწავლეები არ გამოხატავდნენ ინტერესს იმ საკითხების მიმართ, რომლებიც მათთვის გაუგებარი იყო საშინაო დავალების შესრულების დროს;
- დავალებები არ იყო სახალისო და მრავალფეროვანი;
- დავალებების შესრულება მოითხოვდა დიდ დროს;
- მასწავლებლები არ გასცემდნენ ინდივიდუალურ უკუკავშირს საშინაო დავალების შემოწმებისას.

რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებლებს მივეცით, სწორედ ამ პრობლემებიდან გამომდინარეობდა:

- **ინდივიდუალური უკუკავშირის გაზრდა** – ამ ამოცანის გადასაჭრელად მასწავლებლებს ვთხოვეთ, საშინაო დავალების შესრულების შემდეგ თითოეული მოსწავლისთვის რვეულში წერილობით გამოეხატათ უკუკავშირი.
- **გაკვეთილისა და საშინაო დავალების ფორმატის მრავალფეროვნების გაზრდა** – მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თანამედროვე მეთოდების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, რაც გამოკითხვამაც აჩვენა, ამიტომ თავდაპირველად შევეცადეთ, გაგვემდიდრებინა გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები. მაგალითად, სამკუთხედის ფართობის ასახსნელად გამოვიყენეთ ვიდეოგაკვეთილი. ვიდეოს ჩვენების შემდეგ მოსწავლეებმა დაწერეს მინიტესტი იმის შესამოწმებლად, რამდენად ყურადღებით მოისმინეს ახსნილი მასალა. საშინაო დავალებას მასწავლებელი გამოიკითხავდა ბურთის სროლით – ვისაც ესროდა, პასუხი იმას უნდა წაეკითხა. რაც შეეხება საშინაო





> თუ მასწავლებელი მიცემულ საშინაო დავალებას არ გამოიკითხავს და უკუკავშირს არ გასცემს, მოსწავლე დაკარგავს ინტერესს და დავალებას ალარ შეასრულებს.

დავალებებს, გამოვცადეთ ჯგუფური პროექტების ფორმატი, ასევე – სხვადასხვა მეთოდი წყვილებში სამუშაოდ. მოსწავლეებს დაევალათ, გაეკეთებინათ პოსტერი სამკუთხედის ფართობის შესახებ, რომელიც უნდა ყოფილიყო კრეატიული და სახალისო. მასწავლებლებმა კლასი ორ ჯგუფად დაყვეს. ერთს მხოლოდ ფურცლებზე დაწერილი ამოცანები ჰქონდა, მეორეს – მხოლოდ პასუხები. ამოცანის ავტორს უნდა მოეძებნა მეწყვილე პასუხი.

ᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ – შევეცადეთ, მაგალითები და ამოცანები სირთულის მიხედვით დაგვეხარისხებინა. მოსწავლეებს ახალი მასალის ახსნის შემდეგ ეძლეოდათ სხვადასხვა სირთულის დავალება. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელს მოჰქონდა ფერად ფურცლებზე დაწერილი ამოცანები. ფერები განსხვავებული იყო სირთულის მიხედვით: წითელი – რთული, ყვითელი – მარტივი, მწვანე – საშუალო.

ᲡᲐᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ – მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის ასამაღლებლად შევეცადეთ, გაკვეთილები და საშინაო დავალებები არაერთფეროვანი ყოფილიყო. განსხვავებულმა გაკვეთილებმა ის შედეგი გამოიღო, რომ მათში დისციპლინის პრობლემის მქონე მოსწავლეებიც ჩაერთნენ, მაგალითად, ზოგმა სამკუთხედი გამოჭრა, ზოგი ვიდეოგაკვეთილისთვის აპარატურის მომზადებაში დაგვეხმარა, ზოგს მოეწონა სამკუთხედის პოსტერის გაკეთების იდეა და სხვა.

კვლევის დასასრულს მოსწავლეებთან სიღრმისეული ინტერვიუების, კლასებში ჩატარებული გამოკითხვისა და დაკვირვების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა მიერ დავალების შესრულების სიხშირე გაიზარდა. გაკვეთილი შედარებით სახალისო და აქტიური გახდა, რის გამოც მასში მეტი მოსწავლე ჩაერთო.

ვფიქრობ, კვლევის მიგნებები საინტერესო იქნება სხვა სკოლებისთვისაც, სადაც მასწავლებლები ანალოგიურ პრობლემებს აწყდებიან.

მასწავლებლებს კი ნუ დაგვავიწყდება, რომ როგორც საგაკვეთილო პროცესია მეტად საინტერესო, როცა მრავალფეროვანია და გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, იგივე ხდება საშინაო დავალებების შესრულების დროსაც.

თამთა ღოღიძე

როგორ დავწეროთ სასკოლო პროექტი

> პროექტული სწავლების გზით მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება. ამას გარდა, მოზარდებს ეძლევათ საკომუნიკაციო უნარების დახვეწის შესაძლებლობაც.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ინტერაქტიული მეთოდია, რომელიც მრავალმხრივ სამუშაოში მოსწავლეთა მაღალ თანამშრომლობით ჩართულობას მოითხოვს. პროექტული სწავლების გზით მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევითი და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება. ამას გარდა, მოზარდებს ეძლევათ საკომუნიკაციო უნარების დახვეწის შესაძლებლობაც.

როგორც წესი, პროექტზე მუშაობა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. მოსწავლეებს მიზნის მისაღწევად სამუშაო პროცესის დეტალურად დაგეგმვა, საჭირო ინფორმაციის მოძიება-დახარისხება, მოკვლევა, პრაქტიკული სამუშაოს განხორციელება და ჩატარებული სამუშაოს შედეგად მიღწეული შედეგების პრეზენტირება უწევთ. სასკოლო პროექტი კეთებით სწავლების შესანიშნავი საშუალებაა და მას პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიზნის მისაღწევად ან რაიმე ინიციატივის დანერგვისთვის იყენებენ. პროექტული სწავლების მეთოდის მთავარ პლიუსად დაგეგმვის პროცესში პრაქტიკული ცოდნის მიღებისა და მრავალმხრივი უნარების განვითარება მიიჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტზე მუშაობა გუნდური სამუშაო უფროა, მისი შესრულება ინდივიდუალურადაცაა შესაძლებელი, თუმცა ეს არ გამორიცხავს მიზნობრივი კომუნიკაციის (პროექტის ფასილიტატორთან თანამშრომლობა, მოკვლევის პროცესში ექპერტებთან გასაუბრება და სხვ.) საჭიროებას. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, ხშირად პროექტში რამდენიმე დისციპლინა ერთვება და ინტეგრირებულ სამუშაო პროცესს წარმართავს.

სასკოლო პროექტი რამდენიმე გზით შეიძლება განხორციელდეს. საწყის ეტაპზე, სანამ მოსწავლეები აღნიშნულ მეთოდს შეეჩვევიან, სასურველია, პროექტი მასწავლებლის მიერ დაიგეგმოს, ანუ მან განსაზღვროს პრობლემა, დასახოს გადაჭრის გზები, დაგეგმოს პრობლემის აღმოფხვრისკენ მიმართული ნაბიჯები და ა.შ. შემდეგ ჯერზე მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებიც ჩართოს დაგეგმვის პროცესში და მისცეს მათ პრობლემის შერჩევის ან გადაჭრის გზების დასახვის საშუალება. პროექტული სწავლების მთავარ მიზანს კი მოსწავლის დამოუკიდებლად ქმედება წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდმა ან ჯგუფმა თავად უნდა განსაზღვროს პრობლემა, აირჩიოს მიზნის მიღწევისთვის შესაფერისი მეთოდი და დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები. თუმცა, სანამ ამ ყველაფერს მოსწავლეებს გავაკეთებინებთ, სასურველია, ჯერ თავად გავერკვეთ პროექტის წერასთან დაკავშირებულ ნიუანსებში. ამას გარდა, პერიოდულად მასწავლებლებსაც ევალებათ საგანმანათლებლო პროექტებზე

> საჭირო მიმაჩნია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, რადგან სკოლა გუნდური მუშაობის პრინციპზე აგებული ორგანიზაციაა, თან მუდმივად იცვლება და ორიენტირებს ძრავში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მაქსიმალურ შედეგს მხოლოდ კოორდინირებული მუშაობის შედეგად მივაღწევთ.

მუშაობა, რაც მათი მხრიდან მიზნის შესაბამის პროფესიულ მზაობას მოითხოვს.

აქვე გაგაცნობთ პროექტის ზოგად სტრუქტურას და ნიმუშად ჩემ მიერ შედგენილ სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებულ პროექტს (ადაპტირებული ვერსია) წარმოგიდგენთ.

საგანმანათლებლო პროექტის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

- ნაშრომის თავფურცელი
- ინფორმაცია პროექტის ავტორ(ებ)ის და შემსრულებლ(ებ)ის შესახებ
- აბსტრაქტი
- შესავალი
- პროექტის (დაგეგმილი აქტივობების) აღწერა
- პროექტის შესრულების განრიგი
- ბიუჯეტი და საჭირო რესურსების ჩამონათვალი
- მოსალოდნელი შედეგები
- მონიტორინგი და შეფასება

შენიშვნა: ზემოაღნიშნული თავები შეიძლება ჩაიშალოს ქვეთავებად ან გამოისახოს ამავე შინაარსთან დაკავშირებული სხვა ტერმინებით.

პროექტს თვალსაჩინოების სახით დაერთვის შემდეგი დოკუმენტები: კვლევის და/ან სასწავლო ინსტრუმენტები (კითხვარი, დაკვირვების ფორმა, რეფლექსია და ა.შ.), ცხრილები, თემატური ფოტო-ვიდეო მასალა და სხვ. დანართში განთავსებული მასალები პროექტს გაცილებით მიმზიდველს და დამაჯერებელს ხდის.

სანამ პროექტის დაგეგმვას დაიწყებთ, სასურველია, შეისწავლოთ იმ სკოლის ზოგადი მდგომარეობა, სადაც სასკოლო პროექტის განხორციელებას აპირებთ. ე.წ. პროფილის ანალიზისთვის კითხვარის შედგენა დაგჭირდებათ. მასში შეგიძლიათ შეიტანოთ პროექტთან დაკავშირებული საკითხები. პასუხების გაანალიზების შედეგად გამოკვეთთ სკოლის დადებით და უარყოფით მხარეებს, რაც თქვენ მიერ დასმული პრობლემის გადაჭრის გზების მოძებნას მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ.

სასკოლო პროექტი „განათლების ხარისხის გაუმჯობესება სსიპ ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლაში“

პროექტის კოორდინატორი: თამთა დოლიძე

შენიშვნა: პროექტს ერთვის საკონტაქტო ინფორმაცია პროექტის ავტორისა და სკოლის შესახებ. აქვე მითითებულია პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი.

პროექტის მიზანი

მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები

- მასწავლებლების სატრენინგო პროგრამებში ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ჩართვა;
- საგნობრივი კათედრების გააქტიურება;
- კათედრებისა და ადმინისტრაციის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა;
- გამოცდილების გაზიარების სისტემატიზება;
- ადმინისტრაციის მხრიდან პედაგოგთა წახალისების ფორმების შემოღება.

შესავალი

2019 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების სქემაში ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანეს. აქამდე მასწავლებელთა კვალიფიკაცია საგნობრივი და პროფესიული გამოცდებით და კრედიტქულების სისტემით იზომებოდა. სქემის ტრანსფორმაციის პროცესში მასწავლებლებს დასჭირდებათ განსაკუთრებული მხარდაჭერა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, რათა მათ დროულად მიეწოდოთ ვალიდური ინფორმაცია სქემასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ. არსებობს იმის საშიშროება, რომ ძველ მოთხოვნებს მორგებული მასწავლებლები, რომლებიც გარკვეული სარგებლის მოლოდინში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი კარიერულ ზრდაზე ორიენტირებულ აქტივობებში, დაკარგავენ პროფესიული განვითარების სურვილს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სკოლამ პედაგოგების მხარდასაჭერად და გასააქტიურებლად გარკვეული ღონისძიებები თავადაც უნდა დაგეგმოს.

სსიპ ქალაქ თბილისის N საჯარო სკოლის პედაგოგთა 47% (9 პედაგოგი 19-დან) სერტიფიცირებულია. როგორც ჩანს, დარჩენილი 53% აქამდე არ დაინტერესებულა პროფესიული განვითარებით და კარიერული ზრდით. ამიტომ, ჩემ მიერ წარმოდგენილი პროექტი ზემოაღნიშნული სკოლის პედაგოგ-

თა პროფესიული განვითარებისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე იქნება ორიენტირებული.

ჩემი აზრით, აუცილებელია მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებული ვალიდური ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება, რასაც პერიოდული საინფორმაციო შეხვედრებით უზრუნველვყოფთ. ამას გარდა, საჭიროდ მიმაჩნია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, რადგან სკოლა გუნდური მუშაობის პრინციპზე აგებული ორგანიზაციაა, თან მუდმივად იცვლება და ორიენტირებს დროში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მაქსიმალურ შედეგს მხოლოდ კოორდინირებული მუშაობის შედეგად მივაღწევთ.

მიზნის მიღწევისთვის საჭირო აქტივობები

შენიშვნა: ნიმუშად წარმოგიდგენთ პროექტის ამოცანებს მორგებული აქტივობებიდან (მასწავლებლების სატრენინგო პროგრამებში ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ჩართვა, კათედრების მუშაობის გააქტიურება, სკოლის განვითარების გუნდის შექმნა, დამატებითი გაკვეთილების გრაფიკის შემოღება, სკოლის განვითარების ფონდის შექმნა) ერთ-ერთის აღწერას.

სკოლის განვითარების გუნდის შექმნა

საგნობრივ კათედრებზე სამუშაო პროცესების გააქტიურების პარალელურად, მათი ხელმძღვანელებისგან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანიც კათედრათაშორისი კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარება იქნება. ამას გარდა, სკოლის განვითარების გუნდს დაევალება სკოლის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა და საგანმანათლებლო სიახლეების კათედრებზე დროულად გავრცელება. სკოლის განვითარების გუნდის წევრები შეიკრიბებიან ორ კვირაში ერთხელ (მინიმუმ 1 8 შეხვედრა წელიწადში) შეხვედრებს დაესწრებიან კათედრების წარმომადგენლები და ადმინისტრაციის წევრები. მათ საჭიროების შემთხვევაში შეეძლებათ სკოლის დირექტორის მოწვევა. სკოლის განვითარების გუნდის მიზანია თანამშრომლობის გზით საგანმანათლებლო სიახლეების დანერგვაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობა (ინტეგრირებული გაკვეთილები, სასკოლო პროექტები, არაფორმალური აქტივობები და სხვ.), ადმინისტრაციისთვის კათედრებზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხების გაზიარება და აკადემიური/ფინანსური პრობლემების გადაჭრა. სკოლის განვითარების გუნდის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება შეეძლებათ, როგორც კათედრის ხელმძღვანელებს, ასევე სკოლის დირექტორს და ადმინისტრაციას.

პროექტის შედეგების შეფასება

ადმინისტრაციამ პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები შეიძლება სხვადასხვა გზით შეაფასოს. სკოლის განვითარების გუნდის შეხვედრებზე იგი დააკვირდება მასწავლებელთა თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესების დინამიკას და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული დამოკიდებულების ცვლილებას. ამას გარდა, ადმინისტრაცია ჯგუფების მუშაობაზე დაკვირვების და ანონიმური კითხვარის დახმარებით გამოიკვლევს მასწავლებელთა დამოკიდებულებას პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების მიმართ. მიღწეული შედეგების პრეზენტირების მიზნით, სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის დასასრულს სკოლის განვითარების გუნდი მოამზადებს პრეზენტაციას, სადაც დეტალურად მიმოიხილავს პროექტების განხორციელების ეტაპებსა და მიღწეულ შედეგებს. შეხვედრებზე სიტყვით გამოსვლის და საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირების საშუალება ექნება ყველა მსურველს. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლებს ადმინისტრაცია ე.წ. ფურშეტით გაუმასპინძლდება.

პროექტის კალენდარული გეგმა

დაგეგმილი აქტივობები	მონაწილეები	პასუხისმგებელი	ფინანსები	განხორციელების ვადები		ნარმატებული იქნება, თუ
სატრენინგო პროგრამებში მიწნობრივად ჩართვა	მასწავლებლები	მასწავლებლის სახლი; ადმინისტრაცია	0 ლარი	ერთი სასწავლო წელი		ტრენინგებს საკუთარი სურვილით დაესწრება მასწავლებლების 60% მაინც
კათედრების მუშაობის გააქტიურება	მასწავლებლები	ადმინისტრაცია, მასწავლებლები	22,800 ლარი (სახელფასო დანამატი)	ერთი სასწავლო წელი		მასწავლებელთა 80% პროიექტი აქტიურად ჩაერთვება კათედრის მიერ განხორციელებულ აქტივობებში.
სკოლის განვითარების გუნდის შექმნა გააქტიურება	მასწავლებლები, ადმინისტრაცია	სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები	0 ლარი	ერთი სასწავლო წელი		აღნიშნულ ინიციატივას მხარს დაუჭერს და მის ამოქმედებას ხელს შეუწყობს სკოლის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის წევრები და კათედრები.
დამატებითი გაკვეთილების გრაფიკის შემოღება	მოსწავლეები, მასწავლებლები	საგნობრივი კათედრები	0 ლარი	ერთი სასწავლო წელი		აღნიშნულ ინიციატივას მხარს დაუჭერს საგნობრივ კათედრებში შემავალ მასწავლებელთა 60% მაინც
სკოლის განვითარების ფონდი შექმნა (რესურსები, ნახალისების პროგრამა)	მასწავლებლები, მოსწავლეები	სკოლის დირექტორი	10 000 ლარი	ერთი სასწავლო წელი		სკოლის განვითარების ფონდის ბიუჯეტი შეადგენს პროექტში განერილი თანხის მინიმუმ 60%
შედეგების შეფასება	მოსწავლეები, მასწავლებლები მშობლები	სკოლის ადმინისტრაცია	600 ლარი	დეკემბერი	ივნისი	შემაჯამებელი პრეზენტაციისა და პროექტთან დაკავშირებული სხვა აქტივობების მოამზადებაში ჩაერთვებიან სკოლის ადმინისტრაციის წევრებისა და მასწავლებლების 70 % მაინც
				✓	✓	

ფინანსური რესურსი

ზემოაღნიშნული აქტივობებისთვის აუცილებელი იქნება შემდეგი ფინანსური ხარჯების გათვალისწინება:

- **კათედრების მუშაობის გააქტიურება**

კათედრებზე აქტიურად მუშაობისთვის მასწავლებლებს დაერიცხებათ ყოველთვიური სახელფასო დანამატი, თვეში 100 ლარის ოდენობით (ჯამში 22 800 ლარი 19 მასწავლებელზე).

- **სკოლის განვითარების ფონდის შექმნა**

ფონდის პირველი წლის ბიუჯეტი შეადგენს 10 000 ლარს, რომელიც თანაბრად გადანაწილდება საგნობრივ კათედრებზე.

- **შედეგების შეფასება**

სასწავლო წლის განმავლობაში გაიმართება ორი შემაჯამებელი შეხვედრა. თითოეული შეხვედრისთვის გათვალისწინებული ხარჯი შეადგენს 300 ლარს (ჯამში 600 ლარი).

პროექტში გაწერილი აქტივობების ერთობლივი ხარჯები შეადგენს 33 400 ლარს.

მოსალოდნელი შედეგები

- სასკოლო სივრცეში პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;
- საგანმანათლებლო ტრენინგებისადმი დამოკიდებულების შეცვლა;
- სასწავლო პროცესის ინოვაციური მეთოდებითა და აქტივობებით გამდიდრება;
- საგნობრივი კათედრების მუშაობის გააქტიურება;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.